ლიტერატურული გაზეთი

№74 11 - 24 მაისი 2012 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 50 თეთრი



2011 წელს „ლიტერატურულმა გაზეთმა“ ჯემალ ქარჩხაძის 1961 წელს დაწერილი პირველი და მანამდე გამოუქვეყნებელი მოთხრობა „დაბრუნება“ შემოგთავაზათ. დღეს კი თქვენს წინაშეა თხზულება, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლებით თარიღდება და რომლის პირველად წაკითხვის საშუალებაც გეძლევათ. „ამბოხებაში“ უკვე იგრძნობა ჯემალ ქარჩხაძის მსოფლმხედველობა და ის დამახასიათებელი შტრიხები, რაც ამ პროზაიკოსის მთელ შემოქმედებას გასდევს და ყველა სხვა ავტორისგან გამოარჩევს.

ჯემალ ქარჩხაძე

ამბოხება

ერთ მშვენიერ დღეს ხაჭაპურიძეების მყუდრო ცხოვრებას საძირკველი გამოეცალა: წაიქცა ოჯახის მამა და ჩვენი მოთხრობის მთავარი გმირი ილიკო ხაჭაპურიძე და ერთობ მწვავედ დაისვა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ილიკო მაღალი კაცი იყო, გამხდარი და ბეჭებში ოდნავ მოხრილი; თეთრი თმა ჰქონდა, თეთრი ულვაშები და თეთრი, ფუნჩულა წარბები. ტანზე ჟამგადასული და გვარიანად შელანძღული, მაგრამ სანიმუშოდ მოვლილი ყვითელი კოსტუმი ეცვა, ფეხზე – ფართოლანჩებიანი ყვითელი ფეხსაცმელები, თავზე ყვითელი ქუდი ეხურა.

მრავალი წლის განმავლობაში ილიკო თავის ოთხ კოლეგასთან ერთად იჯდა ფართო, დაბალჭერიან, უსინათლო ოთახში, რომელიც ერთ უფერულ კანტორას ეკუთვნოდა. და ეს უფერული გარემო, – უსინათლო ოთახი, სამუშაო მაგიდა და ოთხი კოლეგა თვალუწვდენელი სამყაროს ერთადერთი რეალური გამოხატულება იყო.

ამ მარადიულ, უძრავ გარემოში ილიკო ხაჭაპურიძის ცხოვრების დღეები უხმაუროდ ცვიოდა, როგორც კალენდრის უმაქნისი ფურცლები, და ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა. არ არსებობდა „გუშინ“, არ არსებობდა „ხვალ“, იყო მხოლოდ ერთი, ერთადერთი დღე, რომელიც ყოველდღე მეორდებოდა. ამ განუყოფელმა ერთფეროვნებამ ილიკოს სახეც თანდათან ერთფეროვანი, უტყვი და უმოძრაო გახადა.

დილის ცხრა საათზე ილიკო, როგორც წესი, უკვე უჯდა თავის მაგიდას და პირველ საათამდე სანიმუშო მონოტონურობით აჩხაკუნებდა საანგარიშოს; პირველ საათზე, როდესაც სამყაროში სასადილო შესვენება იწყება, ფაქიზად გადადებდა გვერდზე სამუშაოს, ამოიღებდა ხელსახოცში გახვეულ საუზმეს და ნელა, აუჩქარებლად ილუკმებოდა. ორი საათი რომ მოახლოვდებოდა, სუფრას აალაგებდა, მაგიდას გულმოდგინედ გადაწმინდავდა და ისევ საანგარიშოს მიუბრუნდებოდა.

ერთადერთი დისონანსი, ან თუ გნებავთ, ილიკოს ერთადერთი სისუსტე მდგომარეობდა იმაში, რასაც, შესაძლებელია, არც უნდა ვამხელდეთ: ჭაღარა ილიკო დროდადრო (რასაკვირველია, ისე, რომ სამუშაოს არ მოცდენოდა) თვალს გააპარებდა ხოლმე მარცხნივ, ოთახის კუთხეში, სადაც თავის მაგიდას უჯდა რიგითი კოლეგა გუგულა ბარნაბიშვილი. კაცმა რომ თქვას, გუგულა ბარნაბიშვილი ასეთი თვალის გაპარების საფუძველს ნაკლებად იძლეოდა, რადგან მისი ერთადერთი ღირსება ახალგაზრდობა იყო და დიდი-დიდი, მაღალი მკერდი, მაგრამ მოხუცი ილიკოსათვის ესეც საკმაო ცდუნებას წარმოადგენდა.

ასე ნელა და ასე ჩქარა მიდიოდა დრო და უკვალოდ იკარგებოდა წარსულში, სანამ არ დაკრა ჟამმა...

სამუშაო დღე იწურებოდა. გრძელცხვირა ვარლამა გიორგობიანი, განთქმული თავისი სიზარმაცითა და ცულლუტობით, უკვე მოუსვენრად ცმუკავდა და წამდაუწუმ საათზე იყურებოდა. დანარჩენი თანამშრომლებიც ასე თუ ისე მზად იყვნენ შინ წასასვლელად. ილიკო ხაჭაპურიძე კი ჯერ კიდევ მყარად იჯდა თავის მაგიდასთან, საანგარიშოს აჩხაკუნებდა და შედეგებს გულდასმით იწერდა სქელ, საკანცელარიო რვეულში. იგი იმდენად გატაცებული ჩანდა თავისი საქმით, რომ, თუ სადმე სამართალია, მისი შინაგანი მყუდროება ასე უხეიროდ არ უნდა დარღვეულიყო.

მაგრამ, როგორც ვიცით, ბედი მუხთალია.

და უეცრად ილიკო ხაჭაპურიძეს ორივე საფეთქელში, აქედანაც და იქედანაც, რაღაც დააწვა. სამყარო გაიშალა და სქელ ნისლს შეერია, საიდანაც ოთახი და კოლეგები ჩანდნენ და არც ჩანდნენ, უფრო სწორად, ყველაფერი ბუნდოვნად და ორ-ორ ცალად ჩანდა (მაგალითად ვარლამა გიორგობიანი, რომელსაც ყოველი ჯანსაღი თვალი ცარიელ ცხვირად აღიქვამდა, ახლა ორ ცხვირად ქცეულიყო; ისხდნენ ეს ცხვირები ერთმანეთის მხარდამხარ, წაწვეტებული ბოლოები ჭერისათვის მიეპყროთ და ზანტად ამთქნარებდნენ). კოლეგებისა და საანგარიშოების ხმაური რაღაც ერთიან, გაურკვეველ ზუზუნად ისმოდა. ბოლოს, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, კედელიც შეტორტმანდა და დაიძრა საათის ისრის მიმართულებით. იარა კედელმა, იარა და, როდესაც კარი ფანჯარას დაეწია, ილიკომ დაიკვნესა. ეს იყო გაუგონარი, დაუჯერებელი ამბავი; ეს იყო სასწაული.

და ოთხ საანგარიშოს ერთდროულად ჩაუწყდა ხმა, ოთხი ხელი ერთდროულად გაშეშდა ამ საანგარიშოების ზემოთ, ჰაერში, ოთხი გაკვირვებული სახე ერთდროულად შემობრუნდა ილიკოსკენ და ოთხმა შეშფოთებულმა ხმამ თითქმის ერთდროულად წამოიძახა:

– რა მოგივიდა, ილიკო?

ილიკომ მიახლოებითაც კი არ იცოდა, რა მოუვიდა, მაგრამ კოლეგების ხმაშეწყობილ წამოძახილს ამაოდ მაინც არ ჩაუვლია: კედელი შეჩერდა, ვარლამა გიორგობიანის ცხვირები ერთმანეთში შეცურდნენ, ფოკუსი გასწორდა და სამყარო თავისი არსებობის ბუნებრივ ფორმას დაუბრუნდა.

პირველად ვარლამა გიორგობიანი გაჩნდა ილიკოსთან, ხაზგასმული მზრუნველობით ჩახედა თვალებში და ჰკითხა:

– რა მოგივიდა, ილიკო?

ილიკომ არც ახლა იცოდა, რა მოუვიდა, საერთოდ, მედიცინაზე ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ, რაკი ლაპარაკის უნარი ასე თუ ისე დაუბრუნდა, თავის მოვალეობად ჩათვალა რაღაც ეთქვა, რომ კოლეგების კანონიერი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა:

– არაფერი, რაცხა ბრუ დამესხა.

– რაღა რაცხა, კაცის ფერი არ გადევთ, – წამოეშველა ვარლამა გიორგობიანს გუგულა ბარნაბიშვილი.

მესამე კოლეგამ, მოხუცმა ელისაბედმა, წყალი მოარბენინა და ყურისძირები დაუზილა; მეოთხე კოლეგა, რომელსაც არც ცოლ-შვილი ჰყავდა, არც დედ-მამა, არც ნათესავები და, საერთოდ, უთვისტომო კაცი იყო, შორიახლო იდგა მხრებში აწურული და ხელებს უხერხულად ფარჩხავდა. ეჭვი არაა, მას გულით ეწადა ამ გაჭირვების ჟამს მხარში ამოდგომოდა კოლეგებს, მაგრამ არ იცოდა, რა იყო ამისათვის საჭირო.

ამასობაში ილიკო ხაჭაპურიძე საბოლოოდ მოსულიერდა.

– ახლა უკეთ ხარ? – შეეკითხა მოხუცი ელისაბედი.

– კი, გენაცვალე, კი, ახლა არაფერი მიჭირს, – მიუგო ილიკომ და დარცხვენით, დამნაშავე კაცივით წაილუღლუღა, – რაცხა ბრუ დამესხა და...

– სიყვარულმა იცის, ილიკო ბატონო, – ეშმაკური ღიმილით ჩაუარაკა გუგულა ბარნაბიშვილმა.

ილიკოს შერცხვა და გაწითლდა. კოლეგები კი სამუშაო დღის დამთავრების მოლოდინში თავთავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ.

ის იყო, ილიკოსაც უნდა განეგრძო შეწყვეტილი მუშაობა, რომ კედელი კვლავ შეტორტმანდა და დინჯად გაუდგა გზას საათის ისრის მიმართულებით.

ამჯერად გუგულა ბარნაბიშვილმა მოარბენინა წყალი; ვარლამა გიორგობიანმა ისევ შეაშველა ხელი, მოხუცმა კოლეგამ ისევ დაუზილა ყურისძირები, მეოთხე, უთვისტომო კოლეგა ისევ ისე უხერხულად იდგა.

როდესაც ილიკო ხაჭაპურიძე მეორედ მომჯობინდა, ვარლამა გიორგობიანმა გადაჭრით მოითხოვა ავადმყოფის სახლში წაყვანა და, რაღა თქმა უნდა, გეგმის განხორციელებაც თვითონვე იკისრა.

ილიკო ცოტა შეყოყმანდა, სამუშაო აქვს დასამთავრებელიო, მაგრამ ოთხმა კოლეგამ რომ ერთხმად შეიცხადა, რა დროს შენი მუშაობაა ახლაო, გაილურსა და უხმოდ გაჰყვა გრძელცხვირა ვარლამას.

იმ დღეს ილიკო ხაჭაპურიძის სახლში სამჯერ კიდევ შეტორტმანდა კედელი. ივდითის, ილიკოს მოსიყვარულე ცოლს, სამჯერ გადაუქანდა გული, სამჯერ იკივლა საწყალმა ქალმა – არიქა, მეზობლებო, დავიღუპეო, და სამჯერ გამოიგლოვა გრძნობადაკარგული ქმარი; ხოლო გვიან ღამით ხაჭაპურიძეების მყუდრო ცხოვრებაში სამი უცხო ელემენტი შეიჭრა: ექიმი, რომელიც დროგამოშვებით მოდიოდა, 39^0 სიცხე, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ილიკოს სხეულში, და რამდენიმე თავი წამალი, რომელთაც ნაირნაირი ფერი და ერთნაირად საძაგელი გემო ჰქონდათ. სამივე ამ ელემენტს თავისებური ყურისგდება ესაჭიროებოდა; ექიმი ყოველ წუთში ხელს იბანდა, სიცხეს წამდაუწუმ გაზომვა და ფურცელზე აღნიშვნა უნდოდა, წამლებს თავისი რიგი ჰქონდათ და ყოველთვის დანიშნულ დროს უნდა მიგეცა.

ივდითი გამოცდილი დიასახლისი იყო და ყველაფერს ასწრებდა. ათი ამდენსაც გააკეთებდა, ოღონდ თავისი ბებერი კაცი კარგად ჰყოლოდა.

ბებერი კაცი კი მთელი ღამე ბორგავდა და დაჟინებით ითხოვდა საანგარიშოს, სასწრაფო საქმე ჰქონდა მოსათავებელი. ერთი პირობა ივდითიმ გადაწყვიტა საქმეში ჩარეულიყო და რაც შეეძლო ალერსიანი ხმით მიმართა ქმარს:

– ა, ბეჩა, გამომართვი, აგერ არაა შენი საანგარიშო?

მაგრამ ილიკომ მოთენთილი ხმით უპასუხა:

– მეიცა, შე ქალო, მაგი არაფერი საანგარიშოა, ვერ უყურებ, ჩემი ქუდია!

ამის შემდეგ ივდითიმ ექსპერიმენტებზე ხელი აიღო, მხნეობა მოიკრიბა და გათენებას დაელოდა.

მაგრამ გათენებას სანუგეშო არაფერი მოუტანია. ილიკო ენის გაუჩერებლად ბოდავდა. დილის თორმეტ საათზე, როგორც იქნა, დაადგა საშველი და გაიღვიძა.

– რავა თეთრად გამათენებიე მთელი ღამე, – ალერსიანი საყვედურით უთხრა ივდითიმ, – რა საანგარიშო გაქვს, ბეჩა, ასეთი. მთელი ღამე ყვიროდი, არიქა მომეცით და მომეცითო.

ილიკო გაწითლდა.

– პატარა სამუშაო დამრჩა დასამთავრებელი და ალბათ იმის დარდი თუ ჩამყვა, – მორცხვად წაილუღლუღა მან.

ამის შემდეგ საანგარიშო აღარ უხსენებია. ძილშიაც მხოლოდ ერთხელ წამოაყრანტალა, სამუშაო მაქვს დასამთავრებელიო, და მიატოვა ეს თემა.

ღამით სიცხე ისევ 39^0 ჰქონდა.

ექიმი დროდადრო მოდიოდა, ხელს იბანდა და მიდიოდა.

VI-IX

მარტოობის ხმები

— სულ მარტოა ეგ საწყალიო, — იტყვიან ხოლმე და ავიწყდებათ, რომ „მარტოობა“ საბრალობელი და საშიში სიტყვა არაა. მთავარი კი, ალბათ, ისაა, რომ როცა მარტო ხარ, სულაც არა ხარ მარტო — შენ და შენი მარტოობა უკვე ორნი ხართ.

მარტოობას ფიქრის ქვეყანაც კი შეიძლება ვუწოდოთ — ჩვენ ხომ მარტოობის ფიქრით ვმოგზაურობთ ცაზე და ხმელეთზე, წარსულსა და მომავალში... მარტო რომ არ იყო და გვერდით შენი ძვირფასი მეგობრები და მეზობლები გესხდნენ, მაშინ აბა, ვინ მოგაცლიდა ამ ჯადოსნური მოგზაურობებისთვის...

...ღობეზე ჩიტი შემოჯდა — ცისფერი, ლამაზი ჩიტი. ლამაზად უსტვენს, ლამაზად საქმიანობს... ხან მიწას დახედავს, ხან ცას შეხედავს. გალობს — ქვეყნიერების ამბებსა ჰყვება. კარგი ამბავი, ჩიტო, კარგი ამბავი...

აი, ქუხილის ხმა გაისმა სიმარტოვეში — „იქაურები“ ხმაურობენ და გამხნევებენ — მხნედ იყავიო...

გაზაფხულია, იღვიძებს გარემო. წეროები გადადიან მთებზე. ნაკადული მოიმღერის გზაზე.

ვიღაც უკრავს და ახალ მოტივებს ეძებს, ვერ პოულობს და ეძებს... ეძებს...

იები ამოსულან ღობის ძირში. იებიც ლაპარაკობენ, — რომ გაიგო რას ამბობენ, ენა უნდა იცოდე მათი...

აი, შენი სიმარტოვე, სიმარტოვეს თუ დავარქმევთ ამას...

ნამდვილი სიმარტოვე კი ისაა, როცა ხალხში ხარ და მაინც მარტო ხარ. როცა შენსა და ხალხს შორის გაუცხოვების კედელია აღმართული და მაინც ერთად ხართ...

ძელზე გასმით „აჯილდოვებდნენ“

„მტერი მხოლოდ მაშინაა საშიში, როცა იგი მეგობრის ნიღაბს იფარებს“ – უთქვამს შამილს და სწორედ შამილმა გამოსცადა თავის თავზე „მეგობრების“ ღალატი.

თუმცა... რაღა შამილი – ჩვენ ვინ გვასწავლის ღალატის სიმწარეს?!

ბევრი ნიღბიანი მოღალატე ეხვია თავს ქართველ პატრიოტებსაც და ვაი, რომ ეს ნიღბოსანნი არ ჩაიძირნენ და არ ჩაიხრჩვნენ წარსულში – ისინი დღესაც თვალებზე გვაფარებენ „ერთგულების“ ნიღბებს. დღესაც ოქროსა და ვერცხლზე იცვლება ღირსება და სამშობლო, დღესაც მამულის მყიდველ მუშტარს ეძებენ კრემლზე ჯვარდაწერილი „მამულიშვილები“.

...და დღესაც მოთმინებით და მიტევებით ვუყურებთ ნიღაბჩამოხსნილ მოღალატეთა ბინძურ საქმეებს და ჩვენს საქციელს დემოკრატიითა და მიმტევებლობით ვამართლებთ...

დავით აღმაშენებელი სხვაგვარად იქცეოდა — ვისი მიტევებაც არ შეიძლებოდა, „ძელზე გასმით“ სჯიდა. ხომ გვეუბნება მაშინდელი ისტორიკოსი — ქვეგამხედვარებს ძელზე გასმით „აჯილდოვებდნენო“.

გლობალიზაცია – საფრთხე და სიკეთე

შემთხვევით არ წამოვწიე საფრთხე სიკეთეზე წინ — მიმაჩნია, რომ „გლობალიზაციის პროცესად“ წოდებულ მოვლენებში საფრთხე უფრო მეტია, ვიდრე სიკეთე. არადა, გლობალიზაციის იდეოლოგები მხოლოდ სიკეთეზე გველაპარაკებიან და საფრთხეს საერთოდ არ ახსენებენ.

იმაზე შეთანხმება კი, ჩემი აზრით, არ უნდა გაგვიჭირდეს, რომ გლობალიზაციისკენ სწრაფვა ბევრით არაფრით განსხვავდება „გავლენის სფეროებისკენ“ სწრაფვისგან და ეს ჭეშმარიტება მაინც და მაინც საგულდაგულოდ არაა შენიღბული. პირიქით, აგერ, ზბიგნევ ბჟეზინსკი პირდაპირ აცხადებს, რომ გლობალიზმის უმთავრესი მტრები ისლამური სახელმწიფოები და მართლმადიდებელი ქრისტიანები არიანო... თუ დავაკვირდებით, პოლიტიკაც იდეების შესაბამისია – აი, პირდაპირ ჩვენს თვალწინ მოხდა ისლამურ სახელმწიფოებზე სახმელეთო და საჰაერო თავდასხმები. იღუპებიან ჯარისკაცები, იღუპება მოსახლეობა, ინგრევა ქალაქები და სოფლები... იერიშზეა გლობალიზმი და მისი საქციელის გამართლება ყოვლად შეუძლებელია... ესაა საფრთხე, რომელიც ყველა „მეორეხარისხოვან“ ქვეყანას ემუქრება.

რაც შეეხება სიკეთეს, სიკეთედ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული პრინციპების უმაღლეს კატეგორიებად აღიარება და დაცვა, მაგრამ სამშობლოს ინტერესების შელახვის ხარჯზე ყოველგვარი სიკეთე კარგავს თავის ფასს. აქ აშკარა საშიშროებაა, რომ გლობალიზაციის ახალი იდეები დააყენონ ყველაფერზე და ყოველივეზე მაღლა და „მსოფლიო მოქალაქის“ ინტერესებმა ჩაძირონ მამულიშვილის ინტერესები.

...და ბოლოს, როგორც ჩანს, „ინტეგრაცია და გლობალიზაცია“ სხვა არაფერია, თუ არა იმპერიალიზმის მოდერნიზებული სახელწოდება. ლაპარაკობენ ისლამურ გლობალიზაციაზე, ევროპულ გლობალიზაციაზე... სულ ახლახან კი, რუსეთმა გამოაცხადა თავისი გლობალისტური სივრცე...

იქნებ ესაა ნამდვილი თავისუფლება?!

სადღაც წამიკითხავს — სიზმარში შენი სხეული ერთ ადგილზე რჩება, შენ კი სხეულიდან ამოდიხარ და მოგზაურობ, აქ ხარ და მაინც აქ არა ხარ... იქნებ ესაა ნამდვილი თავისუფლება?! როცა გადიხარ შენი სხეულიდან და უსასრულო სამყაროში დაეხეტები — გადაუფრენ ზღვებსა და ქედებს, დღეებსა და ღამეებს... ზებუნებრივი ძალები განიჭებენ ზებუნებრივ თავისუფლებას. გეღვიძება და ისევ უბრუნდები შენს სხეულს — ისევ ეწევი წუთისოფლის უღელს...

კამათის შესახებ

„არასოდეს ეკამათო სულელს! — გარშემო მყოფმა მსმენელებმა შეიძლება თქვენს შორის განსხვავება ვერ აღმოაჩინონ“.

ეს სიბრძნე ბევრჯერ გაგვიგონია სხვადასხვა ვარიაციით, მაგრამ სულელთან კამათს, თითქოს მისჯილი გვაქვსო, მაინც ვერ ვარიდებთ თავს.

მე არაერთხელ გადავშვებულვარ სულელებთან კამათში და შემდგომ ყოველთვის მინანია.

...მაგრამ ამ სულელებთან კამათს მაინც არ ჩაუვლია მთლად უსარგებლოდ! რაღაც დასკვნები გამოვიტანე და ამ ბოლო ხანებში, დუმილი ვისწავლე... აი, ჩემი „მოწინააღმდეგე“ მთელი ეშხით და გატაცებით მიმტკიცებს რაღაც სისულელეს. მე კი ვდუმვარ, ხმას არ ვიღებ და იმის იმედს ვუტოვებ, რომ ოდესმე მასავით „ვიაზროვნებ“.

ეგეც არ იყოს, თანდათან ვრწმუნდები, რომ ამგვარ შერკინება-შეპასუხებაში მართლა ჭეშმარიტება კი არა, სიძულვილი იბადება. მე კი, ცხადია, არ მინდა, რომ ვინმეს ვძულდე ან ვინმე მძულდეს...

ჯავახიშვილი და მაყაშვილი

„ვანო ჯავახიშვილი იშვიათი ადამიანია — მუდამ ცოცხალი, უკვდავი“ — უთქვამს კოტე მაყაშვილს ივანე ჯავახიშვილზე. ამ ფრაზაში ორი ადამიანია მთელი სისრულით წარმოჩენილი: ერთი, ივანე ჯავახიშვილი, რომელიც, მართლაც, იშვიათი ადამიანი იყო და ზებუნებრივ უკვდავს უფრო ჰგავდა, ვიდრე მიწიერ ადამიანს და მეორე – კოტე მაყაშვილი, რომელიც ასე ზუსტად, დიდბუნებოვნად და უშურველად გვიხატავს ივანე ჯავახიშვილს...

ვაჟა ფშაველას დრო ვერ ეწევა

კრიტიკოსებისგან და ლიტერატურის ისტორიკოსებისგან არცთუ იშვიათად გაიგონებთ — ამა და ამ მწერალმა თავის დროს გაასწროო... და ამის აღნიშვნით მწერლის შემოქმედების გენიალურობაზე მიანიშნებენ.

დროის გამსწრებ ნაწარმოებებს შორის, ალბათ, ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაურიცაა“. ვაჟა ფშაველამ ამ პოემაში კიდევ ერთხელ გახაზა, რომ „ღმერთი ერთია“ — სიკეთის, სიყვარულის, გონიერებისა და მიმტევებლობის ღმერთი და ამით კიდევ ერთხელ გაისმა გადაძახილი დიდ წინაპართან შოთა რუსთაველთან, რომელიც ამბობს:

„რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე
სახითა მისმიერითა“.

დიახ, ვაჟა ფშაველამ „ალუდა ქეთელაურში“ სწორედ შეურიგებლობის პრობლემა დასვა და ბრწყინვალედაც უპასუხა მას:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი,
ჩვენა ვსცხოვნდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი“.

...და ამ სტროფს მოსდევს სტრიქონი, რომელიც ისარივით გაიწივლებს მკითხველის ყურში: „ამის თქმით ვწარა-მარაობთ“.

აი, სწორედ ამ „წარა-მარაობას“, ამ რელიგიურ უვიცობას აუმხედრდა ვაჟა ფშაველა და მისი პოემის მთავარი გმირი. აქ აჯობეს დროს ავტორმაც და პერსონაჟმაც. ადვილი არ იყო მაშინ ამის თქმა. მაშინ კი არა, აი, ახლაც, როცა ამ შენიშვნებს ვწერ, ტელევიზიით გადმოსცემენ ინფორმაციას, რომ მოხდა დიდი შეჯახება ეგვიპტელ ქრისტიან კოპტებსა და მაჰმადიან ეგვიპტელებს შორის. შეჯახების შედეგად მოკლულია 25, ხოლო დაშავებულია 100-ზე მეტი ადამიანი...

ვაჟა ფშაველა ისევ წინ მიდის, დრო ვერ ეწევა... თუმცა გასული საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტებს ეყოთ თავხედობა იმისათვის, რომ ვაჟა ფშაველა „ჩამორჩენილ“ მწერლად გამოეცხადებინათ...

უდაბნოს ნადირის გამძლეობა

მიიჩნევენ, რომ უდაბნოს ნადირს სამი გამოკვეთილი თვისება აქვს — დაუნდობლობა, გეშის უნარი და გამძლეობა... მე მწამს, რომ სწორედ ამ მესამე თვისებამ გადაარჩინა საქართველო — გაძლეს ალყადარტყმულ ციხეში გამომწყვდეულმა მეციხოვნეებმა, გაძლეს კედლებმა, გაძლეს ლეგენდებმა, გაძლო იმედმა... გაძლეს ჩვენმა ლექსებმა და სიმღერებმა. გაძლეს ჩვენმა მომღერლებმა და პოეტებმა — გამოანგრიეს საუკუნეების კედლები, გამოცურეს ცეცხლის მდინარეები; სასწაულით გადარჩა გურამიშვილი, სასწაულით გადარჩა ბარათაშვილი... გადარჩნენ დედას ლევანა და „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“...

— საიდან მოხვე გონაშვილო, უკვდავო და უბერებელო?

— ისტორიის სიღრმიდან მოვე და კვლავ ისტორიაში წავალ!

რატომ ვწერ?!

— რისთვის წერ?! — მეკითხება და ხაზგასმული ათვალწუნებით შემომყურებს თვალებში ჩემივე ცბიერი ეჭვი.

— რისთვის წერ?! რისთვის წერ?! — იმეორებს და იმეორებს, არ ჩერდება.

მე ყურს არ ვუგდებ, ვითომ არ მესმის მისი სისინი. ლურჯი მელნით გამყავს ლურჯი სტრიქონები თეთრ ქაღალდზე...

— რისთვის წერ, რისთვის?! ცხაროს სტუმარი, — ვის სჭირდება შენი ნაწერი, ვინ წაიკითხავს მაგ შენს „ნააზრევს“, ვინ დახარჯავს დროს — დეფიციტურს?!

მე ყურს არ ვუგდებ, ლურჯი სტრიქონი გამყავს ქაღალდზე...

უცებ გამწარდა და ქვებივით წამომიშინა:

— რატომ არ გესმის, რატომ ვერ გრძნობ? — ამაოდ შრომობ!

— ყრუ ხომ არა ხარ, რად არ გესმის ჩემი ნათქვამი?!

— ბრმა ხომ არა ხარ! მკითხველის თვალი არ გაჰყვება შენს ლურჯ სტრიქონებს!..

ერთხელაც ვეღარ მოვითმინე და შევუღრინე:

— ჯიბრზე ვწერ, ჯიბრზე, შენს ჯიბრზე ვწერ და აშმორებულ დროის ჯიბრზე ვწერ, ამ უკუღმართი ქარისა და წვიმის ჯიბრზე ვწერ; მე შენს ჯიბრზე ვწერ, საკუთარი თავის ჯიბრზე ვწერ! ლიტერატურის მტრების ჯიბრზე ვწერ!

რას გულისხმობდა იოსებ ბროდსკი?

„ამ საუკუნეში ადვილია, იყო ნათელმხილველი – ივარაუდო, ხვალ რა იქნება...“

რას გულისხმობდა ამ სიტყვებში იოსებ ბროდსკი? – იქნებ იმას, რომ ბოროტების იმპერია ჯერ მაგრად იდგა, თუმცა უკვე ჩანდა ბზარები, უკვე „მოწევნილ“ იყო ჟამი აი, ამ ფსევდოსახელმწიფოს ძირს დამხობისა?..

ეს პრობლემა მკითხველის პრობლემა უფროა

აშკარაა, რომ საზოგადოებრივ არენაზე, თუ ასპარეზზე აღარ ჩანს მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი...). ადრე, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნეში, თუ მწერალს ამ ასპარეზზე დაუყვედრებელი პირველი ადგილი ეკავა, ახლა ეგრე აღარაა. ახლა ეს ავანგარდული როლი მომღერალმა, კინორეჟისორმა, შოუმენმა... იკისრა, ანუ „საზოგადოებრივი დატვირთვით“ ხელოვნების უფრო „მსუბუქი ჟანრები“ დაკავდნენ. ხელოვანთა ჩამონათვალში კი მწერალს ხან მოიხსენიებენ და ხან – არა.

ასეთია რეალობა. ასე განსაჯა ინტეგრაციის, კომპიუტერის, ტელევიზიის, ინტერნეტის საუკუნემ. ხალხს „აღარ სჭირდება“ ისეთი „მძიმე და არამობილური“ ჟანრი, როგორიც ლიტერატურაა. ახლა ოთხჯერ კი არა (გავიხსენოთ ფოლკნერის ცნობილი გამონათქვამი...), ერთხელაც აღარ კითხულობენ ბრწყინვალე ლექსებსა და რომანებს. ზოგჯერ ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ლიტერატურას საერთოდ არ კითხულობენ, ან მხოლოდ ის კითხულობს, ვინც წერს.

...და ეს პრობლემა, ჩემი აზრით, მკითხველისა და, საერთოდ, საზოგადოების პრობლემა უფროა, ვიდრე მწერლისა და ლიტერატურისა. მე ფიქრიც კი მზარავს ულიტერატუროდ დარჩენილი საზოგადოების პერსპექტივაზე...

ქოსების დუქანში

იაკობ მანსვეტაშვილი იგონებს — ერთხელ „ივერიის“ რედაქციიდან ქოსების დუქანში წავიდნენ ჩარგლიდან ახალჩამოსული ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი და შიო მღვიმელი — თითო კვარტი ღვინო დავლიოთო. მეც დამპატიჟეს, მაგრამ მე სარედაქციო საქმე მქონდა და ვერ წავედიო, გული კი დამწყდაო... ამას წერს „ივერიის“ თანამშრომელი, „ილიას კაცი“.

იმ დღეს ახლა ვინ აღადგენს?! — წარმოდგენით კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მიმჯდარა ღვინის სარდაფის ერთ მაგიდასთან სამი სანთელივით წმინდა კაცი, სამი დიდი ეროვნული მოღვაწე და დინჯად საუბრობს მწერლობაზე, თეატრზე, მტერზე და მოყვარეზე... არც კარგი იუმორი აკლია სუფრას... და თანაც კაი კახურ ღვინოს მიირთმევენ წვრილი ჭიქებით... თუმცა სვამს ორი — ვაჟა და შიო, იაკობს კი, როგორც ამბობენ, ღვინო არასოდეს დაულევია. მას, ალბათ, მაწვნის ქილა ან ჩაის ჭიქა ედგა წინ და საუბრით „ქეიფობდა“.

ეჰ, მართლა რომ შეიძლებოდეს იმ საუბრის აღდგენა და მოსმენა!..

„დაღლილი ღმერთი“

ერთხელ, თბილისში, თავისუფლების მოედნის კუთხეში, სადაც ყოფილი კირო-

ვის ქუჩა იწყება და სადაც უზარმაზარი ჭადრებია ჩარიგებული, უცნაურ სანახაობას წავაწყდი — ერთ ჭადართან კონსტანტინე გამსახურდია მიმდგარიყო და ზევით, ხის ტოტებისკენ იყურებოდა, სადაც უამრავი ყვავი ირეოდა — ცნობისმოყვარე ხალხი შეკრებილიყო ჭადრის ირგვლივ და დიდ მწერალს ინტერესით აკვირდებოდა. მწერალი თამაშობდა — ვითომ ყვავებს ამჩნევდა, ხალხს კი — ვერა... ხალხს კი, ალბათ, ეგონა, იმ წამს შეესწრო, როცა დაღლილი ღმერთი ისვენებდა სამყაროს შექმნის შემდეგ...

ცხენი და წიგნი

მუხაწყაროში ვართ. მშვიდი, წყნარი ამინდია. მწვანედ ღაღანებს აქაურობა. ჩვენს უბანში ბევრი ბავშვია, მაგრამ მათი ხმა-ჟრიამული არ ისმის; არც ბურთი სადმე ჩანს და არც დამალობანა-დაჭერობანას მოთამაშენი.

ჩემი შვილიშვილები კომპიუტერებთან მიმსხდარან და „თამაშობენ“ — აგერ, მზე უკვე გადაიხარა, მაგრამ ადგილიდან არ იძვრიან — „თამაშობენ“ ვიღაცისგან თავსმოხვეულ თამაშს. ასეა ჩვენს სახლში, ასეა სხვა სამეზობლო სახლებში.

ადექით, დაიძარით, გადი-გამოდით, ნუ მიეყინენით ამ კომპიუტერებს, — ეუბნება ნანი ყმაწვილებს, — ანდა თუ მოძრაობა გეზარებათ, წიგნი მაინც დამანახეთ თქვენს ხელში...

ეჰ, — ვფიქრობ ჩემთვის, ვიღას უნდა წიგნი და ლიტერატურა! წიგნი მარცხდება კომპიუტერთან შეჯიბრში. როგორც ცხენი დაამარცხა და შეცვალა ავტომობილმა, აი, ისეთი რამ ხდება ახლაც. ნახტომებით მიჰქრის წინ კომპიუტერული ტექნიკა, თანდათან უკან რჩება წიგნი და ამაოდ ამშვიდებენ მას: — არ შეშინდე, არ მოკვდები, აგერ, ცხენი — ხომ მაინც ცოცხლობს და ხომ მაინც იმართება დოღები და მარულები, ხომ მაინც იწეწება ქარებში ლურჯა ცხენების ფაფარიო...

ეჰ, ამშვიდებენ...

სინანული სიმდიდრისთვის

უცნობ პოეტს გიორგი აბაშიძეს დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრისთვის შეუწირავს საღვთისმეტყველო კრებული „გულანის“ სახელწოდებით და შენაწირზე ლექსი წაუწერია:

„წმიდავ დავით გარეჯელო,
ეს წიგნი შენ შემოგწირე,
ამისთვის რომ სიმდიდრეში
სული ცოდვით შევიმცირე.
მეოხ-მეყავ ღმრთის წინაშე,
ვითა წვლილი შეიწირე,
აღმიხოცენ ბრალნი ჩემნი,
განმიბანე ცოდვის მწვირე.

მართლაც კარგი ლექსია თავისი აზრითა და მაღალმხატვრულობით და, ჩემი აზრით, ამ ლექსს კუთვნილი ადგილი უნდა დაეთმოს საღვთისმეტყველო ლიტერატურის კრებულებსა და ქართული პოეზიის ანთოლოგიებში.

აღმოსავლეთის დევის დამხობა

მყინვარწვერზე, ერთ კლდოვან ადგილს თოვლ-ყინული ვერ ფარავს და თეთრ ფონზე სულ მოჩანს შავი კლდე, რომელსაც აქაურები გველეშაპს ამსგავსებენ. ლეგენდაცაა: გველეშაპი დაბმული ამირანის შესაჭმელად მიდიოდა, მაგრამ მას ცეცხლოვანი ლახტის მტყორცნელი ღვთისშვილები დაუხვდნენ და მოკლესო.

ამ ლეგენდის ანალოგიით, მე დიდგორზე ერთი ადგილი „აღმოვაჩინე“, რომელიც მკვდარ დევს ჰგავს... აქ დავით აღმაშენებლის ლაშქარი დაუხვდა საქართველოს შესაჭმელად მომავალ აღმოსავლეთის დიდ დევს და მძლავრი დარტყმით გაანადგურა...

არ ვიცი მართლა დევს გავს ჩემგან „აღმოჩენილი“ დევი, თუ მეჩვენება (დევი ხომ საერთოდ არავის არ უნახავს), თუმცა, ეს ხომ დიდგორია! გარდასული ჟამის აჩრდილებით სავსე...

ტაო იუან-მინი

ჩემს „ლიტერატურულ წარმომავლობაზე“ მრავალმა ავტორმა იქონია გავლენა. ჩემმა ლიტერატურულმა ბედისწერამ ინება, რომ ეს ავტორები და წიგნები დამხვედროდა გზის დასაწყისში.

დღეს ტაო იან-მინს ვიხსენებ.

ჩემს წინაშე დევს დიდი სინოლოგის ლევ ეიდლინის უბრწყინვალესი წიგნი „ტაო იუან-მინი და მისი ლექსები“. ამ წიგნმა ჩემს გვერდიგვერდ იარა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე და თუკი ვინმემ დამარწმუნა, სწორედ ამ წიგნმა დამარწმუნა, რომ ლექსი რითმის რელსების გარეშეც მიიტყორცნება სივრცეებში და რითმის ფრთების გარეშეც ლაღად დაფრინავს თეთრი მწვერვალების ზემოთ...

თუ ვინმემ დამარწმუნა, სწორედ ტაომ დამარწმუნა, რომ ცნებები „ახალი“ და „ძველი“ პოეზიაში პირობითი ცნებებია და თხუთმეტი საუკუნის წინანდელი ზოგი ლექსი უფრო ახალი და თანამედროვეა, ვიდრე გაყინულ სქემებზე დამყარებული თანამედროვე მოლექსე.

კიდევ ერთხელ ვფურცლავ ტაოს წიგნს: „მგზავრობა დედაქალაქიდან ჩემს სახლამდე“, „შთავაგონებ ჩემს ვაჟიშვილს“, „ოჯახისგან დაშორებით“, „ვბაძავ ძველ პოეტებს“, „ვადიდებ საწყალ სწავლულებს“... ყველა ლექსი მომაჯადოებელია და როგორ ჩამოვთვლი მე ასეთ ლექსებს?!.

ერთს კი მაინც გამოვყოფ ამ სიმრავლიდან – ესაა ლექსების ციკლი „მე ვუბრუნდები ბაღებს და მინდვრებს“. ამ ციკლში გადმოცემულია პოეტის განცდები, როცა მან მიატოვა სულისშემხუთველი მაღალი სამსახურებრივი და კანცელარიული პოსტები და დაუბრუნდა მშობლიურ აყვავებულ ბაღებსა და მწვანე მინდვრებს.

არა, ამ ლექსებს საუბრით ვერ გადმოსცემ. ისინი უნდა იგრძნო: როგორ ესალმება პოეტს გუგული და როგორ იღვრება მთვარე მგზავრის გზაზე... „აი, ფრინველი, მგზავრობის შემდეგ, უკან ბრუნდება“... აქ, ამ ლექსებში, იკითხება პოეზიის მარადიული წყურვილი — დაუბრუნდეს ბაღებს, დაუბრუნდეს დიდი მთვარით განათებულ ღამეებს...

დალი და სამძივარი

მითოლოგიური დალი და სამძივარი ერთი და იგივე ფუნქციის მატარებლები არიან – ორივე ნადირთმწყემსია, ორივე მთაში მარტოდ ჩაძინებულ მონადირეებს უმიჯნურდება, ოღონდ სიყვარულის დასასრულია განსხვავებული – დალი კლავს თავის მიჯნურებს, სამძივარი კი ისრულებს სურვილებს და მიდის, იკარგება.

დალი დაუნდობელია – მის სიყვარულში სისხლი ურევია.

სამძივარი უფრო ლმობიერია – ის სიყვარულიდან გარბის, თუმცა... ორივე შემთხვევაში სიყვარული კვდება.

დალი სვანური მითოლოგიის მოვლენაა, სამძივარი – ხევსურულისა.

ორივე ქართული მითოლოგიის მშვენებაა.

უფალი დიდია

ქრისტიანული მრწამსის მიხედვით, ლოცვა ცოდვად იქცევა, თუკი უფალს შენი პირადი მტრის სიკვდილს და შენი წყევლის აღსრულებას შეევედრები, საერთოდ, იმას სთხოვ, რასაც ქრისტიანული წმინდა წიგნი კრძალავს...

უფალი დიდია, მისი სიგრძე-სიგანე ვერ თავსდება ადამიანურ ვნებათა განზომილებებში.

უფალი დიდია, დიდი თვალებით დაჰყურებს წუთისოფლის გზებს, დიდი ნაბიჯებით ზომავს ცისქვეშეთის ცოდვასა და მადლს...

თეთრი მელას იგავი

ხეობაში ერთმანეთის მიყოლებით გაწყდნენ ლომები და ვეფხვები. დარჩა ქვეყანა უმეფოდ. აირია უპატრონო სამეფო. აღარც წესი ვინმეს ახსოვდა და აღარც სამართალი.

შეიკრიბნენ მხეცები ერთ ხეობაში და რა ვქნათო – დაიწყეს ბჭობა.

მე ამირჩიეთ პატრონადო – თქვა დათვმა.

არა, შენ მძინარა ხარ, თვეობით გძინავს, რა ქვეყანას მოუვლიო, – იუარეს მხეცებმა.

ახლა მგელი წამოდგა:

ჩემი ჭკუა და გონება ხომ ყველას კარგად მოგეხსენებათ, მე გაგიწევთ ღირსეულ მეფობას, თუკი მეფის გვირგვინს დამადგამთო.

არაო, – ისევ ერთხმად თქვეს მხეცებმა, ძალიან კარგად გიცნობთ, ჭკუა და გონება ჰაი, ჰაი, რომ გაქვს, მაგრამ ეგ ჭკუა შენს ვერაგობასა და მუცელღმერთობას ემსახურებაო.

მელამ იფიქრა, ახლა კი დადგა ჩემი დროო, ისკუპა და მხეცების დიდი საკრებულოს წინაშე წამოიჭიმა თავისი თეთრად მოელვარე ფრაკითა და თეთრი ქოჩრით...

მხეცებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს და აჩურჩულდნენ: – ეს ხომ ჩვენი წუწკი წითელი მელაა, რა ფრაკი ჩაუცვამსო... მაგრამ ვიდრე ხმამაღლა რამეს იტყოდნენ, მელამ დაასწრო:

მე წითელი მელა არ გეგონოთ, ის მელა თავის წუწკობასა და ქურდობას გადაყვა, მონადირეებმა მახე დაუგეს და დაიჭირეს, მე კი თეთრი ლომის შვილი ვარ; ის ლომი დედაჩემს ჰყვარობდა და მათი შთამომავალი გახლავართო. ამიტომ მეფობა თუ ვინმეს ეკუთვნის, მე მეკუთვნის, ჩემი ძალგულოვნებისა და ჭკუა-გონების იმედი გქონდეთ, თუ რამ ჩემს ნათქვამში არ გჯერათ, ჩემს მეგობარ ტურას ბე-ბეიკეს ჰკითხეთო.

ჰკითხეს ტურას და იმანაც დაუდასტურა: ჩემი მეგობარი უბრალო თეთრი მელა კი არ არის, ნახევრად მელაა და ნახევრად – ლომი. ჭკუა მელასი აქვს, ძალ-ღონე კი ლომისაო, თუ ბრძენი და ძალგულოვანი მმართველი გინდათ, ეს უნდა აირჩიოთო...

შეცდნენ მხეცები და თეთრ მელას ზარ-ზეიმით დაადგეს მეფის გვირგვინი. მხოლოდ კურდღელი გაჰკიოდა:

არ ენდოთ, ბრძენი კი არა, გაიძვერა წითელი მელააო!

მაგრამ ვინ დაუჯერა კურდღელს!..

დაჯდა თეთრი მელა მორჭმით და დაიწყო მეფობა, მაგრამ ვაი ამ მეფობას – ხაზინის უფროსად მგელი დასვა, ეკონომიკის მინისტრად – აფთარი, ხოლო განათლების საქმე ტურას ჩააბარა...

ასე და ამრიგად, ქვეყანას მტაცებლობის ცეცხლი წაეკიდა. ითმინეს, ითმინეს ხეობის მხეცებმა და ვეღარ მოითმინეს – აჯანყდნენ, მიუცვივდნენ მელას, გაკოჭეს და თეთრი ტყავი გააძვრეს. აქ კი გაოცდნენ აჯანყებულები – თეთრი ფრაკის შიგნით მელას წითელზე წითელი რუსული ფრაკი ეცვა. ასე რომ, გარდაცვლილ მელას ორი ფრაკი ჰქონია – წითელი და თეთრი და გარემოება როგორც მოითხოვდა, ფრაკსაც იმის მიხედვით იცვლიდა.

ჩანაწერები შემოდგომის რვეულში

გამოცალკევდა შემოდგომა —
გამოვიდა მწვანე ძილიდან,
გამოცალკევდა, გაუხუნდა მწვანე
საბანი.
გამოიდევნა მწვანე ტბიდან,
გამოირიყა.
რაც წინათ იყო,
აჩრდილიღა დარჩა იმისა...
ხოლო აჩრდილი აჩრდილია —
ღამისფერია,
მიწისფერია — დღის ფერები
არ ურევია,
შიგ მზის ფერები,
ცის ფერები არ ციალებენ.

* * *

ჟამი ჟამს მისდევს,
წელი წელს და საათი — საათს,
ღრუბელი — ღრუბელს,
მთვარე — მთვარეს,
ფრინველი — ფრინველს,
გაქცეულ ირემს
გაქცეული ირემი მისდევს...
ერთად გარბიან
დასასრულის საზღვრებისაკენ —
ცრემლი ცრემლს მისდევს...
კვნესა — კვნესას,
დილა — საღამოს...
გადარბენაა — ყველა მირბის
დასასრულისკენ,
მხოლოდ დასავლის კარებია
გამოღებული.

* * *

როგორ ჰგავს ჩავლილ შემოდგომებს
ეს შემოდგომა!
როგორ ძლიერ ჰგავს
ჩვენს მომავალს ჩვენი წარსული!
ერთი დღე სხვა დღეს
სულაც ერთი ნაბიჯით უსწრებს...
მერე კი ერთურთს სამუდამოდ
უერთდებიან —
ნაცრად, ძვლებად და ნანგრევებად
უერთდებიან...

მეკლდეური

ახალგაზრდა პოეტების ნაწერებს ვკითხულობ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ თანმიმდევრული მკითხველი ვარ-მეთქი. ამიტომ კონკრეტული დასკვნებისაგან ყოველთვის თავს ვიკავებ და ახლაც ზოგადი სურვილით შემოვიფარგლები...

მინდა ჩემმა უმცროსმა თანამოკალმეებმა ერთი წამითაც არ დაივიწყონ, რომ პოეტის პროფესია უმძიმესი პროფესიაა. იგი მთამსვლელის, მეკლდეურის დიდ ნებისყოფას, თავგანწირვასა და ოსტატობას მოითხოვს... ამიტომ მე არ მჯერა, რომ მწვერვალს ვინმე პირდაპირ ზემოდან დააფრინდება – კლდოვანი ბილიკების გაუვლელად. პოეტი იწყება მაშინ, როდესაც იგი თავისი ტვირთის სიმძიმესა და სისასტიკეს იგრძნობს.

მიწიდან ამოწვდილ მახვილივით...

1924 წელს შეიპყრეს და დახვრიტეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ღირსეული თანამებრძოლი მიხა მთიბელაშვილი. 1925 წელს კი ასევე ქაქუცა ჩამოლოყაშვილის თანამებრძოლმა და განთქმულმა მოლექსემ მიხა ხელაშვილმა წერილი მისწერა მთიბელაშვილის დას – პარასკევას.

აი, ეს წერილიც: „ნუ იფიქრებ, რომ შენი ძმა მოკვდა და აღარ არის, მოკლეს და დაიკარგა. არა, ის არც მკვდარია და არც დაკარგული. ერთი კი არა, მრავალი ვაჟკაცი შეუწირია საქართველოს მსხვერპლად. ზოგი თვეობით წყალში ჰყავთ ჩეკას სარდაფებში, ზოგი გზებზე დახვრიტეს, ზოგიც – საკუთარ სახლში, ზოგი — ბრძოლაში. ჩვენი სისხლითა და ხორცით მორწყეს მთელი საქართველო. მრავალ ვაჟკაცთ გადადვეს ნებით საკუთარი თავი თავის სამშობლოსათვის და თავის სიცოცხლე მწარე სიკვდილს მისცეს პირში. განა ეს ამოდენა სამშობლოსათვის დახოცილი და დასჯილი ხალხი დაკარგულია? არა! იმათი სახელი მქუხარებს და მზეობს სამშობლოსათვის. იმათი სახელი მთელ საქართველოს ეძახის: – მოდით უშიშრად, მტრებმა და დასჯამ არ შეგაშინოთ! დღევანდელ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო... კაცი ადრე თუ გვიან სიკვდილს ვერ დაემალება. მაშასადამე, სახელით მოკვდეს, ძროხასავით უსულო სიკვდილს. ნეტავი იმათ სიკვდილს, ვინც სამშობლოს შეეწირება და უკვდავყოფს თავის სულს“.

როგორც იტყვიან, ამ სიტყვებს მართლაც არ სჭირდება კომენტარი. მიხა ხელაშვილის დიდმა ტალანტმა ამ წერილშიც იჩინა თავი, აქაც გადმოიღვარა რუსი ოკუპანტებისადმი ზიზღი.

მართლა არ კვდებიან სამშობლოს თავისუფლებისათვის დახოცილი ვაჟკაცები! მათი დანატოვარი სიტყვა მიწიდან ამოწვდილ მახვილივით ელავს!

პაატა ბერიკაშვილი

გაგიკვირდება

გაგიკვირდება,
ეს ციცქნა ვარდი,
რამხელა ზამთრის ტკივილებს იტევს,
მაგრამ ხომ გახსოვს,
მაგრამ ხომ გახსოვს,
ეს განა შენთვის, ისე მოვწყვიტე...

გაგიკვირდება,
ისე ქრებიან
ქალაქის თავზე თეთრი ღრუბლები,
როგორც ცისკრისას ლამპიონები
და უშენობის გაზაფხულები.

გაგიკვირდება,
ისე ქრის ქარი,
ქარის ისეთი დაქრის არულა,
თითქოს დაღლილი ქარი ზამთარში
აქ მოსალხენად გამოპარულა.

სადაურია ეს გაკვირვებაც,
აქ იმდენ ზამთარს გადაუვლია...
მაგრამ გაოცებს თბილისში ქარიც,
როცა ასეთი გაზაფხულია.

გაგიკვირდება,
ეს ციცქნა ვარდი,
რამხელა ზამთრის ტკივილებს იტევს...

* * *

— რა ლამაზია ეს სტრიქონი,
ეს თქვენ დასწერეთ? —
ტიტინებს ნაზად მაგიდაზე დახრილი ქალი,
— ესეც თქვენია?
რა კარგია, რა მომხიბლავი...

კაბა — დეკოლტე, ოქროს ხაზი, თეთრი და შავი...
მე ვზივარ მთვრალი,
მიუკიბავ-მოუკიბავი,
გულში ჰაზრი მაქვს ბოჰემური, საამო, ავი...

მიყვარს ეს ქალი

მიყვარს ეს ქალი,
ახლა ვხვდები, ძალიან მიყვარს,
მკრთალი ხელებით,
წვრილმანებზე დამღლელი ფიქრით,
გავცდებით ალბათ უცხოობის ზღვარსა და ტიხარს,
თუნდ ძალიან შორს,
თუნდაც მერე, სიცოცხლის იქით.

მიყვარს ეს ქალი...
ახლა მოვა, მოიტანს ვარდებს,
ვარდები უყვარს,
უვარდებო სასახლის მხევალს,
მოვა და შიშით შეეხება დამტვერილ ფარდებს,
რადგან მეც მუდამ დავიწყებით დამტვერილს მხედავს.

მიყვარს ეს ქალი,
იქნებ ვცდები... რა ვუყოთ ხდება,
მაგრამ როდესაც თავის სულის სალაროს ქურდავს,
ვატყობ, ბავშვივით უხარია
ან იქნებ ხვდება
რომ სიყვარულის არ აბრუნებს არავინ ხურდას.

დრო არის მშვიდი,
სევდის დარი და მაგიერი,
გადავწევ ფარდას, უკვე დროა, უკვე თენდება,
ის წავა ახლა,
ვარდებით და ამაყ იერით,
წავალ და ქალურ სიმარტოვით მოითენთება.

და ეშინიათ ქალებს...

დროა! — ჩურჩულებს ქალი,
ვერცხლისფრად ელავს ღილი,
ღილი – დარაჯი ავი,
დედაბერივით ფრთხილი.

ცახცახით იკრავს საკინძს,
საკინძს მკერდივით მოვლილს,
იდუმალებით ნაკინძს
უპირველესად ყოვლის.

ბუხართან მშვიდად ვთბებით,
რა დრო გასულა უკვე,
ქალს ნაფერები თმების
გაჯიუტება უკვირს...

თეთრი ფარდების ჩქამი,
შორს ქიმერაა ბინდის,
ქალი მოპარულ ღამის
დასატირებლად მიდის.

მალე ჩამოდის ქმარი,
მობეზრებული მეფე,
რის სინანული – კმარა,
ძველი დარდები ყეფენ.

ხვალ დაალაგებს ოთახს,
დღეს აღარავინ მოდის,
არავინ არღვევს დუმილს
და პენელოპეს ლოდინს...

რადგან სიმშვიდის დროა
ჯერ მოლოდინის ნაცვლად
და ეშინიათ ქალებს
ღამეში მარტო გასვლა....

მე ვიცი, მალე მოვა აპრილი

დღეს ისე ათოვს შენს ლამაზ ბაღებს
და ისე ცელქობს თოვლის მარულა,
თითქოს ამ სახლში ბერი-ზამთარი
შენს საფერებლად შემოპარულა!

დაიფარება ყინვის მტევნებით
მოოქროვილი ფარდის ქარგები.
შენ მთვრალ ბილიკებს აედევნები
და ამ ზამთარში დამეკარგები...

ისე მოგქანცავს ეგ საოცრება,
ფიქრები ისე გაგატიალებს,
ტუჩებს მიანდობ დასაკოცნელად
თოვას, უგზოოდ მოხეტიალეს.

მე ვიცი, მალე მოვა აპრილი,
თან მოიყოლებს ქარვისფერ ნისლებს,
შერჩები თოვლით დაფარულ ბილიკს
და გაზაფხული სხვაგან მოგისწრებს...

გაგიმეორებ — დარჩი ამ სახლში,
ჩვენი წარსული იყოს თავდებად,
ნუ წახვალ თოვლში, ან წადი მაშინ,
ამხელა თოვა რომ გათავდება...

ველარ გაგიშვებ,
ერთხელ უკვე ვენდე ამ ზამთარს,
გაყინულ ბაღში ღამეს ტეხდნენ როცა ბიჭები,
და მერე დილით, თეთრი სევდით დაფარულ ველზე
ძლივს მოვიძიე შენი მკრთალი დანაბიჯები.

მე ვიცი, მალე მოვა აპრილი,
ღრუბლები ლაშქრად აიყრებიან...

მე აღარ მახსოვს, გეცვა...

მე აღარ მახსოვს, გეცვა, აბრეშუმის თუ მოვის,
კაბა ღამეულ ფიქრის, კაბა ვარსკვლავთა თოვის,

ქარებს ნისლებით სოველს, ამვლელს და ჩამვლელს
ყოველს,
ნატვრისთვალივით ვეძებ შენი ბილიკის მპოვნელს.

შენ გეშინია... ითმენ სასტიკ სიჩუმეს ბინდის,
ითმენ საათის წიკწიკს, დრო ფეხაკრებით მიდის,

მოგიტევებენ, ვიცი...
ქარის გხიბლავდა ფრთები,
დედოფლის თეთრი ჩალმა და თეთრი აღმართები.

ნუ მიენდობი ქარში ბილიკს წალეკილს თოვლის,
ქარს ქარის მიაქვს მხოლოდ, უპირველესად ყოვლის.

შეგრჩება მხოლოდ დარდი,
დარდის წაგიღებს ზვირთი,
ქარი – დერვიშის კაბა, ქარი — ყარიბის ტვირთი.

მე აღარ მახსოვს, გეცვა, აბრეშუმის თუ მოვის,
კაბა ღამეულ ფიქრის, კაბა ვარსკვლავთა თოვის...

* * *

მძივზე შეწყვეტილს
ნელა ვითვლი ნატვრისთვალს ამდენს,
გაკრთდნენ და გაქრნენ,
მახსოვს, ძველი თილისმა გქონდა.
ღელავდნენ თმები...
თმები წვიმის ჩუქურთმებს ჰგავდნენ,
როცა ეს ფარდა წვიმით სავსე ჰაერში ქროდა...

იქნებ სხვა იყო...
შენს მაგივრად სხვა ქალი შერჩა
ამ სანთიობოს სულ სხვა ფერის, შორი და უცხო...
ამიტომ მინდა ჩავიმუხლო და შენთან ერთად
ბნელში გაბნეულ მოგონებებს ძებნა დავუწყო...

ჩაიარა

ჩაიარა, გაზაფხულზე ვამბობ...
თითქოს ყველა გაზაფხულებს ვთვლიდი,
გული უკვე აღარ არის სანდო,
გული — ყველა გაზაფხულზე ფლიდი.

ჩაიარა, ლამაზ ქალზე ვამბობ...
მახსოვს, გრძნეულ პასიანსებს შლიდი,
გული უკვე აღარ არის სანდო,
გული — ბებერ დერვიშივით მშვიდი.

ჩაიარა, სიყვარულზე ვამბობ...
დარჩა ფერი გაცრეცილი ფარჩის,
გული, გული აღარ არის სანდო,
გული — ძველი სიყვარულის ჩარჩი.

ჩაიარა, მეგობარზე ვამბობ,
მერამდენედ ამაცდინეს ტყვია...
გული, გული ველარ იტანს ამბოხს,
გული უკვე მოგონების ტყვეა.

ნელა მიდის, სიცოცხლეზე ვამბობ...
მივუყვები პორტრეტების რიგებს,
გული თორემ, სურათების ალბომს
ნაწილ-ნაწილ ხვალვე დავარიგებ.

ჩაიარა...
ვარჩევ ნება-ნება
ხვალ სცენაზე გამოსატან როლებს,
კალენდარი...
დრო თოვლივით დნება
და თავისი გზებით მიმაქროლებს.

ჩაიარა, გაზაფხულზე ვამბობ...

ვიხსენებ შენი ოთახის სითბოს

ვიხსენებ შენი ოთახის სითბოს,
მაშინაც ზამთრით დაღლა მელოდა,
მაშინაც ასე ვნატრობდით თითქოს
გამონათებას რილო-ჭრელოთა.

ენძელით ხელში გასცდები ფარდას...
ყვავილთან ერთად დარდობ და ჭკნები,
დგას თაფლის ქილა გაღებულ კართან,
ქილასთან მშვიდად დაფრენენ ჭკები.

წარსული თეთრი თოვლივით მოდის,
ღამეც წარსულით მოითენთება,
შენ (ეძებ საათს): თენდება როდის?!
მე: აღარ მახსოვს როდის თენდება...

ვიხსენებ შენი ოთახის სითბოს,
თითქოს ზამთარი წარსულში მგზავნის,
შენ: ვიღაც სახლში შემოსვლას ითხოვს...
მე: ალბათ ზამთრის იქნება მგზავრი...

ხანდახან, როცა ყველას ვივიწყებ

ხანდახან, როცა ყველას ვივიწყებ,
როცა ქუჩაში ისევ ქარია,
ვადგები წლებში ჩაკარგულ ბილიკს
და ისევ შენსკენ მომიხარია.

ხანდახან, როცა დამემდურები
(ხდება ასეთი უბედურებაც),
გაშინებს გრძელი ღამის ლოდინი
და ცარიელი ქუჩის ყურება.

ხანდახან ხდება და... მავიწყდები
(ძლივს ავუდივარ ამდენ გადიებს),
ხანდახან ხდება...
ნუ გამიწყრები,
შენ თავად მოდი და მაპატიე.

* * *

როცა წვიმს და
როცა ელვა
აკრთობს
ალვის ხეივანს,
როცა ქარი დააქროლებს
ჩამოხეულ აფიშებს,

სწორედ მაშინ მოდის
დაღლილ,
უსახლკარო ქალივით,
ფიქრი შენზე
და ჩემს ზღურბლზე ჩუმად გადმოაბიჯებს...

შენში ბიბლიურ დედოფალის სიმკაცრეს ვხედავ

შენში ბიბლიურ დედოფალის სიმკაცრეს ვხედავ,
სულს მისტიური წარმოსახვის რიდე აბოდებს,
სარკმელზე ვერცხლის ვარაყები ნაზამთრალ ხეთა
აკრთობს ფარდების სანთლისმიერ რიბი-რაბოებს.

ხელი სავარძლის სახელურზე – ნება თამარის,
დაღლილი, თითქოს უსასრულო ღამე ათია,
და მიკარნახებს მუხლმოდრეკას მხედართმთავარი –
სიცოცხლე ჩემი, სასაცილო გალიმათია...

* * *

შენ კი არ გძინავს
შენში სძინავს მთვარეს და სიზმრებს,
მეტამორფოზულ სიყვარულის ახსნას ვუნდები,
და მეშინია,
უსაშველოდ დაღლილს და ფხიზელს,
არ ჩამეძინოს, სანამ შენით დავსნეულდები.

ისე მიჰყვება სურო თეთრ სარკმელს...

ისე მიჰყვება სურო თეთრ სარკმელს,
როგორც ღიმილი მაგ ტუჩის კიდეს,
ღამე უცნაურ საკმეველს აკმევს,
ცაზე უცნაურ ნათურებს კიდებს...

მოდი ჩამოვსხდეთ,
ღამეს ერთგული
ტალად დამდგომის შერჩა უფლება,
შავი სამოსით,
მთვარის ორდენით
დგას და თავის თავს ესაუბრება.

სადღაც თენდება,
დღე დადგა სადღაც,
სადღაც მოწყენილ სტუმარს ართობენ,
ქალაქებს ეულ
თილისმად დააქვთ
ცას შეტოვებულ მზის სიმარტოვე.

თენდება,
ვიღაც ნასიზმრალს ტირის,
დღე გოლიათის დროით იზრდება,
ახლა ტრამვაი ჩაივლის დილის,
ახლა ეს ქუჩაც გამოფხიზლდება...

გემშვიდობები...

მთრთოლვარე თითებს – მარმარილოს სანთლების ციაგს –
შორეულ ზამთრის სიზმრებიდან მოფრენილ ჩიტებს,
ქარს, მისხალ-მისხალ ამ სიცოცხლის სითბო რომ მიაქვს
და თეთრ სასახლეს, ასი ზამთრის ტკივილს რომ იტევს,
ვემშვიდობები...
გაზაფხულით მომწყურდა დაღლა.

შენს ცისფერ თვალებს – მათი ფერი მაშინებს რადგან,
ტუჩებს და ტუჩზე გარინდებულ მოთმენას ჩემსას,
ვუმზერ და თითქოს ნაბიჯს გრძნეულ დარბაზში ვადგამ
უკანასკნელის სადაც ვფიქრობ ფიალის შესმას,
ვემშვიდობები,
გაზაფხულის ჟამია ახლა.

შენს თეთრ სასთუმალს — ერთ ღამეში ავივსე მისით,
როგორც ქუჩაში მოფარფატე ქარი ნისლებით,
ხელით ვეხები, ვიმახსოვრებ, ორივემ ვიცით,
უკანასკნელი განთიადით გარდავიცვლებით...
გემშვიდობები,
ნაზამთრალი მომბეზრდა სახლი...

შენ მხოლოდ ზათრით, მხოლოდ ზამთრით, ცოცხლობ
და სუნთქავ,
როგორც ფარვანა უნატიფეს ყინულებს მიღმა,
თითქოს ადგე და ისევ ზამთრად გაფრინდე უნდა,
თითქოს ყინულის მომაკვდავი სინაზე გიხმობს...
გემშვიდობები,
გაზაფხულის სევდა მღლის ახლის...

შეხვედრები და ძიძის მეთვალყურეობა

ავად სწორდება ქალი ძველი ყაიდის სკამზე,
სკამზე თავადის ღერბი და ლეოპარდის თათი...
— რომელ საათზე მოხვალ? – ასე, საათის სამზე,
გულუბრყვილობავ ჩემო, არის საღამოს ათი.

წინაპრებისას ირგებს გოგონა ამაყ ნიღაბს,
მერე გადადგამს ფინჯანს – გაცივებულა ყავა...
ძიძას, იერით კატის, ფინჯანი ფრთხილად მიაქვს,
მოიხედავს და ზვერვით ფარდების მიღმა გავა.

მე ფრთხილად გავხსნი არაყს...
გოგონა წკიპავს წარბებს...
— რატომ გაბრაზდით? არაყს ნაპოლეონიც სვამდა...
— ნაპოლეონი?
— დიახ! — აქ ძიძას ფინჯანს ართმევს...
— სვამდნენ ლუი და ფრიდრიხ, ჰქონდათ კავშირი სამთა.

აიმრიზება წამით, – დიდი ამბავი, ფრიდრიხ,
ვინ იყო ერთი ფრიდრიხ, რომელი ქვეყნის მეფე?!
და აქ ვახეთქებ ტყუილს დილეტანტური რიხით,
— პრუსიად ედგა ტახტი, ვრცელი პალატა სეფე.

კონტესამ თუმცა ეჭვით, მაინც ირწმუნა ბოლოს,
სურათს შეხედა, სანამ აგემოვნებდა არაყს,
ამბობს: ბაბუა თუმცა, თავადი იყო მხოლოდ,
მაგრამ, იცოდეთ, არვის აპატიებდა ღალატს.

მერე მსახური სახლის და დუენია ავი,
ტრადიციულად მკაცრი, მოსასვენებლად მიდის,
სანამ შეეძლო ბებერს, ფხიზლად ეჭირა თავი,
რა ქნას, დაღამდა უკვე, უკვე ჟამია ბინდის.

ქალი სიცილით კვდება, რომ გაიხსენებს ფრიდრიხს,
სვამს არაყს, ნელა თვრება, მერე ძიძაზე ამბობს:
— აბა, რა მეთქვა, ისე მომჩერებოდა რისხვით,
ჩიხტიკოპოსან ქალთა მეგონა ვშლიდი ალბომს.
...
თენდება, მზერა სცდება ბინდის გაცრეცილ სამანს,
გამოფხიზლების ჟამი – დილაა, უთენია,
უნდა მოვასწრო წასვლა, გაიღვიძებენ სანამ
ბაბუა – კედლის მეფე და მკაცრი დუენია...

ნანა ეხვაია

***

მადლობელი ვარ შენი შუქისთვის,
ჩემს დაღლილ სულს რომ შვებად ებოძა
და იმ დროული შეძახილისთვის,
მეკობრის ლუკმად რომ არ დამტოვა.

***

საწუთროს წყრთა და ადლი, არშინი
ადამიანად ყოფნის ნებაა,
თორემ, როდესაც სიკვდილის მაცნეს
მოუწევს ჩვენი გაღმა გაყვანა,
ვეღარ წაზიდავ გოდრებით ოქროს,
თუნდაც გატანდეს ხარბი ქვეყანა.

***

როცა გაიღება სიკვდილის კარი,
მიწის ბელტების ნაცვლად
ყვითელ ფოთლებს მომაყრიდეს ქარი,
უფლის წყალობის დასტურად
ბოლო ზიარების გამყვებოდეს მადლი,
ხორცთან გაყრილი სულის სახსნელად
მოძღვრის „სულთა თანა“
გამიხდებოდეს — საშვი.

***

უღირსი, შენი წიაღის მდომი
მხოლოდ შენ გიმზერ შვების ცრემლებით —
რამდენი ცოდვის მომეც უფლება,
რომ გამორკვეულს და თვალახელილს
გამკვირვებოდა უხვი წყალობა.

***

მადლობელი ვარ,
წყვდიადისთვის რომ არ გამწირე
და მოთმინებით დამელოდე
გვირაბის ბოლოს.

***

მე უკვე შენი მორჩილი ყმა ვარ,
ხმა ვარ უშორეს მოსახილავთა
და კაცთა შორის მარტოობისგან
შენი ძახილის სიტკბო მიფარავს.

***

ნიბლია ჩიტის ნისკარტზე ძინავს
თბილი საღამოს ჩუმ გარინდებას,
სამყარო ფეთქავს უფლის კალთაზე
და მეწამული კვართის სინათლე
მიწის არეულ, მძიმე ნაბიჯებს
ციდან დაჰყურებს დასამშვიდებლად.

დიალოგი იდუმალ ხმასთან

— ნებისმიერი არჩევანი...
— სწორედ რომ, ნების მიერია
ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა,
აბა, ძალის მიერი —
მ ე ფ ი ს ტ ო ფ ე ლ ი ა.

***

რწმენით თუ არ მიუჯდები
წუთისოფლის ჭადრაკს,
ვერ ასცდები მეფისტოფლის
სამუდამო შამათს.

***

შემოვიარე ყველა სამთავრო —
მშფოთვარე, ავი, მრუდე, დამრეცი,
ვაწვალე ფიქრი, გული, გონება,
მუნჯურად ვწურე ცოდვის მტევნები
და როცა უფსკრულს შევეხმიანე,
შენ სწორედ მაშინ მომისათხევლე.

***

შენ მაგრძნობინე ამაოების
ნამდვილი აზრი;
ყინულოვანი მწვერვალებიდან
ჩამომადინე თბილ ნაკადულად;
გამომაღვიძე, გამახსენე, დავთრებარეულს,
მენელსაცხებლე დედათა ხვედრი
და დამაბრუნე უგზოობიდან
შენი ღვთიური სიტყვით: „მომყევი!“

***

შენ, სახიერი,
მოთმინებით ხარ აღჭურვილი
და ითვლი ჩვენი ნაბიჯების
არეულ ექოს;
გვიცდი, უკუნში კელაპტრად გვინთებ
თაბორის ნათლის უკვდავ მაგალითს,
რომ დაგვაბრუნო საკუთარ თავთან —
ნამდვილ მამულში გასამგზავრებლად.

***

ცა — ღვთის საუფლოა,
მიწა — ნატერფალი.
ყოფნის მიზანი გამომიცხადე
და მხსნელი კალთა გადმომაფარე,
რომ შენი შუქის ნუგეშით სავსე
მიწას ვემთხვიო და ზეცას ავწვდე.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ილიკოს კი ამასობაში ერთი უცნაური ჩვევა დასჩემდა: სულმუდამ რაღაც უნდოდა და ამავე დროს არასოდეს არაფერი არ უნდოდა. მოითხოვდა წყალს და არ დალევდა. მოითხოვდა საჭმელს და არ შეჭამდა. მოინატრებდა შვილიშვილს და ზედ არ შეხედავდა. შეშინებულმა ივდითიმ ყველაფერი დაუყოვნებლივ უამბო ექიმს და რჩევა ჰკითხა. ექიმმა გულდასმით მოუსმინა, ცოტა შეფიქრიანდა, მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ ილიკო აქამდე არასოდეს ყოფილა ავად, წამსვე რწმენა დაუბრუნდა და ძველებური თავდაჯერებით დაამშვიდა ჭირისუფალი:

– გაუვლის.

ავადმყოფს მრავალი მნახველი ჰყავდა: ნათესავები, ნაცნობები, კოლეგები. ვარლამა გიორგობიანი დღეში ორჯერ მოდიოდა, სამუშაო საათებში და სამუშაო საათების შემდეგ. ილიკოს ნაკლებად სჯეროდა, თითქოს ასეთი წარამარა ძუნძული სიყვარულისა და მოვალეობის ბრალი ყოფილიყოს; ვინ არ იცოდა ვარლამა გიორგობიანის ცუღლუტობის ამბავი: ნახევარ სიცოცხლეს ერჩივნა ერთი საათით სამუშაოს გაცდენა. რაც შეეხება საღამოს ვიზიტებს, ამასაც თავისი ფარული მიზეზი ჰქონდა. ფარული მიზეზი გუგულა ბარნაბიშვილი იყო. დიახ, საღამოობით ვარლამა გიორგობიანი ყოველთვის გუგულა ბარნაბიშვილთან ერთად მოდიოდა და ამ ამბით დიდადაც მოჰქონდა თავი. ხანდახან გამომწვევად გადახედავდა ავადმყოფ კოლეგას და თვალებით ეუბნებოდა: „რა გიკვირს, შე გამოჩერჩეტებულო ბებერო, ამნაირები უნახავს ვარლამა გიორგობიანს?“ თუმცა ავადმყოფმა კოლეგამ მშვენივრად იცოდა, რომ ერთადერთი ქალი, ვინც არად ჩააგდო ვარლამას ცხვირი და მის გვერდით სიარული არ იუკადრისა, ეს ჭკუათხელი გუგულა ბარნაბიშვილი იყო.

ხანდახან ოთხივე კოლეგა ერთად გამოცხადდებოდა, თან საკონდიტრო მაღაზიიდან რაღაცას წამოიძღვანიებდნენ. დაეწყობოდნენ და შემოლაგდებოდნენ. წინ მოხუცი კოლეგა მოდიოდა, მას გუგულა ბარნაბიშვილი მოყვებოდა, გუგულა ბარნაბიშვილის უკან ვარლამა მოაბიჯებდა, ბოლოში მოჩანჩალებდა მეოთხე კოლეგა, რომელიც საერთო საუბარში იშვიათად ერეოდა.

კოლეგები დასხდებოდნენ, იმუსაიფებდნენ, შეჭამდნენ თავიანთ მოტანილ ნამცხვარს და ივდითის მიერ სახელდახელოდ დაცხობილ ხაჭაპურებს; კაცები ცოტა არაყსაც გადაკრავდნენ (ვარლამა გიორგობიანი ძლივს ათავებდა სადღეგრძელოებს, მაშინ როცა მეოთხე კოლეგა პირველ ჭიქაზე ამბობდა – გაგიმარჯოთო, და წითლდებოდა, ხოლო ყოველ მომდევნო ჭიქაზე – კიდევ გაგიმარჯოთო, და კიდევ წითლდებოდა).

ივდითი სტუმრებს გულთბილად მასპინძლობდა, ღიმილით აძალებდა ქალებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა გუგულა ბარნაბიშვილს, ტკბილ არაყს, და ყოველნაირად ცდილობდა მეოთხე კოლეგა გაემხნევებია.

პირველ ხანებში ილიკოს ძალიან უხაროდა კოლეგების სტუმრობა. ჭირვეულობა უკვალოდ ქრებოდა და გაცხოველებით საუბრობდა სტუმრებთან (არც იმას დავფარავთ, რომ მიუხედავად თავისი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისა, დროდადრო თვალს გააპარებდა ხოლმე ახალგაზრდა გუგულა ბარნაბიშვილის მაღალი მკერდისაკენ).

– რავაა, ილიკო, საქმე? – შემოსვლისთანავე, წინა ოთახიდან დაიწყებდა ბღავილს ვარლამა გიორგობიანი, – ვერაფერი მოგიხერხა იმ ფილასოფოსა ექიმმა?

ილიკომ იცოდა, რომ „ვერაფერი მოგიხერხაში“ ეს ვირი მორჩენას კი არ გულისხმობდა, არამედ საიქიოს გასტუმრებას, და წყნარად წაილაპარაკებდა:

– ბარე ორ ცხვირს გევიმძღვარებ, ბიძია, წინ.

ვარლამა აროხროხდებოდა და ამ როხროხით რწმენასაც უწონებდა ილიკოს და თან თითქოს დასცინოდა კიდეც ამ უგუნური რწმენის გამო. ამასობაში კოლეგების მოწინავე რაზმი (მოხუცი კოლეგა, ყურისძირების ზელის ოსტატი) კარებში გამოჩნდებოდა და სანამ არმიის ყველაზე სუსტი განაყოფი, მეოთხე კოლეგა, შემოვიდოდა, ავადმყოფი ილიკო და ჯანსაღი, მაგრამ გრძელცხვირა ვარლამა კიდევ რამდენჯერმე უკბენდნენ ერთმანეთს.

პირველ მოსვლაზე ილიკო მშიერი მგელივით დაეტაკა კოლეგებს და ხარბად გამოიკითხა სამსახურის ამბები. მერე გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა:

– რა ვუქენი იმ კაცს, რავა დავაღალატიანე!

– ვინ დააღალატიანე, ბეჩა? – ყველას დაასწრო შეწუხებულმა ივდითიმ.

– შენ არ იცნობ, – მიუგო ილიკომ და კოლეგებს მიუბრუნდა (თანაც, რახან ყველას ერთად ვერ შეხედავდა, შემთხვევით ისარგებლა და პირდაპირ გუგულა ბარნაბიშვილის მკერდს მიმართა, რისთვისაც გულუბრყვილო ივდითის არავითარი ყურადღება რა მიუქცევია, ხოლო თვითონ გუგულა ბარნაბიშვილმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა), – ტაბატაძე, კაცო. როდისღა დაიწყოს ი უპატრონო სახლის აშენება! შუამდე მიყვანილი დამრჩა ანგარიში.

– მაგის დარდი ნუ გაქვს, ილიკო, – დაამშვიდა ვარლამამ, – შენი სამუშაო ისეთ კაცს მისცეს დასამთავრებლად, ცხრა ილიკოს ჯობია.

კოლეგები აფრუტუნდნენ, თვით მეოთხე კოლეგამაც კი გამოაჩინა ორიოდე ყვითელი კბილი.

– ვინ მონახეს, მაინც, მაგნაირი? – გამომწვევად იკითხა ილიკომ.

– მე თვითონ ვამთავრებ, ილიკო, ნუ გეშინია, – კვლავ ანუგეშა ვარლამამ.

– დიდუჰ! ვაი, შე საწყალო ტაბატაძე, რავა მთლა გამოუჭრიათ ყელი!

– რატომ ამბობ, ბეჩა, მაგას, ვარლამი ძაან ჭკუიანი ბიჭია, – გამოექომაგა სტუმარს დიასახლისი.

– კი, ნამეტანი! – ჩაიქირქილა ილიკომ.

– ხუმრობს, ქალბატონო ივდითი, ზედმეტი სიყვარული ალაპარაკებს ასე, – ახლა დიასახლისი დაამშვიდა ვარლამამ, რომელიც გაწაფული იყო ასეთ პაექრობაში.

ერთხელ (იქნებ ეს იყოს ამ უცნაური ამბის შეუცნობელი დასაწყისი), როდესაც მრგვალი მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი კოლეგები გამოტენილი პირებით სრულიად დამსახურებულად აქებდნენ ივდითის გამომცხვარ ხაჭაპურებს, მოხუცმა ელისაბედმა წამოიწყო ლაპარაკი უბრალო კოლეგებისათვის ისეთ შეუფერებელ პრობლემაზე, როგორიცაა ბედისწერა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მან მარტივი და გასაგები სახე მისცა თავის ნათქვამს, კერძოდ, აბსტრაქტული მსჯელობა კი არ დაუწყია, არამედ, უბრალოდ ერთი მაგალითი მოიყვანა, რომელიც ბედის ახირებულ ბუნებაზე მიუთითებდა.

– მაგაზე მომაგონდა, ქალო! არ მითხრათ, ბედი არაა ქვეყანაზეო. ამას წინათ მეზობლის ბიჭი ავტობუსით მიდიოდა სოფელში. გზაში, უკაცრავად პასუხია და, კუჭი აეშალა. ითმინა თურმე, ითმინა და ვეღარ მოითმინა. შეშინებია საწყალს, ხალხში არ მომეჭრას თავიო და შუა გზაში ჩამოსულა მანქანიდან; უფიქრია, ჩემს საქმეს რომ მოვითავებ, ფეხით წავალ და ის იქნებაო. დარჩენილა ეს ბიჭი; წასულა ავტობუსი. წასულა, მაგრამ არ გაუვლია ორი კილომეტრი, რომ ხრამში გადაჩეხილა. ვინც მომკვდარა, ხომ მომკვდარა, ვინც გადარჩენილა და სამუდამოდ დასახიჩრებულა. აბა, ქალო!

– ნწ... ნწ.. ნწ... – თქვა ივდითიმ, – არ ეწერა იმ უბედურიშვილს სიკვდილი, თორემ რაღა მაინცადამაინც მაშინ გაუჭირდა!

ამ დროს გაოცებისგან ყველამ პირი დააღო. ან კი როგორ არ დააღებდი პირს, როცა მეოთხე, მდუმარე კოლეგამ პირი გააღო და რაღაც თქვა. მან სასწრაფოდ გადაყლაპა უზარმაზარი ლუკმა და, მართალია, ჭარხალივით გაწითლდა, მართალია, ისეთი სხაპასხუპით თქვა, რომ აშკარად ჩანდა, ერთი სული ჰქონდა, როდის მოათავებდა ამ უსიამოვნო საქმეს, მაგრამ მაინც თქვა. და თქვა შემდეგი:

– რა არის კაცის ცხოვრება!..

მაგრამ მეოთხე კოლეგა, ბოლოს და ბოლოს, ადამიანი იყო: ამიტომ დანარჩენი კოლეგები მალე შეურიგდნენ ამ უცნაურ გამოხდომას და ძველებური ენერგიით შეუტიეს გემრიელ ხაჭაპურებს, მეოთხე კოლეგის ნათქვამი კი თითქოს საბოლოოდ მიეცა დავიწყებას.

იქნებ მართლა დაივიწყეს, იქნებ ჩვენ ვცდებით და მეოთხე კოლეგის ნათქვამი სულაც არ გამხდარა ამ ამბის საფუძველი. ეს კია, რომ ლოგიკური და არა მარტო ლოგიკური, არამედ ლექსიკური კავშირიც მეტისმეტად მკაფიო და ამიტომ ძალიან საეჭვოა.

ეს მოხდა ავადმყოფობის მეცხრე დღეს. მეათე დღეს კი ექიმის წინასწარმეტყველება ახდა: ილიკოს ჭირვეულობას ბოლო მოეღო. ილიკო აღარ ითხოვდა წყალს, როცა არ წყუროდა. აღარ ითხოვდა საჭმელს, როცა არ შიოდა. აღარ ნატრობდა შვილიშვილს, როცა არ ენატრებოდა. უფრო მეტიც: როცა მართლა უნდოდა რამე, მაშინაც კი არაფერს ითხოვდა. მთელი დღე იწვა გულაღმა, იწვა მდუმარედ და უტყვი სახით შესცქეროდა თეთრად შეღებილ ჭერს.

ჯემალ ქარჩხაძე

ამბოხება

კოლეგების სტუმრობა და საერთოდ, ვინმეს სტუმრობა უკვე აღარაფრად ეპიტნავებოდა. იყო გაბუსუნებული, ათვალიერებდა ჭერს და მხოლოდ ზრდილობისათვის, ვალმოსახდელად თუ ამოიღებდა ხმას. გრძელცხვირა ვარლამას გადაკრულ სიტყვებს ისე მდუმარედ და მშვიდად ხვდებოდა, გეგონებოდათ ამ კაცს თავმოყვარეობა სრულიად დაუკარგავსო. საქმე იქამდე მივიდა, რომ გულგატეხილი ვარლამა დღეში მხოლოდ ერთხელ მოდიოდა (სამუშაო საათების დროს).

ფიქრით არაფერს ფიქრობდა, უფრო სწორად, ფიქრობდა რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტს და ეს ფიქრები ჰგავდა ქაღალდის ნაფლეთებს, რომლებიც სიბნელეში გადაყარეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო ერთგვარი ნიადაგის მომზადება უცნაური და მოულოდნელი აზვირთებისათვის, რის შედეგადაც ილიკო ხაჭაპურიძე გასცდა უბრალო კოლეგების შინაგანი არსებობის ფარგლებს.

ეს მოხდა ავადმყოფობის მეთორმეტე დღეს. საღამო ხანი იყო. ილიკო, ჩვეულებრივ, იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და დაფიქრებული სახით შესცქეროდა ჭერს. ოთახი ბინდს მოეცვა, მხოლოდ სინათლის ორიოდე მკრთალი ზოლი შემოდიოდა სამზარეულოდან, სადაც დაუღალავი ივდითი ვახშამს ამზადებდა.

იწვა ილიკო საღამოს ბინდში; და უცებ მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრების ფონზე ნათლად გამოისახა ერთი ფრაზა, რომელიც თავისი შედგენილობით მეოთხე კოლეგის ასოციაციას იწვევდა და რომელიც ერთსა და იმავე დროს ღრმაცაა და ზერელეც, ძველისძველიცაა და ახალთახალიც. ილიკომ გაიფიქრა: „რაია ახლა კაცის ცხოვრება...“

ძნელი სათქმელია, ჰქონდა თუ არა ილიკოს ბუნებაში პრობლემატური საკითხებისაკენ მიდრეკილება; იგი ადრე მოეკიდა ოჯახს, მაგრამ, სანამ ოჯახს მოეკიდებოდა, ზემოხსენებულ უფერულ კანტორაში შეძვრა და ამის შემდეგ მისი ცხოვრების მთავარ ატრიბუტებად ციფრებით აჭრელებული საკანცელარიო რვეული და საანგარიშო იქცა. ასეთ ატმოსფეროში, როდესაც სამყარო რუხი ფერით იმოსება, რას გამოარკვევ, გაქვს თუ არა რაიმე ფილოსოფიური ძარღვი. ცხადია, ასეთი კითხვა ილიკოს არც დაუსვამს თავის თავისთვის, იჯდა და კაი ორმოცი წლის განმავლობაში თავაუღებლივ მუშაობდა. და აი, ახლა, ცხოვრების მიწურულში თვალგაშტერებული იწვა გულაღმა და თეთრად შეღებილ ჭერზე კითხულობდა: „რაია ახლა კაცის ცხოვრება?..“

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დიალექტურ თავისებურებას, ეს კითხვა გარეგნულად ზუსტად ემთხვეოდა სიტყვაძვირი კოლეგის მიერ წამოჭრილ პრობლემას.

მაგრამ რა არის გარეგნული მსგავსება! სინამდვილეში ილიკოს ნათქვამი ისე ჰგავდა მეოთხე კოლეგის ნათქვამს, როგორც საგანი ჰგავს თავის ჩრდილს. მეოთხე კოლეგისათვის ეს იყო ჩვეულებრივი, გაცვეთილი ფრაზა, ილიკომ კი თავის დიალექტიზმით დატვირთულ კითხვაში მთელი სული და გული, მთელი თავისი შინაგანი არსება ჩადო.

დიახ, მისთვის ეს ფრაზა ფუჭი რიტორიკის ნიმუში არ ყოფილა. იწვა ილიკო ჩაბნელებულ ოთახში და ვერ მიმხვდარიყო, რაში მდგომარეობს ცხოვრების არსი.

„რაია ახლა კაცის ცხოვრება? – ფიქრობდა ილიკო, – ვაგდივარ აგერ გულაღმა; მივჩერებივარ ჭერს და არ ვიცი, რისი მაქნისი ვარ ამ ქვეყანაზე. დევიბადე, გევიზარდე, ვითხოვე ქალი, გავაჩინე ბაღანე, გავზარდე, გავათხოვე; რატო, რისი გულობიზა? რო არ გემეჩინა ახლა, ვითომ რამე დოუშავდებოდა მაგით? რა უნდა დაშავებოდა, თუკი არ გავაჩენდი! სანამ გოუჩენელია კაცი, მანამ არაფერი არაა და არაფერს რავა დოუშავდება რამე. არაფერი არ იყო ი ბაღანე. კი მარა არაფერი თუ არ იყო, მერე უცბად რაფერ გაჩნდა? იქნება მე ვიყავი იგი და, რო გავაჩინე, რაცხა მომაკლდა, იქნება ნახევარი სული იმას მივეცი? თუ ასეა, რატო ვერ ვატყობ, რო ნახევარი სული მომაკლდა? არა, არა, დაშავებით არაფერი დოუშავდებოდა, მაგი ტყვილია. ასე ვთქვათ, მაგალითად: ხო შემეძლო მეორე შვილი გემეჩინა? შემეძლო, მარა არ გამიჩენია. ახლა, ვინმემ რო მითხრას, რას ერჩოდი, რატო არ გააჩინეო, სისულელე არ იქნება მაგი? ვინ რატო არ გავაჩინე, – არავინ? რაფერ შეიძლება არაფერზე თქვას კაცმა – ესა და ესაო. რო გემეჩინა, ბოვში იქნებოდა და მეყვარებოდა კიდეც. მარა, რაღაი არ გავაჩინე, არაფერი არაა; არც შვილია და არც არაფერი. სულ არაფერი, არც ჰაერია, იმიტო რო ჰაერი მაინც რაცხაა, გაუჩენელი ბოვში კი არაფერი არაა, – არც ჩანს, ვერც ხელს მოკიდებ, არც სუნი აქვს, არც არაფერს გრძნობს; ამფერ რამეს, ახლა, – რამეს კი არა, არაფერს, – რა დოუშავდება? არაფერი. არაფერს არაფერი დაუშავდება. ვინც გავაჩინე, იცოცხლე-თქვა მითხარი, იმას დოუშავდა, იწვალა, იტანჯა, ქმარი ომში დაკარგა, დარჩა ერთი საცოდავი ბაღანე და წელებზე ფეხს იდგამდა, რო რამეფრად გამოეზარდა. თუ მართლა ასეა, მაშინ რაღას ვაჩენთ ამ უბედურიშვილებს! ამფერ გაჩენას გოუჩენლობა არა ჯობია, ვითომ? მე მგონია, კაცი რო გააჩინა ღმერთმა, სხვა რამე დააბარა, – ასე და ასე იცხოვრეო, უთხრა, მარა იმ კაცმა ვერ გეიგო და დეიწყო გლახა ფაფხური; ანდა არ დოუჯერა ღმერთს და თავის ჭკუაზე დააპირა სიარული. იარა თავის ჭკუაზე, იარა და, ქე ხედავ აგერ, სად მივიდა. აპა, რავა დევიჯერო, ახლა, მე რო გავჩნდი, ღმერთმა დამანათლა: ორმოცი წელიწადი დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე საანგარიშო აჩხაკუნეო. ამის გულიზა რავა გამაჩენდა! ეგი თუ დამანათლა, სასაცილოდ ავუგდივარ და ისაა. აპა, რაია, კაცო! – წადი, აჩხაკუნე, დაბრუნდი; წადი, აჩხაკუნე, დაბრუნდი; წადი, აჩხაკუნე, დაბრუნდი. ჩემს სიცოცხლეში საანგარიშოს გარდა არაფერზე მიფიქრია, ვინ დამაჯერებს, ახლა, ეგია ცხოვრებაო. რო დაფიქრდები კაცი, პირდაპირ შეგეშინდება. იმიზა რავა გააჩენდა ცხოვრებას ღმერთი, რო კაცი ეწვალებია და ემასხრებია! არ გააჩენდა მაგიზა, სხვა რამიზა გააჩენდა. სხვა რამეა ცხოვრება, მარა ვინ იცის რაია? ვაგდივარ აგერ გულაღმა და მივშტერებივარ ჭერს; რამდენი ჩემისთანა აგდია საცხა და მიშტერებია ჭერს! რამდენი არ მიშტერებია! რამდენი სულ ვერ იხედება თვალებში, რამდენი კვდება, რამდენი იბადება! მაცოდინა ახლა ორმოცი ათასი ვერსის იქით რო კაცი ცხოვრობს, რას შობა იგი ამ წუთში! რაღა ორმოცი ათასი ვერსის იქით, ი ცარიელი ცხვირი რას აკეთებს, ვარლამა გიორგობიანი, ეს მაინც ვიცოდე. რად მინდა, კაცმა რო თქვას, მარა მაინც, – რაცხა ხო უნდა ვიცოდე! აპა, ისე რას დაჩერჩეტობ ამ ქვეყანაზე? ჩემი ქალი შემძვრალა ეგერ სამზარეულოში და ისე გულდაგულ ჯახირობს, გეგონება ესაა და იცის რატო ჯახირობს. ქათამს წვავს, მაგი მაინც ვიცი. მარა რას ერჩოდა იმ ქათა-

მს? რაია, ახლა ქათმის ცხოვრება? გაპურებენ, გასუქებენ და მერე გამოგისვამენ დანას კისერში, იმიტო რო თვითონ უნდათ დაპურება და გასუქება. გინდა კაცი მოგიკლავს და შეგიჭამია და გინდა ქათამი. იმ ქათმის ხორცი რავა ჩამივა, ახლა, პირში! რას ჯახირობს ის ქალი! იცოდეს მაინც, რატო ჯახირობს, იცოდეს მაინც, რის მაქნისია ამ ქვეყანაზე!“

– ივდითი!

– ბატონო, ილიკო!

– მიდი, ერთი, აგერ, რაცხა მაქ სათქმელი.

ივდითი მოვიდა.

– რავა ბნელაში წევხარ, ბეჩა, აგენთო სინათლე! ხომ არ გეძინება ჯერ? პატარა მოითმინე, აგერ ვახშამსაც მოგისწრებ და მერე დაიძინე. აანთე, ილიკო, სინათლე, მე ხელები არა მაქვს სუფთა.

ილიკო ჭეშმარიტად გმირული მოთმინებით ელოდა, როდის დაამთავრებდა ივდითი თავის სათქმელს, რომელშიაც ოდნავადაც კი არ ჩანდა ცხოვრების შეცნობის სურვილი.

– რას აკეთებ, ივდითი, სამზარეულოში? – შორიდან შემოუარა ილიკომ.

– ხომ გითხარი, ბეჩა, ვახშამს გიმზადებ.

– რა ვახშამს?

– ისეთი ქათამი შეგიწვი, ილიკო, თითებს ჩაატან, – სიხარულით უპასუხა ივდითიმ, რადგან საჭმელზე ლაპარაკი კარგად ენიშნა.

– რას ერჩოდი მერე ი საწყალ ქათამს?

ივდითი სახტად დარჩა.

– რავა, ილიკო?

– რავა და რას ერჩოდი? შე ქალო, ბარეღამ ბაღანე დეიჭირე საცხა ქუჩაში და იგი დამიკალი!

– დედა! რა დაგემართა, ილიკო, ჯერ არ გიჭამია ქათმის ხორცი თუ?

– გული არ ამირიო, შე ქალო! რა დაგიშავა საწყალმა ქათამმა?

– ილიკო, ქათამი იმიტო გააჩინა ღმერთმა, რომ დავკლათ და შევჭამოთ.

– გცოდნია, აპა და ესაა!

– ბეჩა! რავა არ ვიცი!

– რა იცი შენ, ქალო! ვინ გითხრა, რატო გააჩინა ღმერთმა ქათამი?! იქნება იგიც იცი, კაცი რატო გააჩინა? – ილიკოს ხმაში დაუფარავი დაცინვა გაისმა.

მაგრამ გულკეთილმა და მიამიტმა ივდითიმ ქმრის მზაკვრული კილო ვერ შეამჩნია და ხუმრობა სცადა:

– კაცი იმიტომ გააჩინა, რომ ქათამი ჭამოს, ისეთი შებრაწულია, რომ გეუბნები, თითებს ჩაატან...

– ბიჭო, ვინ ასწავლა ამ ქალს ამდენი? თვითონ ხო არ გელაპარაკა მამაზეციერი? იქნება აბაიშვილების მანქანა იმიზა გააჩინა, რომ საწყალ გურგენას ცოლს დატაკებოდა?

– რა გაჩხუბებს, ბეჩა, მანქანა ღმერთს არ გაუჩენია...

– კაცს რატო ასწავლა მისი გაჩენა?

– დაწყნარდი, ილიკო, რა ვიცი, მაგდენი რა ვიცი...

– არ იცი ხო? – მოზეიმე ხმით იკითხა ილიკომ, – წეიღე მაშინ ი შენი ქათამი და ძაღლებს გადაუგდე.

– ღმერთო, მამაზეციერო, რაღა ვქნა ახლა, – წყნარად ჩაილაპარაკა ივდითიმ და სამზარეულოში გაბრუნდა, – ღმერთო, შენი მუხლ-კალთის ჭირიმე, ნუ დამღუპავ! – ესა თქვა და ზიზღით გადახედა შებრაწულ ქათამს, რომელშიაც მთელი მისი კულინარული ხელოვნება იყო ჩაქსოვილი. ქათამმა არ იცოდა, რამხელა დრამის მიზეზი გახდა მისი უფერული პიროვნება, იწვა თავისთვის ყვავილებით მოხატულ თეფშზე, ფეხები მაღლა აეფშიკა და ისეთ სურნელს აფრქვევდა, მკვდარსაც კი მადას გაუღვიძებდა.

იმ ღამეს ივდითიმ ექიმი გამოიძახა.

– მიშველეთ რამე, ექიმო, ჩემ კაცს რაცხა დაემართა.

ექიმმა დაკვირვებით გასინჯა ილიკო,

ხელები დაიბანა და წავიდა. ოღონდ წასვლის წინ დაიბარა:

– პაციენტს ყოველმხრივი გაუმჯობესება ეტყობა.

რა იზამ, ხომ ვერ შეედავები ექიმს! მით უმეტეს, ისეთი უვიცი თუ ხარ მედიცინაში, როგორიც ივდითი იყო. ამიტომ ივდითის ხმა არ ამოუღია. სამაგიეროდ მეორე დღეს სამუშაო საათებში მოსულ ვარლამა გიორგობიანს კარებში შეეგება და შესჩივლა:

– რაღა ვქნა, არ ვიცი, შვილო, ჩემ კაცს რაცხა დაემართა.

– რა დაემართა, ქალბატონო ივდითი?

– რა ვიცი, შვილო, გუშინ საღამოს გული გამიხეთქა.

– დღეს?

– დღესაც, შვილო, დღეს კიდევ უარესადაა.

– ექიმი რას ამბობს?

– ექიმი, შვილო, არაფერს არ ამბობს.

– რა ესმით ექიმებს მედიცინის! – გამოთქვა ვარლამამ არც თუ მაინცდამაინც ორიგინალური აზრი, მერე ენერგიულად ასწია ცხვირი და მტკიცე ნაბიჯით გაემართა ილიკოს საწოლი ოთახისკენ. მის ამაყ მიხვრა-მოხვრაში მოჩანდა ურყევი გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაერკვია ის, რაც სრულიად შეუმჩნეველი დარჩა ექიმის გამოცდილ თვალს.

ილიკო გულაღმა იწვა, დაფიქრებული შესცქეროდა ჭერს და ვარლამა გიორგობიანის მხნე შეძახილისათვის – რავაა, ილიკო, საქმე, აღარ მოგწყინდა ამდენი წოლაო! – არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

ვარლამას ენიშნა ივდითის ნათქვამი, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია, რადგან ისეთ ადამიანთა კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა, პირველი მარცხისთანავე რომ ფარ-ხმალს ყრიან. ახლო მივიდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

– გამარჯობა შენი, ილიკო!

– გაგიმარჯოს, – უხალისოდ გამოეპასუხა ავადმყოფი.

– რას შვრები, ბიჭო, რავა მთლად დაგვივიწყე? მოგვწყინდა უშენოდ. მე კიდევ არაფერი – გავძლებ როგორმე, მაგრამ იმ საწყალ ელისაბედს რა პასუხს აძლევ? როდის მოვა და როდის მოვაო, – გადაგვჭამა თავი. ილიკოს რომ ვუყურებ, თავი ახალგაზრდა მგონიაო.

ვარლამა გიორგობიანმა იცოდა თავისი საქმე, იცოდა როგორ გაეღიზიანებია და აელაპარაკებინა ავადმყოფი კოლეგა.

მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ილიკომ გულკეთილი და ოდნავ მოწყალე ღიმილით გაიღიმა, როგორც ყოვლისმცოდნე კაცმა, რომელსაც ანაბანას სწავლებას უპირებენ.

– ვარლამა, – წყნარად, თითქმის ჩურჩულით, რაღაც იდუმალი ხმით დაიწყო ილიკომ, – რა დაგრჩენია სამსახურში, ყოველდღე რო დაწანწალებ ერთგული ძაღლივით, რად გინდა, წარამარა რო აჩხაკუნებ ი დასაწვავ საანგარიშოს?

ვარლამა გაშტერდა.

– ილიკო, შენ ამბობ მაგას?

– რას ეძახი შენ ცხოვრებას? – კვლავ ჩურჩულით განაგრძო ილიკომ, ისე რომ ვარლამას შეკითხვა პასუხის ღირსად არ ჩაუთვლია. – დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე საანგარიშოს აჩხაკუნებ, ხუთი საათიდან თორმეტ საათამდე იმის ცდაში ხარ, რამეფრად დრო გეიყვანო, თორმეტი საათიდან ქე გძინავს და ვითომ სულ არ ყოფილხარ, ისეა. რავა ფიქრობ, მაგიზა ხარ გაჩენილი? თუ რატო ხარ?

და გრძელცხვირა ვარლამა გიორგობიანის წინაშე მთელი თავის სიგრძე-სიგანით, მთელი თავისი თვალშეუწვდენი სიდიდით, მთელი თავისი უსაზღვროებით და იდუმალებით აღიმართა უმძიმესი კითხვა ყველა იმ კითხვათა შორის, რომლებსაც კი ოდესმე ადამიანის გონება უწვალებია. და არა მგონია, ვინმემ დაძრახოს ვარლამა გიორგობიანი იმისთვის, რომ უმწეოდ მოკუნტული, პირდაბჩენილი და თვალებგაშტერებული, უსიტყვოდ მისჩერებოდა ავადმყოფ ილიკოს.

ავადმყოფი ილიკო კი განაგრძობდა.

– რავა გგონია, რამდენი წელი ვიცხოვრე მე ამ ქვეყანაზე?... არ იცი ხო? არც მე ვიცი. მაგას რო მიხვდე, ჯერ ის უნდა გეიგო, რაია ცხოვრება. მარა, რაც არ უნდა იყოს ცხოვრება, ყოველდღე საანგარიშოს ჩხაკუნი რო არ იქნება, მაგას არ უნდა ლაპარაკი.

ვარლამა ხედავდა, რომ ივდითის ქმარს მართლა რაღაცა დამართნოდა, მაგრამ იგი არც ისეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა მეორე მარცხის შემდეგ რომ მაინც ყრიან ფარ-ხმალს. მან ახალი ხერხი იხმარა. მართალია, ამ ხერხს ერთი პირადი საიდუმლო შესწირა, მაგრამ კეთილშობილება ხომ, ბოლოს და ბოლოს, მსხვერპლით ფასდება.

– მალე ადექი, მალე, ილიკო, – მხიარულად, გამამხნევებელი კილოთი წამოიწყო მან, – ერთ ორ კვირაში ქორწილში უნდა დაგპატიჟო.

ილიკოს ყურიც არ შეუბერტყავს, იწვა და დაფიქრებული ათვალიერებდა თეთრად შეღებილ ჭერს.

– ამ მოკლე ხანში მე და გუგულა ხელს ვაწერთ და აბა შენ იცი, ჩემ ქორწილში თუ არ იცეკვე, მე და შენ შორის შავი კატა გაირბენს.

აქ კი ილიკო ხაჭაპურიძემ კვლავ დაილაპარაკა. მან მიმართა თავის ახალგაზრდა კოლეგას და უთხრა შემდეგი:

– რად გინდა მერე, ხელს რო აწერ?

ვარლამამ გულში დაასკვნა, რომ ილიკოს მდგომარეობა ერთობ სერიოზული იყო, მაგრამ შეკითხვაზე ადვილად უპასუხა, რადგან, ღვთის მადლით, არაერთხელ შეუსვამს ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო.

– რატომ, ილიკო, შევქმნი ქართულ ოჯახს, გავიკეთებ პატარა ბუდეს, სანამ უნდა ვიყო ასე მარტოხელა. კაცი იმიტომ ცხოვრობს ამ... და უეცრად ვარლამას სიხარულისგან სული შეუგუბდა: მას გაახსენდა, თუ რისთვის იყო გაჩენილი ამ ქვეყანაზე, მან იპოვა პასუხი ილიკოს წეღანდელ კითხვაზე. – ჰოდა, წეღან რომ მკითხე, რისთვის ხარ გაჩენილიო, – რიხიანად განაგრძო ჯანსაღმა კოლეგამ და მეტი დამაჯერებლობისათვის ფეხზეც წამოდგა, იმიტომ ვარ გაჩენილი, რომ ოჯახს მოვეკიდო, შვილები გავზარდო და შთამომავლობისათვის ვიზრუნო.

ვარლამა გამარჯვებული სარდალივით იდგა. სახე ამაყი, დამსახურებული სიხარულით გაბადროდა.

– ნუ ბჟუტურობ რაცხას, – წყალი გადაასხა კოლეგის სიამაყეს ულმობელმა ილიკომ, – უნდა იზრუნოს, ახლა, ვარლამა ცხვირამ შთამომავლობისათვის! რაია შთამომავლობისათვის ზრუნვა? გააჩენ შენისთანა ოხრებს და დაყრი ამ დაწყევლილ მიწაზე. ზოგს ცხვირი გამოუვა დიდი, ზოგს – ღრანჭი მოქცეული, ზოგს ფული არ ექნება, ზოგს ქალი არ გაყვება და დოუწყებენ წყევლას თავის გაჩენის საათს. კაი, შენ ხარ ქვეყნის ამშენებელი და იზრუნე შენ შვილზე, ი შენი შვილი რიღასთვის ცხოვრობს, ვიზე იზუნებს?

– თავის შვილზე.

– მისი შვილი?

– იგიც თავის შვილზე.

– ბოლოს?

– როგორ ბოლოს?

– როგორ ბოლოს და იმფერ ბოლოს, რო სად მიდის მერე ამდენი ზრუნვა? დოუკვირდი აბა! შენ შენ შვილზე იმიტო ზრუნავ, რო იმან თავის შვილზე იზრუნოს და იმ შვილს საშვალება ექნეს, კიდო თავის შვილზე იზრუნოს. ესე იგი, სინამდვილეში, ბოლოს რო იქნება ვიღაცა, იმისთვის ჯახირობ ამდენს. მარა, თუ ბოლო არა აქ, ჩაგყრია წყალში ყველაფერი და ისაა! თუ აქ ბოლო და, ი დალოცვილი ღმერთი ამდენ ხალხს რატო გვაწვალებს, აწი მე არ მაჯახიროს, ჩემი შვილი არ აჯახიროს, ჩემი შვილიშვილი და შვილთაშვილი არ აჯახიროს, პირდაპირ გეეჩინა ბარეღამ ი ბოლო! ვარლამა! იცი, რა გითხრა? სანამ გაჩნდებოდი, არც საზრუნავი გქონდა რამე, არც საფიქრალი, არც საწვალებელი, არც წასასვლელი იყავი, არც წამოსასვლელი, არც საანგარიშო გქონდა საჩხაკუნებელი და არც ფული გქონდა საშოვნი. გაჩნდი და ამდენი რამე ერთად დეგეცა თავში. კაია, ახლა, ეგი?

– აბა, არ უნდა გაჩნდეს კაცი, ილიკო? – უმწეოდ იკითხა სრულიად განადგურებულმა ვარლამამ, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, აღარც ისეთი ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნებოდა, მესამე მარცხის შედეგაც რომ სულიერ წონასწორობას ინარჩუნებენ.

– ეჰ, რა ვიცი, ბიძია; ან არ უნდა გაჩნდეს და ან რაცხა სხვა საქმე უნდა ჰქონდეს ამ დასაწვავ ქვეყანაზე.

ვარლამა ერთი კვირის მშიერივით გამოლასლასდა ილიკოს ოთახიდან. ის ენერგია, მტკიცე გადაწყვეტილება და ახალგაზრდული ცეცხლი, რომელიც შესვლისას ახლდა მის ნაბიჯებსა და მთელ მის გარეგნობას, უკვალოდ გაქრა.

– რავაა, ჩემო ვარლამ, საქმე? – იმედიანი სახით მიეგება ივდითი.

– რა ვიცი, ქალბატონო ივდითი, რა ვიცი, რის მაქნისი ვართ ამ ქვეყანაზე... –



ამოილუღლუღა ვარლამამ და გავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კოლეგებმა მოაკაკუნეს. საბრალო ივდითი სიხარულით მიეგება სტუმრებს და სამივეს სათითაოდ შესჩივლა (რადგან ვარლამა გიორგობიანი, რომელიც ამას წინათ თავგზააბნეული გამოვიდა ავადმყოფის საწოლი ოთახიდან, ამხანაგებს აღარ ახლდა. იგი ძლივს მომჯობინდა იმ მარცხიანი საუბრის შემდეგ და ახლა სრულიად ზედმეტ რისკად ჩათვალა ილიკოსთან განმეორებით შეხვედრა). ივდითიმ ჯერ მოხუც კოლეგას შესჩივლა, მერე გუგულა ბარნაბიშვილს და ბოლოს მეოთხე კოლეგას, რომელიც ამჯერად მესამე იყო:

– რა ვქნა, ჩემ კაცს რაცხა დაემართა.

მერე ყველას ერთად მიმართა:

– თქვენი ჭირიმე, იქნება ცოტა ხასიათზე მოიყვანოთ, აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე.

– ცრემლი არ დამანახვო, ქალო, – მკაცრი სიყვარულით შეხედა მოხუცმა კოლეგამ, – სატირლად ჯერჯერობით ჩვენს მტერსა აქვს საქმე.

ილიკო გულაღმა იწვა და რაღაცას ელაპარაკებოდა ჭერს. დიახ, მის ამოჩემებულ პოზაში სიახლე იყო. ილიკო ლაპარაკობდა; ლაპარაკობდა ნელა, დინჯად და დაკვირვებით. რაზე ელაპარაკებოდა იგი თავისი ოთახის სადა ჭერს, არავინ იცის, რადგან კოლეგების შემოსვლისთანავე გაჩუმდა. თუ გამომეტყველების მიხედვით ვიმსჯელებთ, საუბარი ერთობ სერიოზული უნდა ყოფილიყო.

კოლეგები შორიდანვე მიესალმნენ ილიკოს და დასხდნენ.

როდესაც, წესისამებრ, მოიკითხეს ავადმყოფი, კოლეგები გადავიდნენ ზოგად თემებზე. მოხუცმა კოლეგამ, ჩვეულებრივ, მეზობლის ბიჭის ამბავი მოყვა, მაგრამ ეს ნაკლებ მისტიკური ამბავი გამოდგა და მისი ერთადერთი ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ გუგულა ბარნაბიშვილს გუშინდელი მგზავრობა მოაგონა:

– რა იყო, ქალო, როგორ ვიმგზავრე გუშინ! წარმოგიდგენიათ, ილიკო ბატონო, ტყემალივით ესხა ხალხი ტროლეიბუსს. შიგნით ხომ ნუღა იკითხავთ. მთელი გზა საფეხურზე ვიდექი, – კეკლუცი მორცხვობით დაუმატა მან და განაგრძო, – მაინც რა არის, რა დღესაც ფეხბურთია, იმ დღეს ტრანსპორტით მგზავრობა არ შეიძლება. დედა, სტადიონთან რა ამბავი იყო! ჭიანჭველებივით ირეოდა ხალხი.

ილიკომ დაღლილი კაცის ღიმილით გაიღიმა და წყნარად თქვა:

– ჭიანჭველები ვართ, აპა რა ვართ?! ჭიანჭველებივით არ ვფუსფუსებთ და ჭიანჭველებივით არ ვცხოვრობთ? ჭიანჭველასაც მუცლის ამოყორვაზე აქვს დაცქვეტილი ყურები და ჩვენც. არც ჭიანჭველებმა იციან რამე და არც ჩვენ. იქნება ჭიანჭველებზე ცოტა მეტი ქე ვიცით, მარა მაგი არაფერს არ ნიშნავს, იმიტო რო ჭიანჭველებზე მეტი ვიცით თვარა, საერთოდ, რაც ჩვენ ვიცით, ისე ცოტაა, რო თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, არაფერი არ ვიცით-თქვა; ჭიანჭველამ

→

რაცხაზე მეტი იცის, ჩვენ ჭიანჭველაზე მეტი ვიცით, ჩვენზე მეტი ვინცხამ იცის, იმაზე მეტი კიდო სხვა ვინცხამ და ასე მიდის სულ, არ თავდება. ჭიანჭველა ჩვენდენს ვერასდროს ვერ გაიგებს, ვერც ჩვენ გავიგებთ იმდენს, ჩვენზე უკეთესმა რო იცის. კაცი და მისი ცოდნა კვახს ჰგავს. კაცია თესლი და კვახის გული ის ცოდნაა, რაზედაც კაცს ხელი მიუწვდება. ამას იქით ვერ წავა, რამდენიც არ უნდა იხარჯოს, და ვერასდროს ვერ გაიგებს ხე თუა ქვეყანაზე, ან ნადირი თუა, ან საანგარიშო თუა. ამ კვახს გარეთ რაც ცოდნაა, იგი კაცისთვის მიუწვდომელია. ჭიანჭველებსაც თავისი ცოდნის კვახი აქვთ და იმას ვერ გაცდებიან. რაღა განსხვავებაა, ახლა, კაცსა და ჭიანჭველას შორის? – არაფერი. დიდი ამბავი, ახლა, ჩვენი კვახი თუ ცოტა უფრო დიდია. სხვისი ჩვენსაზე დიდია და ასე. იანგარიშე შენ, ახლა, რამხელა უნდა იყოს ყველაზე დიდი კვახი, (ახლა კვახს ვამბობ, თვარა, მართლა კვახი კი არაა!) არც არსებობს, სწორედ იმიტო, რო ქვეყნიერებას თავი და ბოლო არა აქვს. არის დიდზე დიდი, იმაზე დიდი, კიდო იმაზე დიდი და ასე. იძახე, ახლა, შენ ჭიანჭველებს ვჯობივართო. არა, ჩემო ბიძია, ჭიანჭველებიც ჩვენისთანები არიან, როგორც ჩვენ ვმუსაიფობთ, ისე შობიან იგენიც. გაჩერდებიან, მეიკითხავენ ერთმანეთს, ოჯახს, ცოლ-შვილს, იბჟუტურებენ ათას სისულელეს, როგორც ჩვენ ვბჟუტურობთ, და წავლენ. თუ, რაღაი პატარა ხანს ხვდებიან ერთმანეთს, თქვენ გგონიათ ამდენს ვერ მოასწრებენ? რა იცით თქვენ პატარა ხანია იგი თუ დიდი ხანია? რა იცით, რას ნიშნავს ხანი? იქნება ჩვენთვის რო პატარა ხანია, იმგენისთვის ძაან დიდი ხანი იყოს? არა არა, არაფრით არა ვართ ჭიანჭველებზე მეტი. როგორც ჩვენ ვადგამთ ფეხს ჭიანჭველას და ვსრისავთ, ასე გვადგამს ჩვენც ბედი ფეხს და გვსრისავს. ბედს ვამბობთ, თვარა, იქნება, ბედი კი არა, რაცხა ჩვენისთანა ხორცშესხმულია, რა იცი შენ. ჩვენ რო ჭიანჭველას ვსრისავთ, იგი ხო ვერ გვხედავს და, იქნება, ასე გონია, ბედი მსრისავსო. რა იცი შენ!

– მერე რა მოხდა, ილიკო ბატონო, – მიუგო გუგულა ბარნაბიშვილმა, – დავადგათ ჭიანჭველებს ფეხი და გავსრისოთ, ჩვენც დაგვადგას ფეხი და გაგვსრისოს ბედმა; სანამ გაგვსრისავდეს, მანამ ხომ ვართ ამ ქვეყანაზე. წინასწარ რატომ უნდა მოიკლას თავი კაცმა იმის ფიქრით, რომ დღეს არის და ხვალ აღარ იქნება. არ ჯობია, ვიყოთ და ვისიამოვნოთ, სანამ ვართ?

ეს „ვიყოთ და ვისიამოვნოთ“, ცოტა არ იყოს, გამომწვევად ჟღერდა, მაგრამ ილიკოს გულს ახლო არ გაკარებია ეს გადაკრული თქმა. იგი იმდენად სერიოზული და დაფიქრებული სახით შეხვდა ახალგაზრდა კოლეგის ნათქვამს, რომ ცოტა უფრო პატივმოყვარე ქალი შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს.

– რას ეძახი შენ, ბიძია, სიამოვნებას? – დაბალი, მონოტონური ხმით თქვა ილიკომ და ჭერს შეხედა, – რატო გაჩნდი ქვეყანაზე არ იცი და მაგია, ახლა სიამოვნება? კაი, თუ გინდა ამას თავი დაანებე, მაინც სად ხედავ სიამოვნებას? კანონია და შენ გიბორკავს ხელებს, ზნეობაა და შენ გიბორკავს ხელებს, ახლა ზრდილობა, ახლა სინდისი, ახლა ადამიანობა, – ყველაფერი შენ გიბორკავს ხელებს; ყველაფერი კაცს უშლის ხელს და ყველაფერი კაცის მოგონილი ქეა მერე! რატო, რაში დაჭირდა, რის გულობიზა მოიგონა? თვითონ არ იცის. შეიბორკა ხელ-ფეხი თავისი ნებით და რატო შეიბორკა არ იცის. კაი, რატო გაჩნდა არ იცის, ღმერთის საქმეს ვერ მიხვდება, თავისი საქმე მაინც არ უნდა იცოდეს? თვითონ რატო აკეთებს რამეს, იგი მაინც არ უნდა იცოდეს? შენ, ბიძია, ჯერ ახალგაზრდა ხარ და სიამოვნება და ცხოვრება იგი გგონია, ვინცხა რო გეგეღლაბუცება, მარა მაგი არაა ცხოვრება. შენ რავა იტყვი, ელისაბედ?

– ეჰ, ჩემო ილიკო, – სევდითა და ნეტარებით ამოიოხრა ელისაბედმა, – ახალგაზრდა ვიყო და მე ვიცი, რასაც ვიტყოდი!

– საქმეც მაგაშია, ილიკო ბატონო, – კვლავ შეედავა ილიკოს გუგულა ბარნაბიშვილი, – მე მსიამოვნებს, როცა მეღლაბუცებიან (თუმცა ილიკოს არც ამ დაუფარავი იერიშისთვის მიუქცევია ყურადღება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო), – ამიტომ ჩემთვის ესაა ცხოვრება. ცხოვრება ისაა, რაც გსიამოვნებს. თუ არაფერი გსიამოვნებს...

– ჭკუა უნდა გქონდეს, ჩემო ბიძია, – თქვა ილიკომ, – ჭკუა უნდა გქონდეს და ფიქრი უნდა იცოდე; მაშინ მიხვდები, რო, რაც გსიამოვნებდა, ყველაფერი სისულელეა და ამ ქვეყანაზე არაფერი სასიამოვნო არაა.

– თქვენ არაფერი გსიამოვნებთ, ილიკო ბატონო?

– რო გამაგებინა, რის მაქნისი ვარ ამ ქვეყანაზე, მესიამოვნებოდა. მერე იქნება სხვა რამეც გამოჩნდეს სასიამოვნო.

– მეტი არაფერი?

– არაფერი. მარა ერთი ეს მითხარი, რაც შენ გსიამოვნებს, იმას კი აკეთებ ყოველთვის? ტყუილა არ მითხრა კიო. აგერ, ახლა, ჩემ გოგოს ხო იცნობთ? ქმარი ომში დეეღუპა. ათასი მთხოვნელი ჰყავდა, არაა მთლად მახინჯი, – მარა არ გათხოვდა. ჩემი ქმარი გმირულად დეიღუპა და იმას რავა ვუღალატებო. სისულელე არაა, ახლა, ეგი? მერე შეეჩვია, შეეჩვია და ამ ბოლო დროს ქეც ტრაბახობს თავისი სისულელით. გეტყვის ერთი-ორ სიტყვას და მერე დააყოლებს: ოცდაერთი წლის ქალი ვიყავი, ქმარი რო დემეღუპა, მარა, ხო უყურებთ, ზოგიერთი ტუტუცივით კი არ გამოვკიდებივარ კაცებს, აბა! რა სატრაბახოა, ახლა, ეგი? ანდა ვინ იტყვის დანამდვილებით რომელი უფრო ტუტუცია, ვინც გამეეკიდა კაცებს, თუ ვინც არ

გამოკიდებია. ცხოვრებას ვერაფერს ვერ გოუგებ, ჩემო ბიძია.

– ეჰ, რა ხალხი დაიღუპა მაშინ ომში! – ამოიკვნესა მოხუცმა კოლეგამ, – ერთი მეზობლის ბიჭი...

აქ მოხუცმა კოლეგამ საბოლოოდ გამოავლინა თავისი დიდი ერუდიცია მეზობლის ბიჭის ამბების სფეროში. მაგრამ მის მონაყოლს ჩვენ არ გავიმეორებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ მკითხველის ინტერესებისათვის ასე ჯობია.

– რაც იყო, იყო, დეიდა ელისაბედ, – თქვა გუგულამ, – მეტს მაინც ნუ მოვესწრებით! თუმცა ისეა წამოქმრილი ცალკე აღმოსავლეთი და ცალკე დასავლეთი, რომ... პირდაპირ ყალყზე დგანან. თუ არ დაეჯახენ ერთმანეთს, ხომ გადავრჩით და...

– რაია აღმოსავლეთი და დასავლეთი? – გააწყვეტინა ილიკომ ეშხში შესულ გუგულას, – ერთი მაგია კიდო იმფერი რამე, კაცმა რო თავისი ხუთი თითივით იცის!

– რაზე ბრძანებთ მაგას, ილიკო ბატონო? – დაინტერესდა გუგულა.

– მითხარი, აპა, შენ, საითაა აღმოსავლეთი და საით დასავლეთი?

– ა, ბატონო, აქეთ აღმოსავლეთია, აქეთ დასავლეთი, აქეთ ჩრდილოეთი და აქეთ სამხრეთი, – გაშალა ხელები გუგულამ და ამ დროს მისი მაღალი მკერდი ერთობ მაცთუნებლად ადი-ჩადიოდა.

– მე რო გითხრა ახლა, აღმოსავლეთი აქეთ კი არა აქეთაა-თქვა? – დასავლეთით გაიშვირა ხელი უცნაურმა ავადმყოფმა.

– არ დაგიჯერებთ.

– კაი, ნუ დამიჯერებ შენ. სულ დასავლეთით რო იარო, მიხვალ თუ არა აღმოსავლეთში? ანდა სულ აღმოსავლეთით რო იარო, მიხვალ თუ არა დასავლეთში? მიხვალ ხო? ახლა მე რო გეტყვი ევროპა აღმოსავლეთითაა-თქვა, შენ გგონია ვერ დაგიმტკიცებ? ა, ბატონო, წადი აღმოსავლეთით, გეიარე ციმბირი, იაპონია, ეგი, იგი და მიხვალ ევროპაში. აღმოსავლეთი არაა? საზღვარი მაგას არა აქ და არაფერი. მითხარი, აპა, სად იწყება დასავლეთი და სად თავდება; სად იწყება აღმოსავლეთი და სად თავდება; მითხარი!

ილიკო მოლოდინის თვალით მიაჩერდა გუგულა ბარნაბიშვილს, მაგრამ მის მკერდს კი არ უყურებდა, არამედ სახეს, რომელსაც არავითარი ღირსება არ გააჩნდა მაცდთუნებლობის თვალსაზრისით.

– სად იწყება და სად თავდება, ილიკო ბატონო? – გუგულა ბარნაბიშვილი ჩიხში იყო მიმწყვდეული.

– არ იცი ხო? აგერ იწყება, ა, ჩემ ფეხებთან. – მეტი თვალსაჩინოებისათვის ილიკომ ტყუპად ასწია ფეხები საბნის ქვეშ და ისევ დაუშვა, – სადაც შენ ხარ, იქ იწყება აღმოსავლეთი და იქვე თავდება. დასავლეთიც იქ იწყება და იქვე თავდება. ახლა, აქედან იცი, რა გამოდის? ის გამოდის, რო დედამიწის ყველა წერტილი ერთსა და იმავე დროს აღმოსავლეთიცაა და დასავლეთიც.

– მაშ, სულ ერთი ყოფილა, გინდა აღმოსავლეთ ტრიბუნაზე იჯდე და გინდა დასავლეთ ტრიბუნაზე?! – წამოაყრანტალა უცებ მეოთხე კოლეგამ.

მაგრამ მისი რიტორიკული კითხვა უპასუხოდ დარჩა.

საბრალო ივდითი გულხელდაკრეფილი იჯდა ხოლმე და მდუმარედ ისმენდა ყოველ ასეთ საუბარს. მერე, როდესაც სტუმრებს გააცილებდა, სამზარეულოში

შევიდოდა და ცრემლმორეული ასკვნიდა, რომ მის კაცს რაცხა დაემართა.

ამასობაში ილიკოს ნელ-ნელა დაუწია სიცხემ და ბოლოს დადგა დღე, როდესაც თერმომეტრის სინდიყი შეჩერდა სანატრელ გრაფასთან, იქ, სადაც 36,5 აწერია. ეს იყო ილიკოს ნორმალური ტემპერატურა, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოვიდა წონასწორობიდან.

ილიკო არ ჩქარობდა ადგომას. არც ივდითი აჩქარებდა, გამოშუშდესო, ფიქრობდა. ორი დღე ასე გავიდა. მესამე დღეს ავადმყოფი ექიმმა ინახულა და ჩვეულებრივზე მეტი ხანი დაჰყო მასთან, რამაც ივდითი ძალიან შეაფიქრიანა.

ბოლოს ექიმი გამოვიდა, ხელები დაიბანა და განაცხადა, მე ხელები დამიბანიაო.

ივდითიმ, რომლის თვალში ექიმის ავტორიტეტი დღითი დღე ირყეოდა, მტკიცედ მოითხოვა ამ ბუნდოვანი გამოთქმის განმარტება. მაშინ ექიმმა ხელები ჯვარედინად დაიწყო მკერდზე, თავი უკან გადაიგდო, ოდნავ სევდიანი სახე მიიღო და თქვა შემდეგი:

– საქმე ისაა, რომ ერუდიცია აკლია. მართალია, რამდენიმე საინტერესო, შეიძლება ითქვას, ორიგინალური მოსაზრებაც კი გამოთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოსაზრებები, ისე როგორც, საერთოდ, მთელი მსჯელობა, ერთგვარად პრიმიტიულ ფორმაშია მოქცეული. პრაქტიკიდან ცნობილია, რომ, რაოდენ ღრმაც არ უნდა იყოს კაცის შინაგანი სამყარო, რაოდენ გენიალურ აზრებსაც არ უნდა იტევდეს მისი სულის პერიპეტიები, ერუდიციის გარეშე თითქმის შეუძლებელია ფილოსოფიის ლაბირინთებში გზის გაგნება. მარტო ტერმინების უცოდინარობა აიღეთ: ნაცვლად იმისა, რომ კაცმა თქვას ა პროირი, კაცი ამბობს: ისე რო იყო, თავისთვის; მოგეხსენებათ, რაოდენ უხერხულია ფილოსოფიაში არაზუსტი გამოთქმების ხმარება. ასეთმა მიახლოებითმა ცნებებმა შეიძლება მთელი სისტემა დაღუპოს. არადა, ცოდნის შეძენაზე ფიქრი ახლა, მის ასაკში, მე პირადად განწირულ საქმედ მიმაჩნია. ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, ჯობია ტანთ ჩაიცვას და ხვალ დილით სამსახურში წავიდეს. სხვა გამოსავალი არა ჩანს.

ასე თქვა ექიმმა. ხოლო ღვთისგან განწირული ივდითი ნახევრად გრძნობადაკარგული მისჩერებოდა მას რაღაცნაირი გამომეტყველებით, რომლის აღწერა შეუძლებელია.

მაგრამ ექიმის შემაძრწუნებელი სიტყვებიდან ერთი რამე ჭკუაში დაუჯდა და იმ დღესვე შეუდგა მის განხორციელებას, ყოველ შემთხვევაში, ნიადაგის შემზადებას მაინც: საღამოს მორიდებულად შეაპარა ქმარს, რომ საწოლმა უკვე შეასრულა თავისი მისია.

– ილიკო, ბეჩა, – უთხრა ივდითიმ, – სიცხე აღარ გაქვს და იქნება ამდგარიყავი, თბილად ჩაგეცვა და პატარა გაგევლო ოთახში, მუხლები გაგემართა. შენ ახლა დასუსტებული იქნები ამდენი წოლით და მოგიხდება გავარჯიშება.

– გავარჯიშება ფეხებს კი არ უნდა, შე ქალო, ჭკუას უნდა. არა, არა, ჭკუას კი არა იმას... რაცხას უნდა, ივდითი, გავარჯიშება. ფეხების და ჭკუის გარდა ხო აქვს კიდო კაცს რაცხა, სხვა რაცხა, – საილუსტრაციოდ ილიკომ მარჯვენა ხელი დაახლოებით გულთან მიიტანა და ჩარხივით დაატრიალა, – ჰოდა, იმას უნდა გავარჯიშება. შენ რავა გგონია, ვენერაზე იქნება სიცოცხლე?

– რავა ვენერაზე, ილიკო?

– მთვარეზე?

– რას ბჟუტურობ, ბეჩა, თუ იცი! – ვეღარ მოითმინა ივდითიმ.

– ივდითი, ქვეყნიერება რამხელაა იცი? — შენ რომ არასდროს არ მოკვდე და სულ იარო, გინდა თვითმფრინავივით იარო, სულ, სულ, არასდროს არ გაჩერდე და არასდროს არ მოკვდე, შენ გგონია მიხვალ ბოლოში? – ილიკო ჭერს მიშტერებოდა და დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, – რამდენიც არ უნდა იარო, მილიარდჯერ და კიდო მეტჯერ დიდი გზა დაგრჩება გასავლელი. წახვალ, ივლი, ივლი, ამას გეივლი, იმას გეივლი, მარა ბოლოში მაინც ვერ მიხვალ. იმიტო, რო ბოლო არა აქვს ქვეყნიერებას. ახლა მე შენ გეკითხები: რატო არა აქვს ბოლო ქვეყნიერებას?

ივდითის, რასაკვირველია, ხმა არ ამოუღია.

– არ იცი ხო? არც მე ვიცი. კაციშვილმა არ იცის. იცი, რა ჰქვია მაგას? – უსასრულობა. მარა მე, ახლა, რას ვამბობ: კაცს მაინც შეუძლია მიხვდეს რატოა ქვეყნიერება უსასრულო, მარტო მაგას კი არა, ყველაფერს მიხვდება. რაცხა აქვს კაცს, მარა იმ რაცხას ბოთლივითა აქვს თავი დაცობილი. ახლა, რო მივხვდეთ ჩვენ, სადაა ეს ბოთლი, ავხდიდით თავს და ყველაფერს გევიგებდით. მარა არავინ არ იცის, რო რაცხა ბოთლი აქვს. ამიტომ მეიგონეს ეს სახლები და მანქანები და თოფები და ხიდები და რა ვიცი. კაცი რო მოძებნის იმ ბოთლს და ახდის თავს, უცბად დეინახავს, რო ყველაფერი სისულელე იყო, რაც იმან მეიგონა. თურმე არაფერი არ ჭირდებოდა.

ერთ დღეს ორი ასეთი ლექციის მოსმენა დიასახლისისათვის მეტისმეტია. მაგრამ, ივდითი, ღვთის მადლით, ჯანსაღი და მაგარი ქალი იყო, ათასი ჭირისა და ლხინის მნახველი, ცხოვრების მიერ გამოწვრთნილი და გამობრძმედილი; ამიტომ მისმა ორგანიზმმა ამ დატვირთვასაც გაუძლო.

დრო მიდიოდა. კოლეგები ჟამიდან ჟამზე მწყობრად შემოლაგდებოდნენ ხოლმე, შეჭამდნენ ივდითის ოქრო ხელის მიერ დამცხვარ ხაჭაპურებს და მწყობრადვე გაბრუნდებოდნენ უკან. ბოლო ხანებში კოლექტივს დაუბრუნდა გატყიურებული ვარლამა გიორგობიანიც, რომლის სულმა ერთ დროს უსიამოვნო მეტამორფოზა განიცადა. ახლა იგი თამამად მიაბიჯებდა გუგულა ბარნაბიშვილის უკან და აღარ ეშინოდა, რომ გასვლის დროს ისეთ რამეს წამოაყრანტალებდა, რაც ადგილზე გააშეშებდა საბრალო დიასახლისს; თუმცა იმ უცნაური შემთხვევის შემდეგ მარტო მოსვლას მაინც ერიდებოდა.

ისე კი, თუნდაც მარტო მისულიყო, მის მერყევ სულს უკვე აღარავითარი ხიფათი აღარ ემუქრებოდა.

რატომ? იქნებ ილიკო საბოლოოდ გამოკეთდა, იქნებ ძველებურ, გულკეთილ, ცოტა მორცხვ ილიკოდ იქცა, რომელსაც იმ წარსულ, ბედნიერ ჟამს ჩუმჩუმად თვალის გაპარება უყვარდა ხოლმე გუგულა ბარნაბიშვილის მაგიდისაკენ? არა, ასეთი კეთილი ბოლო, სამწუხაროდ, არა ჰქონია ილიკოს ავადმყოფობას. მაშ, რა მოხდა? ბევრი არაფერი, ეს იყო მხოლოდ, რომ

ილიკო თავის ორიგინალურ მოსაზრებებს ხმამაღლა აღარ გამოთქვამდა, აღარავის უზიარებდა, აღარც კოლეგებს, აღარც ცოლს, სრულიად არავის. მისი ერთადერთი მსმენელი თეთრად შეღებილი ჭერი იყო. იგი დუმდა კოლეგებთან, დუმდა ცოლთან, დუმდა ყველასთან და მხოლოდ ჭერის თანდასწრებით ლაპარაკობდა. იწვა ხოლმე გულაღმა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა და ქადაგებდა:

– ჰმ, ორმოცდაცხრამეტი წელი და რვა თვე ისე გავატარე, ერთი დღე არ მიცხოვრია. კაცმა რო თქვას, რაფერ მეცხოვრა, – არ ვიცოდი, რა იყო ცხოვრება. არც ახლა ვიცი, მარა ახლა იგი მაინც ვიცი, რო არ ვიცი, და ვფიქრობ, – იქნება გევიგო. სასწაული იგია, სხვები რო ვერ ხვდებიან ამას და პირდაფჩენილი მიყურებენ. აგერ, ახლა, ჩემი ივდითი ევიღოთ, თუ გინდა: ორმოცდათხუთმეტი წლის მაგიც ქეა. ზის ამ ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში თავის სამზარეულოში, აცხობს ხაჭაპურებს, პუტავს საწყალ ქათმებს და ასე გონია, თუ ვინმე ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, მეც ვცხოვრობო. თუ ყოველი კაცი მიხვდება, რო არ იცის, რაია ცხოვრება და დეიწყებს ფიქრს, იქნება მართლა გამევიდეს რამე. ისე, როგორც მე ვფიქრობ, ცხოვრება უნდა იყოს სიმრგვალე. რაფერი სიმრგვალე ახლა? ბურთივით სიმრგვალე. ბურთივით სიმრგვალეს უნდა დააკვირდე კაცი, კარგად უნდა დააკვირდე, გულდასმით, და იქნებ მიხვდე, რატოა, ახლა სიმრგვალეში საქმე? იმიტო, რო სიმრგვალე ჰგავს უსასრულობას. მიდიხარ, მიდიხარ და არ თავდება. ასეა ქვეყნიერებაც. ამიტო...

ასე გაატარა თვენახევარი ილიკომ. თვენახევარი მას შემდეგ, რაც თერმომეტრის სინდიყი მტკიცედ დამკვიდრდა იმ გრაფასთან, რომელსაც 36,5 აწერია. ამ თვენახევრის განმავლობაში ერთგულმა ივდითიმ ათასგვარი გზა მოსინჯა, ათასი ხერხი იხმარა, რომ ილიკო აეყენებია და სამსახურში გაესტუმრებია. ოთხი კოლეგაც თავდადებით ემსახურებოდა ამ კეთილშობილურ საქმეს. მაგრამ გავიდა თვენახევარი, ივდითისა და კოლეგების ურიცხვ ცდას კი წარმატება არ მოჰყოლია.

ბოლოს გუგულა ბარნაბიშვილმა, რომელსაც მაღალი მკერდის გარდა მახვილი ჭკუაც აღმოაჩნდა, ასეთი რჩევა მისცა ივდითის:

– დეიდა ივდითი, ერთი აზრი მომივიდა. თუ დაკვირვებიხართ, რა გატაცებითა და სიამოვნებით ლაპარაკობს თავის თავთან და როგორ წყინს, ვინმე რომ შევა და ხელს შეუშლის. თქვენც დაუჯექით ოთახში და არ გამოხვიდეთ. თუ რამე გითხრათ, მაგრამ დაუხვდით. იქნებ ამან გაჭრას.

და ამან გაჭრა.

ილიკომ ითმინა, ითმინა და ვეღარ მოითმინა.

და აი, ზაფხულის ერთ მშვენიერ დილას უფერული კანტორის ფართო, უსინათლო ოთახში გამოჩნდა მაღალ-მაღალი, გამხდარი, ჭაღარაშერეული კაცი, რომელსაც თეთრი ხალათი, თეთრი შარვალი და თეთრი ფეხსაცმელები ეცვა.

კოლეგები აღფრთოვანებული ყიჟინით შეხვდნენ ნაავადმყოფარი ამხანაგის გამოჩენას და სათითაოდ ჩამოართვეს ხელი. როდესაც გუგულა ბარნაბიშვილმაც შეასრულა ეს ცერემონიალი, მისი მკერდი უსასრულოდ ახლოს იყო დაბრუნებული კოლეგის ჩავარდნილ მკერდთან, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ამბავს ილიკოსათვის აღარავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ისევ აჩხაკუნდა მოწყენილი საანგარიშო, აქამდე რომ უქმად იყო და შურის თვალით შეჰყურებდა თავისი კოლეგების გაცხარებულ კაკანს... თუმცა, სამწუხაროდ, აქ პატარა კორექტივის შეტანა დაგვჭირდება:

გარეგნულად ძნელი შესამჩნევი იყო რაიმე განსხვავება, – საანგარიშო ჩხაკუნობდა, ისე როგორც ორთვენახევრის წინ. მაგრამ თუ საკანცელარიო რვეულსაც გადაფურცლავდით, რომელშიაც ამ ჩხაკუნის შედეგები იწერებოდა, აშკარად შეამჩნევდით მელოდიის სიყალბეს. ვარლამა გიორგობიანმა, რომელსაც უსასრულოდ დიდი ცხვირი ჰქონდა, გადაშალა რვეული და შეამჩნია მელოდიის სიყალბე. და თუ აქამდე სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი, ახლა, ყველასათვის მოულოდნელად, სამუშაოს შემდეგაც კი კანტორაში რჩებოდა. გუგულა ბარნაბიშვილს, რომელსაც ურყევად სწამდა, რომ ასეთი იდუმალი ქცევა დაუყოვნებლივ განმარტებას საჭიროებდა, მან აუხსნა თავისი უეცარი გაბეჯითების მიზეზი და დაუმატა:

– რაღაცა ორი თვე დარჩა პენსიამდე და ხომ იცი...

მეორე დღეს ძალიან მახვილ ყურს შეეძლო გაეგონა:

– მალე მაინც პენსიაში უნდა გავიდეს და...

როდესაც ძალიან მახვილი ყური ამას ისმენდა, მკერდმაღალი კოლეგისა და მოხუცი კოლეგის თავები უსასრულოდ ახლო იმყოფებოდნენ ერთმანეთთან.

მესამე დღეს, როდესაც მოხუცი კოლეგა მეოთხე კოლეგისაკენ გადაიხარა, ამ უკანასკნელმა ისეთი სახე მიიღო, ყეყეჩი რომ, ბოლოსდაბოლოს, რაღაცას მიხვდება და იტყვის: „აა!“

ილიკო კი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით დადიოდა სახლიდან სამსახურამდე და სამსახურიდან სახლამდე და თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას. სხვებთან თითქმის დამუნჯდა: თავის ორიგინალურ მოსაზრებებს ხომ არ უზიარებდა ვინმეს და არა, მაგრამ ბოლო ხანებში აღარც ყოველდღიურ ამბებზე საუბრობდა. მხოლოდ ერთხელ, როდესაც ქუჩის კუთხეში თავის ყოფილ ექიმს გადაეყარა, ცოტა გაივარჯიშა ხმამაღალ ლაპარაკში:

– როგორც ვატყობ, საცხა გეჩქარებათ, ექიმო. მაგრამ თქვენ ნასწავლი კაცი ბრძანდებით და, მე მგონია, იცით, რომ არ იცით, სად გეჩქარებათ და რატო გეჩქარებათ. რავა ფიქრობთ, ექიმო, რას დავფუსფუსებთ, რას ვფაფხურობთ, რა გვინდა. წავალ ახლა, დავაფრინდები ჩემ საანგარიშოს, ვიანგარიშებ რაცხას, მერე ამ ნაანგარიშევს ვინცხა დეითვლის და ფულს გამოწერს, ამ გამოწერილს კიდო ვინცხას მიუტანენ, იგი, ახლა, რაცხას ააშენებს, თვითონ არ იცის რატო. ფული თუ არ მიუტანეს ვერ ააშენებს და აწრიალდება, დეიწყებს ყვირილს, იჩივლებს. რაია, ახლა, ეს ფული ექიმო, ა? ამ ქაღალდისთვის კაცმა რავა უნდა იჩხუბოს! – აქ ილიკომ ჯიბიდან ამოიღო ერთი ასეთი ქაღალდთაგანი, რომელიც ძალიან ძნელი საშოვარია, ჯვარედინად გადაფხრიწა და ნაგვის ყუთში ჩააგდო. – იცით, ექიმო, რა ვართ ჩვენ? – მატლები ვართ. ვზივართ თხილის გულში და არ გვგონია თუ ამ თხილის გულს იქით კიდოა რამე. მარა, სინამდვილეში არის რაცხა ამ თხილის გულს იქით. წუხელ სიზმარში უსასრულობა ვნახე!

ექიმმა თავის გულში აღნიშნა, ყოფილი პაციენტი ერუდიციის უქონლობის გამო საინტერესო აზრებს ერთობ პრიმიტიულ ფორმაში აქცევსო, და თავისი გზით წავიდა.

ასე იყო ილიკოს საქმე. დადიოდა ქუჩა-ქუჩა ღრმად დაფიქრებული, ებაასებოდა საკუთარ თავს და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. არაერთხელ გასცდენია ლაპარაკში გართული თავის სახლს, არაერთხელ გაშეშებია ჰაერში პირისაკენ წაღებული ლუკმა, არაერთხელ შეუწყვეტია უეცრად საანგარიშოს ჩხაკუნი, რათა უტყვი და უძრავი სახით მიშტერებოდა მოპირდაპირე კედელს, სადაც ღირსშესანიშნავი არაფერი იყო.

სამჯერ ძლივს გადაურჩა მანქანას.

მეოთხედ კი...

მეოთხედ მანქანა საშინელი სისწრაფით მოქროდა, ხოლო ილიკო, როგორც ყოველთვის, დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით კვეთდა ქუჩას და ფიქრობდა უსასრულობაზე, რომელიც შეუცნობელი იყო.

ირაკლი ქასრაშვილი

როგორი ქალაქია ქუთაისი...

რეზო გაბრიაძის ქუთაისი ფანტასმაგორიული ქალაქია, მარკ შაგალის ვიტებსკის მსგავსად. თუმცა, აქ ადამიანები არ დაფრინავენ თუნუქით გადახურული ქალაქის თავზე. მათი ყოფა უფრო არსებობაა, ვიდრე სრულყოფილი ცხოვრება. გაბრიაძის ზოგიერთ გმირს თითქოს სხეულიც კი არ აქვს. ამ ადამიანებს არც მიზანი აქვთ, თავის გატანის გარდა. ყოველდღიური მოთხოვნილებების მიღმა ისინი პრაქტიკულად არ იხედებიან, არც კი ცდილობენ, გაიაზრონ სამყარო, სადაც მოხვდნენ. ყველაფერი მათ გარშემო უკვე მოცემულია, დიდი ხნით ადრე დადგენილი, გადაწყვეტილი და ჩამოყალიბებული. ეს არცაა გასაკვირი – ეს ქალაქი ხომ სტალინისდროინდელი საბჭოთა კავშირის ნაწილია, უფრო სწორად, მისი მიყრუებული პროვინციაა. გმირები ნოდარ დუმბაძის ან ფოლკნერის წიგნებივით ერთი ნაწარმოებიდან მეორეში გადადიან, ზოგჯერ სახელებსაც იცვლიან, მაგრამ შინაგანად მაინც უცვლელნი რჩებიან. ექიმი „ექიმი და პაციენტიდან“ ზუსტად ისაა, ვინც „ჩემს პატარა ქალაქშია“, ხოლო პატარა ბიჭი „თეთრი ხიდიდან“ იგივე ვარლამია „ქუთაისი ქალაქიადან“. ამ ქალაქში გასართობი მართლაც ცოტაა, პარკშიც კი ხეებია გაჩეხილი. ხალხი თითქოს კი არ ცხოვრობს, არამედ მოძრაობს რაღაც ბურუსიან სივრცეში. ისინი ხშირად ცოცხალ არსებებს კი არა, მარიონეტებს ჰგვანან. ყოფის სრული უპერსპექტივობა – აი, რა გამოარჩევს გაბრიაძის გმირებს. პატარა პრობლემები, მცირე



აზრები, გაურკვეველი მოქმედებები, ვიწრო თვალსაწიერი, განვითარების არანაირი სურვილი – აი, მათი ხვედრი. ერთადერთი პროგრესული ადამიანი გასაცოდავებული გერმანელი ტყვეა, კაცი, რომელიც იძულებითაა მოხვედრილი ამ ქვეყანაში, მაგრამ მაინც ცდილობს, რაღაც გააუმჯობესოს, ვიღაცას დაეხმაროს. ის რგავს ყვავილებს, ამუშავებს მიწას, შეაკეთებს საპირფარეშოს, მიცვალებულისთვის კუბოც კი მისი შეჭედილია. ვარლამის ბაბუის თავგადადებული სწრაფვა კეთილმოწყობილი ტუალეტიდან ქარსა და წვიმაში უკან, მამა-პაპური ჩეჩმისაკენ სწორედ იმ სიბნელესა და უმეცრებაში დარჩენის სიმბოლოა, საიდანაც, წითელარმიელის სიტყვებით, ამხანაგ სტალინს უნდა ქვეშევრდომთა გამოყვანა და ამიტომაც არ ხოცავს ტყვეებს: „იქნებ რამე ასწავლონ ამ ჩვენს ბნელ ხალხსო“.

ეპოქა, რომელიც რეზო გაბრიაძის წიგნშია აღწერილი, სწორედ კლასიკური სტალინიზმის აყვავების ხანაა, დრო, რომელიც დღესაც ნოსტალგიას იწვევს რუს იმპერიალისტებსა და ქართველ კომუნისტებში. ამ დროს ლამის ნახევარი მსოფლიო გააწითლა საბჭოთა ჯარმა, ბელგრადიდან ფხენიანამდე აფრიალდა წითელი დროშა. არადა, ავტორი დაუნდობელი სიმართლით გვიჩვენებს, რა უბადრუკად ცხოვრობდა ამ მსოფლიოს დამპყრობელ ქვეყანაში ჩვეულებრივი ხალხი, როგორ იდგნენ პურის რიგებში, რა ფილმებს უყურებდნენ და რას უწოდებდნენ თეატრს. ის ყოველწამიერი წნეხი, რომელსაც პროვინციული საბჭოთა ქალაქის შვილები, დიდები თუ პატარები, ქალები თუ კაცები, მასწავლებლები თუ ექიმები განიცდიან, სრულიად აუტანელი იქნებოდა, რომ არა ქუთაისის ანგელოზი, არსება თუ კაცი, რომელსაც დროდადრო ხალისი და თავისუფლება შემოაქვს ამ ადამიანების ცხოვრებაში. იგი ერთადერთი ცოცხალი, ნათელი არსებაა მარიონეტებით დასახლებულ ჩამქრალ ქალაქში, რომლის მცხოვრებთ სხვაგვარი ყოფა ვერც წარმოუდგენიათ, სადაც კაცი-ავტომობილი ჩიტო იძულებულია ცოლ-შვილი გადამალოს და მანამდეა ბედნიერი, სანამ ფანტაზიებში დაქრის, ხოლო რეალობაში დაბრუნებისთანავე ერთადერთ გამოსავლად თვითმკვლელობა ესახება. ანგელოზი ერმონია თვით შეჯავშნულ მანქანაში გამოჭიმულ დიდ სტალინს და მის დამქაშებსაც არ ეპუება, კომიკურ პერსონაჟებად აქცევს ხელის ერთი მოსმით. ის თითქოს იმ ძველი, სამუდამოდ გარდასული სამყაროს გადმონაშთია, რომლის ნარჩენები აქა-იქ თუ გაიელვებს წიგნში. და მაშინ გვახსენდება, რომ ქუთაისი შესაძლოა უფრო მეტხანს იყო ერთიანი საქართველოს დედაქალაქი, ვიდრე თბილისი, რომ აქაური კულტურული ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცის დასაწყისში თბილისისას არ ჩამოუვარდებოდა, რომ თეატრალური დასი ამ ორ ქალაქში ერთდროულად დაფუძნდა, აქ დაიწყო ცისფერყანწელების მოძრაობა, სხვადასხვა დროს აქ ცხოვრობდნენ აკაკი და გალაკტიონი, რომ ამ ქვეყანაში ოდესღაც ორი თანატოლი კულტურული ცენტრი იყო – აღმოსავლეთის და დასავლეთის. ეს ყველაფერი უკვე გამქრალია, მომსპარია კომუნისტური გათანაბრების ცეცხლითა და მახვილით. ჩვენ შედეგებს ვხედავთ — უდაბნოს, სადაც ყმაწვილები ბიბლიოთეკაში მალულად დადიან და მოწაფეები სიმღერებს მხოლოდ დიდ ბელადზე მღერიან. ეს არის დრო, როდესაც კულტურული რევოლუცია უკვე დასრულდა და ახალ, კრიმინალურ რევოლუციას ეყრება საფუძველი. ფეზუიები და სლიპუიები, ადამიანები, რომელთაც სახელიც კი არ დაიმსახურეს და მეტსახელზე გაიყინნენ, მხოლოდ „სამაკატკის“ მისაკუთრებაზე არ შეჩერდებიან. მათ უკვე მიაგნეს კარგი ცხოვრების იოლ ხერხს – არ შექმნა არაფერი, სამაგიეროდ წაგლიჯე სხვას და ამაში დღეს პიონერხელმძღვანელი იქნება შენს მხარეზე, ხვალ — სახელმწიფო, ზეგ კი მთელი ქვეყანა და ასეთი საქციელი აღარავისთვის იქნება დასაძრახი, შემდეგ საამაყოც გახდება და საზოგადოებში მაღალ სტატუსს მოგანიჭებს. იქ, უაზრო და საშინელ ორმოციან წლებში, პურის რიგებისა და ინვალიდებით გაჭედილ ბაზარში დაიწყო ქუთაისის კრიმინალურ დედაქალაქად გადაქცევა, რამაც მთელი მისი ჯანსაღი სასიცოცხლო ძალები გააქვავა, დროთა განმავლობაში საბოლოოდ დაშრიტა და იქამდე მიიყვანა, რომ რიონის პირას ნორმალური ცხოვრება თავიდან გახდა ასაღორძინებელი. საერთოდ, მეტ-ნაკლებად კოსმოპოლიტური თბილისისგან განსხვავებით, ქუთაისი ყოველთვის წმინდა ქართული ქალაქი იყო და ძველი საქართველოს განადგურების სამოცდაათწლიანი კომუნისტური ისტორია ალბათ ყველაზე კარგად მისი ტრანსფორმაციის თუ თანდათანობითი დაღმასვლის ამბავში აისახება.

ყველაზე საოცარი და ადამიანური ამ ნაწარმოებებს შორის მაინც „ჩვენი პატარა ქალაქია“. მისი პირველწყაროს, ტორნტონ უაილდერის პიესის წაკითხვის შემდეგ ხვდებით, რა აზრი დევს გამოთქმაში: „უკიდურესობები ერთმანეთს ემთხვევაო“. ალბათ, ძნელია წარმოიდგინო ორი ისეთი განსხვავებული ქვეყანა, როგორიც მეოცე საუკუნის დასაწყისის ამერიკა და ორმოციანი წლების საბჭოთა კავშირია. ერთგან – ინდივიდუალიზმის ზეობაა, მეორეგან კი – კოლექტივიზმის ჭაობი. არადა, მათი გმირების ცხოვრება თითქმის იმეორებს ერთმანეთს, მათ მსგავსი განცდები, იგივე დამოკიდებულება ყოფიერებისადმი, ერთნაირი ბედისწერა აქვთ. ისინი ყველანი ადამიანები არიან, საზოგადოებრივი ცხოველები, როგორც არისტოტელე უწოდებდა, მოკვდავი არსებები, როგორც სამყაროს დასაბამიდანაა ცნობილი. მათი მისამართია: სამყარო, მზის სისტემა, პლანეტა დედამიწა. და ეს ყველა განსხვავებაზე მეტად აერთიანებთ. გარდა იმისა, რომ ამ ორ მხარეში – ახალ ინგლისსა და საქართველოში — ბუნება ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მშობიარეებს ნიუ ჰემპშირშიც და იმერეთშიც ერთნაირად სჭირდებათ ექიმები, ხოლო ახალგაზრდებს, ვიდრე ადამიანი ადამიანად რჩება, მარად შეუყვარდებათ ერთმანეთი და მაინც დაქორწინდებიან, როგორც არ უნდა უფრთხოდნენ ოჯახურ ცხოვრებას. ტორნტონ უაილდერი და მის კვალად რეზო გაბრიაძე თითქოს ბანალურ პროვინციულ ამბავს ჰყვებიან, არადა, მის მიღმა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების დიდი ფილოსოფიაა, ყოფიერების არსის ძიება, ანუ ის, რაც თითოეულ ჩვენგანს შეეხება.

იოსიფ ბროდსკი

ტრიტონი

ზედაპირი მიწის ნიშნავს,
რომ სიცოცხლის ნება არი
იქ, კოსმოსში, ანუ ზემოთ,
რამდენადაც ძალგვიძს ცისქვეშ
ვიდგეთ, ვიჯდეთ, ვაქროთ კვარი,
თვალს ვანახოთ სარკმლის გემო.

სხვა პლანეტა, ყველა, რვავე
თვლის, რომ ესე ჩემი დასკვნა
არის სწორედ არასწორი...
და ჩვენგან თუ ვინმეს კლავენ,
მათი „შესდექ!“ ისმის მკაცრად,
თუმც არიან ძალზე შორი.

მაინც (თუმცა ვწვალობ ამდენს)
ვარსებობ და ვიტყვი წრფელად:
ამ ყოფნაზე უფრო, ჩემთვის,
ფასობს ზღვა და ზღვა ვერ დავთმე,
ზღვასვე ვანაცვალე ყველა,
ანუ – რაც კი მხიბლავს დღემდის.

კი, ვაკეებს არ ვმტრობ, მაგრამ
ვეძმე მყინვარების მიტრებს...
უდაბნოსაც, მთებსაც ველტვი,
აპენინზე ჭკუას ვკარგავ
და ესენი, როგორც მითხრეს,
კოსმოსშია ბევრად მეტი.

ციურ სხეულების სტატუსს
რელიეფის ხარჯზე ვიძენთ,
მაგრამ ვეღარ ვხედავთ მჟონავ
მათ რელიეფს, მაინც რატომ?
თუმცა მზერით საზღვრის სიგრძე
განვლეთ, როგორც საფრთხო ზონა...

სიცოცხლე კი ლანდშაფტს შვენის
ყოველგვარი, და თუ ფუშავს
მას რამე, ან ხდება ხისტი,
განა ძალუძს იქცეს, ჩვენი
გულ-გონისთვის, მას ნიმუშად,
მით უმეტეს, აორტისთვის?!

და როდესაც სირიუსზე
ხართ და ირგვლივ უჩანს მურა
ფანტაზია ქვათა მაღლობს –
ეს ფეხსაცმელს ძირს და ქუსლებს
უფუჭებს და ძველებურად
აღარ ბრწყინავს ახლომახლო.

სხეულებს და მათ ცებს, ვერც ერთს,
სხვა გარემო, სივრცე, ჯერაც,
ვეღარ უპოვნიათ შორად...
„უსიყვარულოდ კი შესწევთ
ყოფნა, მაგრამ უწყლოდ – ვერა!“ –
ეს კი უთქვამს პოეტს სწორად...

აქედან ვარ ჭმუნვით მე. და
თითს კამერის სასხლეტს, მძაბავს,
ტურისტი რომ აჭერს ეშხით,
როს ლანდშაფტი ატალღდება –
ეს მოლუსკი მასზე სწრაფად
ლაპარაკობს ახლა ჩემში...

და აყოლებს მას ხმას გუნდი
ქორდული და მას კვერს ვუკრავ
ხუთი ლიტრი არაცისფერ



სისხლით: ყველა ფორა, კუნთი
მიწის, მიბრუნებენ უკან
ზღვას, მიქცეულს მარადისკენ.

და ზღვის პირას, უხმოდ მდგარი,
შუბლის ჭმუხვნით, თანაც ლაღად
გავხედავ რა მღელვარ ზვირთებს,
ვფიქრობ, რომ ეს არსად არი, –
მთელს კოსმოსში ვერსად ვნახავ,
რასაც კი აქ ვხედავ, ვისმენ.

ზღვის შემდგენელ, ეგზომ საოც
საგანთ გვარი ბლომად არი,
მრავლობითი რიცხვით ბრწყინავს,
გადაყრილი სანანაოდ...
და ხელობა ყოველგვარი
მათზე დამყნობილა წინათ...

არსებითად, წყალი ჯამი
არის თავის ნაწილების
და ცვლის იმ ჯამს, ყოველ წუთას,
მათი ართურმა და ამით
გამონაშუქს დაწვრილებით
ცნობის ბოდვა მძაფრს ხდის მუდამ.

ძევს სიტყვაში „ღელვა“, დასტურ,
განსაზღვრება ყველა ტალღის,
ღირებული ეგზომ დიდად,
რაც არ მონებს მზერას მაცდურს,
რომლითაც ის, როგორც დაღით,
აღბეჭდილა გარე მხრიდან.

გარეგნობით სადარს B-სი
გასტროლები აქვსო რვიანს –
უსაზღვრობის ასულს ცხადად,
შესაფერისს, ჩვეულ წესით,
დაჟვარდის და ეგზომ დიად
მელნის შუშისა და სხვათა.

სამკუთხედიც, რომბიც, რუმბიც,
კუბიც – ტალღას უცხოდ უჩანს,
ერთსაც არ აქვს მისთვის აზრი
(ამაშია ზღვის სიტურფე),
ზღვაში მსგავსი არის ტუჩთა
ქაფის, ლავიწისა გასწვრივ...

მისწრაფებით აზრს რომ იგდებს,
რომლის სიღრმე გვიჩანს ლანდად,
შორი სივრცე ლურჯი ზღვისა
მეტყველებას ჰგავს და კიდევ
ნაწერების ნახევს, ანდა
რომელიღაც სჯულის ფიცარს...

და სწორედაც მასში რათა
თავიანთი ჰპოვეს სტილი –
მომღერლები მღერენ სხვაფერ,
იმდიდრებენ ნაყშებს ხმათა
და გუგებზე, ზოგი, ტკბილი
ხმების ქუთუთოებს აფენს...

რომ იდგამდეს ენას ზვირთი,
გადმოღვრიდა სიტყვებს მარდად,
გადარევდა თავის მსმენელს,
თუ ეტყოდა: „ბოდიშს გიხდით,
ამქვეყნისა არა ვარ და
აქ ვერაფრით დავისვენებ“.

მას ხელიდან აღარ ვუშვებთ,
რადგან ვფიქრობთ, იყო მართლა
და, თითქოსდა, ჰქონდეს ეზო,
სადაც ვნახავთ მოყვასს „გუშინ“,
კოლიზეუმს, რაზეც წარვთქვამთ,
„რა ჯანდაბად მინდა ესო!“

სხვაფერ ზვირთთან (რომლის ზათქიც
„ვაშას“ მოჰგავს) ამ ზათქს, რამაც
შესძლო „ხვალე“, „ახლა“, „გუშინ“
ჩაეტია თავის თავში,
ვერ შეიტან ამ ზათქს, ამას,
ვერც დავთარში, ვერც რვეულში.

იქ, სადაცა ნამყო-მყოფადს,
ჩხირკედელაობით, გზაზე
აწმყოს შექმნა ექცათ წესად,
გემოვნება მოცულობას
იქ კარნახობს სწორედ – მასებს
და აქედან, ალბათ, ზღვებსაც.

და სიჩქარე თეთრი გნომის –
კვაზრის, რასაც „შუქი“ „ჰქვია“,
მოგვაგონებს ლოხს და ფეთხუმს:
ბაზარია – ჭუჭყის ომი...
მატერია – ესთეტია
და ღმერთს: „ზღვას ნუ გამყრიო!“ – შესთხოვს.

ნებისმიერ მათგანს ჩათვლი
დროის ტვიფრად, ვიდრე ნარევს
უბედურ და მწარე დღეთა,
ნესტოს მლხენთა, ამბრის მადლით,
გვირგვინთ ლხინთა, რომლის გარეთ
შენიანსაც ბლომად ხედავ.

პლანეტის ორ მესამედის –
ფსკერად მქცევი არი რახან,
ზღვა არ ფლიდობს, ძმაა ცხადის:
საგნით, თავში ასო B-თი,
ამბობს: ეს ადგილი აღარ
არის ადამიანთათვის.

მით უმეტეს სამიც თუა
მეოთხედი. ხმელეთს ტალღა
ეპიზოდად თვლის და უკვირს,
რომ შიგ კედელივით ყრუა
ზღვა თევზთათვის, ყრუა მართლაც
ის ჰაერი, გაზი, შუქი...

გაშიფრვისას წყალი აზრებს
გაიშიშვლებს არა ტყუილა, –
უსასრულობისა ლამაზ
პროფილს, ანდა ანფასს გვაძლევს
და რომ ჩვენთვის არ შექმნილა
ეს სამყარო – ამბობს ამას.

ანდა, იქნებ, სევდა არის
მარადისის ნატვრა მარად,
ნატვრით, ციერ, ფრთოსან სულის,
ინერცია ჯოგის, ფარის,
მშობელ გარემოში ქარაფს
ხშირად როა მიყუჟული.

ჭურჭელია მიწა, იქნებ,
ფიალისა დარი მხოლოდ,
რომელზედაც ჩვენ ვართ მჩენი:
ველებს ვხნავთ და ხელებს ვიქნევთ,
ანუ ფოქსტროტს ვცეკვავთ, ხოლო
არშიები ჰქრიან ჩვენი.

ვარსკვლავებმაც, თქვენა ხართო
ყოფნის ბორდიურიც, ქობაც,
რომელთ რიცხვი თვალთა შეშლილ
მზერას ქუხილმდუღარ ფართობს,
ანუ სივრცეს, გრგვინვის მშობადს,
არ აშორებს თავის დღეში.

ვარსკვლავთ ძალუძთ ცქერა ამოდ
და ხედავენ უფრო მეტად,
კოსმოსშია მათი ელვის
ახსნა, უსარკობის გამო...
ჯობს გაუგო კოსმოსს ნეტარს,
ვიდრე შეურიგდე ღელვით.

მაგრამ ზღვები ჩვენკენ სულაც
არა დგანან პირით, მგონი, –
ცანი უმშვიდებენ ნერვებს.
აფასებენ მათ და სრულად
ჰგვანან ბრმისგან გამოგონილ
ანაბანის ფოიერვერკს.

ხაფანგში რომ აღმოვჩნდებით,
არ ვჭირდებით როცა ცისქვეშ
არვის, ვისაც ვუძმეთ – მათაც,
გვესიზმრება მაშინ ზღვები –
სიზმრად უფრო დიდ ვალს ვიღებთ,
ვიდრე ვალი გვმართებს ცხადად.

იერში კი დიდძალ წყალის,
ჩვენკენ ჭავლის ყრით რომ რბიან
და იქ ყალყზე მდგარი ჩანან,
ჰგონიათ, რომ ხედავს თვალი
თავისუფლების კარს ღიას –
ყველასგან და ბედისგანაც.

ან საერთოდ თუა ბედი,
რაც ყრუ ალაგთ უფრო ართობს,
სადაც დღემდე დარჩა კულტად!
სულიერი აღარ ეთქმის,
რადგან ზღვისა უფრო ფართო
არის სივრცე, ვიდრე სულთა.

როს შაპიტოს აშლი კარავს,
ვწუხვარ, რომ მას, რაც კი ცისქვეშ,
ვთქვათ, არსება იყო ჩემი,
იტაცებს რა ჰაერს, არრად
გადაქცეულს, ზვირთად იქცეს
არა ძალუძს დიდი გვემით.

მაგრამ თუ ხართ, თუნდაც მცირედ,
მიზანთროპი, მაშინ შვებას
იგრძნობთ შემოჭერით სარტყლის,
მიუშვერთ რა გულ-მკერდს გმირად
ამას, ამ თავისუფლებას,
მისკენ ზედმეტ ბიჯის გადგმით.

კაფეში

თელის ქვეშ, მუდამ მოჩურჩულე რომ მოჩანს ჯმუხად
და კაფეს აქცევს ვერსად მყოფელ მიდამოდ სეფედ,
როგორც ყველა ხე, რაც იქნება, თელა თუ მუხა,
თავთავიანთი სიმწვანით რომ ჩვენზე მეტს სძლებენ,

მე, სხვამხრივ – არვინ, ყოვლადკაცი, ანუ ერთ-ერთი
მოსმა იმ სულდგმულ სურათთაგან, რომლებსაც ჩქამით,
ფუნჯის, სიცოცხლის საღებავში, წობით, გვერდიდან
ხატავს – არმქონე უკეთესი პალიტრის — ჟამი,

ვზივარ შრიალა გაზეთით და ვფიქრობ: საიდან
გადმოიხატეს ნატურიდან, ვის გამო ვღელავთ –
ვის უცნობობას, ვის სიმშვიდეს, ვის საიდუმლო
არყოფნის ფორმას ვიმეორებთ აქ – მე და თელა?!

კორნელიუს დოლაბელას

სალვე პროკონსულს! ახლახანწყალგადავლებულო,
თქვენი დიდებაც მარმარილოს ტილოა მომცრო...
ჩვენს მერე – ტბორი და კანონი არსად ეგულვით.
თავად ქვა ვარ და ის ხომ ვიცი, თუ როგორ ვცოცხლობ!
ორი ათასი წლის მერეც გვაქვს ბევრი საერთო,
რაც უნდა იყოს დრო – ფულია და კვალსაც არ შლის...
ართრიტი რაა, თუკი ორჯერ მეტად გაერთე
და არაამქვეყნიურიც კი დაგიდგა მხარში!
მოკლედ, სასტუმროს შევუარე, რა მოხდა მერე!
ხოლო უარეს შემთხვევაში „დავრეკო ვისთან“
წამიჭერს ყელში, მაგრამ არსად დავრეკავ ჯერეთ,
რომ ქვისსამტეხლოს ხმები აღარ მომესმას ხისტად...
შენ – უსახლებოს, მე — ჯუბაში, ჯიბის გარეშეს –
რა გვინდა? ვიცი, ასოებით ვაგროვებ რასაც,
მათი ღორები რომ შეიჭრან ჟამთა კარეში...
ჩემს აორტას კი ავიწროებს მარმარის რაზა.

ღრუბლები

ღრუბლებო, გშვენით
ბალტიის ზაფხული,
ჯერ არ მაქვს ნახული –
სადარი თქვენი.

სხვა ყოფნის, იქნებ,
რაინდიც მართლა ხართ,
ცხენიც და, ხანდახან,
ღვთის ხელსაც გვიქნევთ!

ღმერთიღა გიცქერთ
შიგნიდან – სახლებში,
როგორც ხორცს, დაგლეჯილ
კვართიდან, ისე.

მეც ისე, თქვენში,
ვინც შიშებს ვიფარებ,
არყოფნის ტვიფარებს
ვხედავ და ვხვნეში.

ტოვებთ რა მარად
უკვდავთა საძვალეს,
ზღვისაგან დამცხრალი
ტალღების დარად –

რას აღარ ტოლობთ! —
ედებით მქანდაკველ
არსებას, ანდა კი
სადა გაქვთ ბოლო!

ხართ ბორცვი, კრავი,
ტაძარიც — ყოფილი,
ტოლსტოის პროფილიც,
ბერბიჭას თავიც.

ტვინს ჰგავხართ დაღლილს,
ცვილს მღვენთავს, ღერბის დარს,
ხართ აისბერგიც და
სამოთხის ბაღის

ანფასიც მკვეთრი,
ახ, თქვენთვის, ქარისა
გარდა, არ არისო
სხვა გეომეტრი!

მე თქვენში ვხედავ
ლხენასაც ფრთების დარს,
შეკაზმულების და
მომთაბარეთა.

თქვენსას ვხსნი, თითქმის,
ფხრეწას და აფრობას,
ჯამსა და სხვაფრობას –
ძილის და სიტყვის.

სიცრუის წვდომის
სწავლება გიმადლეთ,
უარვყავ სიმართლე
წონის და ზომის

და მზერაც ეკლობს –
მას აღარ მოძებნის,
ხიბლის და ოცნების
გზის სასარგებლოდ.

ვჭვრეტ თქვენგან ნაძერწ
კუნძულის ხატებას,
რაც აღემატება
გლობუსის ღაწვებს.

კოშკები თქვენი
ყველაა – ადვილი
ცხოვრების ადგილი —
მცურავი, მფრენი,

პლუს მლტოლვარ გულთა
მძლე თვითმპყრობელობა,
ციერთა მსვლელობაც,
ქცეული მულტად,

საბალოდ – ლაღი
კაბების მზადებაც,
ხან — ბარიკადებად
მოგელით კრახიც...

ჯვრისწერავ პეპლის
და ჰიმალაისა! —
ღრუბლებო, დაიცათ,
სად მიხვალთ შეხლით?!

არავის კუთვნილ
ზეცაში, თეთრფრთება,
ვისია ვედრება,
რომელსაც ფუთნით?!

იქ თქვენსავ სმენის
და მზერის ბინაა, –
ვინ გაგებთ, ვინაა
სიზიფე თქვენი?!

რაც გიჩანთ გარეთ –
გიგავთ შველს, იადონს...
როგორღა დიადობთ,
მითხარით ბარემ!

სასწაულს თქვენსას
უხმობა სულ ახლავს
და, თვლადი, გულაღმა
წევს და ჯოგს მწყემსავს,

რაც ძრაობს დარად
გამრთობთა, როდესაც
ირჩევენ ოდესღაც
დაკარგულს – ზღვარად...

ნუ წახვალთ ნურსად! —
შეიძლებთ შეუძლებს... –
მჩატე ხართ სხეულზე,
ჯობიხართ სულსაც.

თარგმნა ბათუ დანელიამ

მწერალი

ვაჟა გიგაშვილი

საირმის გორაზე ერთ-ერთი ცხრასართულიანი სახლის ბოლო სართულზე მწერალი ვაჟა გიგაშვილი ცხოვრობს. გამრეკელის ქუჩიდან საირმეზე შეუხვევ, აღმართს აუყვები და ათ წუთში იქ ხარ. არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი კორპუსია, თუმცა კარის ზღურბლს გადასცდები თუ არა, არაჩვეულებრივი სამყარო იწყება, სამყარო, რომელიც ხელოვანი კაცის სურნელით სუნთქავს. ინტერვიუს დაწყებამდე უგემრიელესი წითელი ღვინით მიმასპინძლდება. სადღაც წაკითხული მახსენდება, წიწამურის აგარაკზე თავისი ხელით წურავს ლალისფერ ღვინოსო. სამწუხაროდ, აგარაკი აღარ აქვს – ვალებს შეეწირა, ღვინო — ჯერ კიდევ შერჩა.

ამ სახლში მისი ოჯახის წევრების გარდა ორი კატა ცხოვრობს – ულამაზესი სიამის და ფუმფულა სპარსული. სპარსული თავად გაუზრდია საკუთარ უბეში, მას კიდევ თავის მხრივ — ოჯახში მოყვანილი სიამის კნუტი. შესაშური იდილიაა.

ამ სახლში მოგონებებიც ცხოვრობენ, მოგონებანი გარდასულ დღეთა... ზოგი ფურცელზე გადააქვს, ზოგსაც ნაცნობ-მეგობრებს უყვება. თხრობა სიამოვნებს, თან უამრავი რამ აქვს ნანახი, გასახსენებელი — გურამ რჩეულიშვილთან ერთად გატარებული ბობოქარი ახალგაზრდობა, დაუღალავი ხეტიალი მთაში, გაუთავებელი ექსპედიციები საქართველოში და საქართველოს გარეთ, ნადირობისას გადამხდარი ხიფათიანი ამბები, სიკვდილის პირისპირ ყოფნა... ამ ყველაფერზე ისე გატაცებით საუბრობს, გერიდება შეაჩერო და შეკითხვა დაუსვა, შეკითხვა ლიტერატურაზე, რომელიც ვაჟა გიგაშვილისთვის, ალმადოვარის ერთი ფილმის არ იყოს, მეორე კანივითაა — კანი, რომელშიც ის ცხოვრობს, მაშინაც კი, როცა არ წერს. და ჩვენც ვსაუბრობთ მის ცხოვრებაზე.

— საინტერესო დროში მოგიწიათ შემოქმედებითი მოღვაწეობა: წერა კომუნისტური იდეოლოგიის ზეობის პერიოდში დაიწყეთ, შეესწარით ამ სისტემის ნგრევას, ახლით ჩანაცვლებას და მოხვედით დღევანდელ დღემდე, როდესაც ადამიანების ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა — პრიორიტეტები, ფასეულობები, ეპოქა... რა ხდება ამ მხრივ ლიტერატურაში: რომელი ღირებულებები გადარჩა და რომელმა განიცადა დეგრადაცია?

— ძირითადი ღირებულებები არ იცვლება. მთავარია, სწორი შინაარსი მოუძებნო, კონკრეტული დროისა და გარემოს შესაბამისი ინტერპრეტაცია. ჩემს ახალგაზრდობაში იყო თემები, რომლებიც დღესაც აქტუალურია. 21 წლის ვიყავი, როცა „დღე და ჟამი“ დავწერე და გურამ რჩეულიშვილის დაჟინებული თხოვნით „ცისკარში“ მივიტანე. ვეუბნებოდი, არ დაბეჭდავენ-მეთქი, რადგან იმ პერიოდში მხოლოდ კომკავშირული ცხოვრების ილუსტრაციებს აქვეყნებდნენ. მაინც მიმატანინა. მისი რამდენიმე უწყინარი მოთხრობა შეარჩიეს — „შემოდგომა ბაბუა კოტესი“ და „სათაგური“, მე კი უარი მითხრეს. ჟურნალის თანამშრომელმა, გიორგი შატბერაშვილმა კორექტულად ამიხსნა მიზეზი. ისე მესაუბრა, მივხვდი, ყველაფერი ზუსტად გაიგო და შეაფასა, მაგრამ თავსზემოთ ძალა არ იყო. ტექსტში მოთხრობილია რეალობიდან სრულიად ამოვარდნილი ახალგაზრდა კაცის ამბავი, რომელიც უცხოდ გრძნობს თავს არსებულ გარემოში. თანამედროვე მწერლობაში მსგავსი ტიპაჟი არავის უკვირს, ერთგვარ სტერეოტიპადაც იქცა, მაშინ კი ასეთი ან ციხეში უნდა მჯდარიყო, ან — საგიჟეთში. ლიტერატურულ ნაწარმოებში ხომ საერთოდ მიუღებელი იყო.

— კიდევ რა იყო მიუღებელი მაშინდელ რეალობაში?

— ბევრი რამ. განსაკუთრებით ეპატაჟს ვერ იტანდნენ. როგორც ჩანს, განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანები აშინებდათ. მოგვიანებით ვითარება ცოტა შერბილდა, მაგრამ ამ კუთხით ზეწოლა მაინც იგრძნობოდა. კოტე ყუბანეიშვილისა და ირაკლი ჩარკვიანის ლექსები იმ დროს დავბეჭდე „მამულში,“ როცა მათი პიროვნებაცა და შემოქმედებაც ბევრისთვის იყო მიუღებელი, ისევ და ისევ არაორდინარულობის გამო. მათ თაობაში ეპატაჟს უფრო თამამად მიმართავდნენ, ჩვენ დროს კი ცოტა მეტი თუ მოგვიდოდა, დაგიჭერდნენ, თუმცა მაინც ვახერხებდით. მახსოვს, ერთხელ მე და გურამ რჩეულიშვილმა დღისით, მზისით რუსთაველზე სროლა-სროლით გავიარეთ. მერე თქვეს, ლენინის ძეგლს ესროლესო, არადა, იარაღს ვცდიდით, ძეგლი არც დაგვინახავს. ამ ფაქტს დიდი ხმაური მოჰყვა. გურამი დააპატიმრეს კიდეც. საბედნიეროდ, მალევე გამოუშვეს. ისე, ეპატაჟი გურამისთვის უნდა გეკითხათ, მისი მოგონილი იყო. ერთხელ რუსუდან თიკანაძე მოვიდა ჩემთან — წამოდი, ნახე, შენი ძმაკაცი რას აკეთებსო. ჩავედი და რას ვხედავ – ზის საპარიკმახეროში და თმას იპარსავს. მთელი თავი ააპარსინა და ერთ ადგილზე ზოლად დაიტოვა. ვერაფრით გადავათქმევინე. რამდენიმე დღე ასე დადიოდა, მერე მობეზრდა და ის დარჩენილი თმაც მოიშორა.

— ანუ ძალიან იყო ამოვარდნილი იმ სისტემიდან, ისევე, როგორც მისი მოთხრობები. თქვენი თანამედროვე მწერლები როგორ უყურებდნენ მის შემოქმედებას?



„არ მინდა და არ ვწერ“

— საოცრად ღიზიანდებოდნენ. მარტო ხნიერები კი არა, ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსებიც. არც მინდა მათი დასახელება. ვერ მიიღეს, როგორც პიროვნება და როგორც მწერალი ხომ — საერთოდ მწერალი არ არისო – ამბობდნენ. თუმცა დღეს ამაზე ყურადღებას აღარავინ ამახვილებს. მახსოვს, ერთხელ უნივერსიტეტში განხილვაზე რა დღეში ჩააგდეს. ისეთმა კარგმა ადამიანმა და მწერალმაც კი არ დაინდო, როგორიც რეზო ინანიშვილია. როგორ შეიძლება ასე წერაო – ამბობდა. სხვათა შორის, უფროსებიდან პირველად არალიტერატორმა კაცმა დააფასა. ეს იყო არქიტექტორი ლადო მესხიშვილი. მანვე წააკითხა ლანა ღოღობერიძეს ჩემი მოთხრობები — „დღე და ჟამი“ და „ცარიელი სიბრტყე“. ლანას მათი მიხედვით ფილმის გადაღება უნდოდა, მაგრამ არ გამოვიდა. ისეთი რაღაცების შეცვლა მოსთხოვეს, ძირითადი სათქმელი იკარგებოდა და უარი თქვა.

— მაინც რა იყო ამ ტექსტის მთავარი სათქმელი, საიდან მოვიდა 21 წლის ბიჭის გონებაში იმ ეპოქისთვის სრულიად უცხო პერსონაჟის სახება?

— არსაიდან, ზუსტად ასე ვცხოვრობდით. რომ გითხრათ, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ვაცნობიერებდით-მეთქი ჩვენს ქცევას, მოგატყუებთ. უბრალოდ ვერ ვიტანდით ძალად თავსმოხვეულ დოგმებს. განყენებულად რომ იფიქრო კაცმა, შეიძლება მაინცდამაინც კომუნისტურ კი არა, ზედმეტად რელიგიურ და მორალისტურ საზოგადოებაშიც გაუჩნდეს ახალგაზრდას პროტესტის გრძნობა. ბუნებრივი რეაქციაა – ვერ იტან, როცა რაღაცას გაიძულებენ და ამიტომაც საწინააღმდეგოს აკეთებ.

— თქვენი და გურამ რჩეულიშვილის მეგობრობა ცნობილი ფაქტია, თუმცა ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ მისი არაერთი მოთხრობის პერსონაჟი ბრძანდებით. ერთს გამოვყოფდი, კლასიკადქცეულ მოთხრობას — „სიკვდილი მთებში“. რამდენადაც ვიცი, მასში აღწერილ ტრაგიკულ ისტორიას ორივე შეესწარით.

— ეს არის დოკუმენტურად მოყოლილი ალფრედ კურელას ოჯახის ტრაგედია. საოცარი ტიპი იყო, ნამდვილი გერმანელი. იმ პერიოდში, როცა ეს ამბავი მოხდა, მე და გურამი ხევსურეთში ვიყავით. გოგი ოჩიაურმა გვთხოვა, მისთვის მეგზურობა გაგვეწია. კურელას და მის ოჯახს ახიელაში უნდა შევხვედროდით. ათენგენობა ახალი ჩათავებული იყო. არხოტში ერთ ოჯახს ვსტუმრობდით, როცა ეზოში ცხენზე ამხედრებული სახეწაშლილი ხევსური შემოვარდა — მიშველეთ, გერმანელები მომყავდა და ქალი დამეღუპაო. გურამი მაშინვე ცხენს მოახტა და შემთხვევის ადგილზე პირველი მიიჭრა. ცოტა ხანში მეც მივედი და ასეთი ამბავი დაგვხვდა.

— მძიმე ტექსტია. ამ მოთხრობას რომ კითხულობ, ცრემლებამდე მიდიხარ. განსაკუთრებით ბავშვის სცენაა ამაღელვებელი.

— სტეფანე მაშინ 13 წლის იქნებოდა. წარმოიდგინეთ, წევს ქალი გატეხილი თავით, გვერდით ბიჭი უზის და ხის ტოტით უნიავებს. მაინც რა ძლიერი ხალხია. ამხელა უბედურება შეემთხვათ და ეს კაცი მეუბნება, ამღაში მინდა ჩასვლაო. ტიხონოვმა მთხოვა ფოტოების გადაღება, რაღაცას წერსო. ტიხონოვი თურმე ელპიდესთან მეგობრობდა, მის ცოლთან. წავიყვანე... მოგვიანებით კურელაზე მეც დავწერე პატარა მოთხრობა. ამ ტრაგედიის მერე ერთადერთხელ იყო ჩამოსული საქართველოში, ორჯერ — მისი შვილი სტეფანე.

— რეალურად რა მოხდა?

— ცხენს ფეხი დაუცდა და ბელტი მოემსხვრა. ვინც ხევსურულ ცხენზე მჯდარა, იცის, რომ ეს მისთვის არაფერია. უნდა მიუშვა და უნაგირზე შერჩე, არ დააფრთხო. კურელას ცოლს შეეშინდა, იფიქრა, ვარდებაო და გადმოსვლა დაიწყო. ერთი ფეხი ცხენს ამოსცხო, მეორე უზანგში გაეჩხირა. ეს ყველაზე ცუდია, რაც ამ დროს შეიძლება მოხდეს. ეგრევე აგითრევს ცხენი. მართლაც ამხელა ქალი ფერდობზე სულ ქვებს უთხლაშუნა, თვითონაც ფეხები მოიტეხა.

— ამ ფაქტის შემდეგ გურამმა მალე დაწერა მოთხრობა?

— ეს ამბავი აგვისტოს პირველ ნახევარში მოხდა, შემოდგომაზე უკვე დაწერილი ჰქონდა. ფინალიც ზუსტადაა აღებული რეალობიდან. სასტუმროს ოთახში რომ შევიდა და საწოლზე გადაკიდებული ცოლის კაბა დაინახა, მაშინ წასკდა ქვითინი კურელას. ვეღარ ჩერდებოდა. მანამდე გერმანულად იქცეოდა, საქმიანად და პრაქტიკულად, არაფერი შეუმჩნევია.

— ალბათ უპრობლემოდ დაბეჭდეს, ყოველგვარი ცენზურის გარეშე.

— სხვათა შორის, მაინც ეშინოდათ. არადა, ნამდვილი ამბავია, თანაც არაფერი პოლიტიკური იქ არ ყოფილა. ბოლომდე ყოყმანობდნენ, ადამიანი რომ დაიღუპაო. თითქოს ადამიანები იმ დროს არ იღუპებოდნენ.

— „დღე და ჟამი“ 1987 წელს გამოიცა. ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა და დაწერეთ მეორე წიგნი — „მოთხრობები პოეტზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს“, ციკლი ხელოვანზე, რომელსაც შემოქმედებითი კრიზისი აქვს.

— „მოთხრობები პოეტზე“ შეიძლება „დრო და ჟამის“ ერთგვარ გაგრძელებადაც განვიხილოთ. ეს ტექსტიც შინაგანად თავისუფალ კაცზეა, რომელსაც არაფერი აბრკოლებს ცხოვრებაში, თუმცა ეს თავისუფლებაც მოჩვენებითია. „ყველა ამას მეუბნება (მაყვედრის?): შენ რა გენაღვლება, თავისუფალი კაცი ხარ, რასაც გინდა, იმას აკეთებ!.. ვინა?.. სადა?.. როდის?.. ესაა თავისუფლება?! მთელი დღე იმაში გადის, რომ ვიღაცებს კოჭს ვუგორებ, ხათრს ვუნახავ, ვუსწორებ... “ — ამბობს მთავარი გმირი. ასეა, სინამდვილეში არავინ იცის, რა არის ნამდვილი თავისუფლება.

ტექსტში ბაადურ ბალარჯიშვილის ერთი ლექსი მაქვს ჩართული, რომელიც ზუსტად ხსნის ამ წიგნის არსს:

„არვინ დაგაცლის, რომ შენს ნებაზე
განვლო, რაც გერგო ბედად ბილიკი:
— თქვენ მარტოობა გაწუხებთ ალბათ...
— არა, პირიქით.“

„მოთხრობები პოეტზე“ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დავიწყე. ფრაგმენტები გზადაგზა ემატებოდა. ახლაც მაქვს ოცამდე ახალი ჩანაწერი. მინდა შევკრა და ერთად გამოვცე, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. განწყობა მჭირდება, მწერლური კამერტონი. ამის გარეშე წერას აზრი არა აქვს – თუ უბრალოდ აიღე და მოყევი, რა გამოვა?! განწყობა ხომ უნდა შეუქმნა მკითხველს და თუ ეს განწყობა თავად არა გაქვს, სხვას რას გადასცემ, ან რას დაწერ საერთოდ?

— მთელი ნაწარმოების განმავლობაში მთავარი გმირის პოეტობა არსად ჩანს და რომ არა სათაური, შეიძლება ვერცკი მიხვდე, რომ შენს წინაშე ხელოვანია. თქვენ თუ გქონიათ მსგავსი შემოქმედებითი კრიზისის პერიოდი?

— ახლა მაქვს. 3-4 წელია არაფერი დამიწერია, თუ არ ჩავთვლით რომანს „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი.“ ისიც თავიდან სცენარად იყო ჩაფიქრებული. დათო ჯანელიძეს უნდა გადაეღო მრავალსერიანი ფილმი „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით და გადავწყვიტეთ, ეს ნაწარმოები გაგვეთანამედროვებინა. მოქმედება ორ დროში ხდება: თანამედროვე პერსონაჟი ყაფლანიშვილის გვარის ისტორიას იკვლევს, რომელიც მონოგრაფიისთვის სჭირდება. ხელნაწერებს კითხულობს, არქივებში იქექება და პოულობს ამბებს, რომლებიც სინამდვილეში მიხეილ ჯავახიშვილის მიერ დაწერილი „ჯაყოს ხიზნებია“. საინტერესო სცენარი გამოდიოდა, თუმცა შემდეგ ფილმი აღარ დააფინანსეს და რომანად გადავაკეთე. „დათა თუთაშხიას“ თანამედროვე ვერსიაზეც ვმუშაობდი. რაღაც წერტილამდე მივედი, მაგრამ მერე ესეც შეჩერდა. იმ პერიოდში ცუდად მიეწყო ერთმანეთს ჩაშლილი პროექტები. ისეთი დეპრესია დამეწყო, წერა ვიღას ახსოვდა. მართალი გითხრა, არასდროს მიფიქრია — არიქა, ბიჭო, ვწერო, თორემ ვიღუპები-მეთქი. არ მინდა და არ ვწერ! თუ მართლა არ მაქვს სათქმელი, ძალით რატომ უნდა ავიღო კალამი? სცენარი სხვა არის — დასახულ ამოცანას ასრულებ, კონკრეტული მიზანი გაქვს. მოთხრობას ვერცკი შევადარებ — სულ სხვა პროცესია. მოთხრობა ჩემთვის საინტერესო თავგადასავალია, მოგზაურობა, რომელიც არ იცი, როგორ დამთავრდება. ნაწარმოების დასასრულს წინასწარ ვერასდროს განსაზღვრავ. თვითონ მიჰყავხარ ამბავს ფინალამდე, რაღაცას გკარნახობს, რაღაც იბადება. ძალიან დიდი სიამოვნებაა... არ მესმის, რომ ამბობენ, დავიტანჯეო. თუ დაიტანჯე, დალოცვილო, დაანებე თავი, ვინ გაძალებს?!

— რატომ დაარქვით ასეთი პესიმისტური სათაური, რატომ არ წერს თქვენი პოეტი ლექსებს?

— ესეც ბაადურ ბალარჯიშვილის „დამსახურებაა“. ერთხელ თქვა, რატომ უნდა დავწერო ძალით ლექსი. მაშინ დავწერ, როცა თავისით დაიბადებაო. მართლაც ასე იყო. თვეები გავიდოდა და სტრიქონს არ დაწერდა, თუმცა მის პოეზიას ამით არაფერი მოჰკლებია. მაგარი ტიპი იყო და მაგარი პოეტი.

— სხვათა შორის, მაინცდამაინც ცნობილი არ არის.

— იმიტომ, რომ ყურადღების ცენტრში ყოფნა არ უყვარდა, არც ახსენდებოდა... დღეს კი უმეტესობა თავის წარმოჩენას ცდილობს. სამწუხაროდ, ეს გახდა წამყვანი. რეკლამამ შეიძლება ნაგავი გაასაღოს, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ყველაფერში არ ამართლებს.

— ქართულ ლიტერატურაში რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით, ვინ არის რეალურად ღირებული ავტორი და ვინ ტივტივებს ზედაპირზე?

— ძალიან კარგი ავტორები წამოვიდნენ. პირველად რომ წავიკითხე აკა მორჩილაძის „მოგზაურობა ყარაბაღში“ და „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები,“ ვიფიქრე, ვინ არის, რა კარგი ვინმეა-მეთქი. წიგნიც

დასასრული მე-16 გვერდზე

მკითხველი

ჯემალ ღაღანიძე

მსახიობი ჯემალ ღაღანიძე 1956 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე დგას. მის მიერ განხორციელებული არაერთი როლი, სპექტაკლებსა თუ ფილმებში შექმნილი სახასიათო სახეები მაყურებელს კარგად ახსოვს. ბატონ ჯემალს ლიტერატურული პერსონაჟებიც არაერთხელ გაუცოცხლებია. ინსცენირებებსა თუ ეკრანიზაციებში მრავალგზის მონაწილეობის მიუხედავად, მიაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოების გაცოცხლება სცენასა თუ ეკრანზე იშვიათი გამონაკლისების გარდა, თითქმის ყოველთვის წარუმატებელია ხოლმე. თუმცა მის მიერ შესრულებული წიწოლა „ბახტრიონში“, ბატონი გიორგი „მზიან ღამეში“, არჩილ ფორია „გვადი ბიგვაში“ წარმატებული როლები იყო. განსახიერებული ლიტერატურული პერსონაჟების შესახებ მსახიობი თავად გვეტყვის. ჩვენი მხრიდან მხოლოდ დავამატებთ, რომ ბატონი ჯემალი დღემდე აქტიურად საქმიანობს საყვარელ თეატრში, 78 წლის მსახიობი სამ სპექტაკლშია დაკავებული, ამათგან ერთ-ერთი - „მოხუცი ჯამბაზები“ განსაკუთრებით პოპულარულია.

ბატონ ჯემალს შინ ვესტურე. მისი სახლი აფიშებით, ფოტოებითა და წიგნებითაა სავსე. იქაურობამ თეატრი მომაგონა.

— ბატონო ჯემალ, არაერთი ქართველი თუ უცხოელი მწერლის ლიტერატურული სახე გაგიცოცხლებიათ. წლების განმავლობაში ვაჟა ფშაველას, უილიამ შექსპირის, ლეო ქიაჩელის, ნოდარ დუმბაძის, სხვა ავტორების ნაწარმოებთა პერსონაჟებს სცენასა თუ ეკრანზე განასახიერებდით. მათგან განსაკუთრებით საინტერესო სახედ რომელი მიგაჩნიათ?

— თეატრი და ლიტერატურა გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთს ჰგავს, ორივე მაღალ ხელოვნებას წარმოადგენს, ორივე გადმოგვცემს საინტერესო ამბავს, ქმნის სახასიათო სახეებს. როგორც იცით, 55 წელია თეატრში ვარ და არაერთი ლიტერატურული პერსონაჟი მითამაშია. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მხატვრული ნაწარმოების ინსცენირება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არასოდეს ამართლებს და უმჯობესია, თეატრის სცენაზე დრამატურგის მიერ შექმნილი პიესა იდგმებოდეს. იგივე შეიძლება ითქვას მხატვრული ტექსტის ეკრანიზაციაზეც.

„გამონაკლისები“ ვახსენე... ასეთად მივიჩნევ გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლს — „მე, ბებია ილიკო და ილარიონი“, რომელიც რეჟისორმა ნაწარმოების ავტორთან, ნოდარ დუმბაძესთან ერთად რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა. ვფიქრობ, ძლიერი ნაწარმოებია და სცენაზე გადატანას ამიტომაც „გაუძლო“. სპექტაკლში ილარიონს ვთამაშობდი (კინომსახიობთა თეატრში გადასვლამდე ამ პერსონაჟს ეროსი მანჯგალაძე განასახიერებდა). სხვათა შორის, დუმბაძის „მზიან ღამეშიც“ მერგო ეპიზოდური, თუმცა ძალზე საინტერესო როლი. უარყოფით პერსონაჟს — ბატონ გიორგის, ნიჰილისტ პროფესორს წარმოვადგენდი. მის ვრცელ მონოლოგს ვკითხულობდი. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ თუკი რაიმე მითამაშია — და მოგეხსენებათ ასზე მეტ სპექტაკლში ვითამაშე — ბატონი გიორგის სახე ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი გამოვიდა. მახსოვს, პრემიერის შემდეგ ვაკის პარკში, რესტორან „ბუდაპეშტში“ ბანკეტი გავმართეთ. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, 25 წლისა. იქამდე ბატონ ნოდარს პირადად არ ვიცნობდი. ხანდახან, სპექტაკლის რეპეტიციაზე თუ შევხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ბანკეტზე ახალგაზრდები ერთად ვისხედით. ვხედავ, ბატონი ნოდარი ჩვენსკენ გამოემართა, მომიახლოვდა და მითხრა, ყმაწვილო, რომ მცოდნოდა ბატონი გიორგის სახე ასეთი კარგი გამოვიდოდა, მის მონოლოგს უფრო ვრცლად დავწერდიო. „მზიანი ღამე“ მართლაც ძალზე პოპულარული სპექტაკლი იყო. წარმოიდგინეთ, შინ მიმავალი „გეპეის“ აღმართს ფეხით რომ ავუყვებოდი, იქაური სტუდენტები ჩემი მონოლოგიდან ფრაზებს ზეპირად „მესროდნენ“.

— როგორ ფიქრობთ, თეატრს მაყურებელი და ლიტერატურას მკითხველი მაშინ უფრო ჰყავდა?

— ეს ფაქტია და ამას ვერსად გავექცევით. სპექტაკლებზე მომზადებული მაყურებელი მოდიოდა, ის წინასწარ ეცნობოდა პიესას, ან კიდევ ერთხელ გადაიკითხავდა მხატვრულ ნაწარმოებს, რათა უფრო სრულად აღექვა სპექტაკლი და მის შეფასებაშიც კომპეტენტური ყოფილიყო. ზოგჯერ პირიქითაც ხდებოდა — სპექტაკლით მოხიბლულ მაყურებელს სურვილი უჩნდებოდა, გაცნობოდა პიესას, ან ადრე წაკითხული მხატვრული ტექსტი გაეხსენებინა. ჩვენც, მსახიობებიც ასე ვიქცეოდით. როდესაც ლიტერატურული ტექსტის გაცოცხლება ხდებოდა სცენაზე, მრავალჯერ წაკითხულ ნაწარმოებსაც კი ახლიდან გულდასმით ვეცნობოდით. განა ასეთ დროს მხოლოდ რეჟისორის იმედად დარჩებოდა ვინმე? ნაწარმოებს უფრო სხვა თვალით ვკითხულობდით, მეტად ვუღრმავდებოდით. ამითაც არ ვკმაყოფილდებოდით და შესაბამის ეპოქას შევისწავლიდით, მთელს კულტურულ სივრცეს ვითვისებდით. დღემდე ასე ვართ.

„ბახტრიონში“ უარყოფით გმირს, წიწოლას ვთამაშობდი. სახალხო არტისტის წოდება სწორედ ამ როლის შემდეგ მომანიჭეს. ძალზე მიყვარდა ეს სახე. საერთოდ, ვაჟას შემოქმედების დიდი მოტრფიალე ვარ. ბავშვობიდან ლამის ზეპირად ვიცოდი მისი ლექსები და პოემები. მაგრამ



„ მოდი, მივუბრუნდეთ წიგნებს “

როცა უკვე მსახიობს მომიწია „ბახტრიონზე“ მუშაობა, ხელმეორედ ავიღე წიგნი, წავიკითხე ბახტრიონი და გავეცანი ყველაფერს, რაც ამ ნაწარმოების უკეთ გაგებასა და ჩაწვდომაში დამეხმარებოდა. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ბევრ ავტორს სპექტაკლამდე არც კი ვიცნობდი. მაგალითად, ბერტოლდ ბრეხტის პიესები არ წამეკითხა.

გავიდა დრო და მაყურებელიც მოაკლდა თეატრს, მკითხველიც დაშორდა წიგნს. დღეს ახალგაზრდები ტელეეკრანებსა და კომპიუტერის მონიტორებს უფრო არიან მიჯაჭვულნი ვიდრე წიგნებს. არადა ქართული გამომცემლობები წიგნების დიდ არჩევანს გვთავაზობენ. საოცრად შთამბეჭდავი წიგნები გამოდის პატარებისთვისაც. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, წიგნის ხელში აღებისთანავე ფურცვლასა და თვალიერებას ვიწყებდი, რადგან პირველ რიგში ილუსტრაციები მაინტერესებდა. ამ თვალსაზრისით ნორჩ მკითხველებს ნამდვილად გაუმართლა. შეუძლებელია იმ ნაირფერმა, ძალზე სახიერმა გამოცემებმა ბავშვები არ მიიზიდოს. მოვა დრო და ისინი მკითხველებად გაიზრდებიან.

— როგორც მკითხველი, რა წიგნებზე იზრდებოდით?

— ჩემი პირველი საკითხავი ლიტერატურა კარგად მახსოვს. დედა საბავშვო ბაღის მასწავლებელი გახლდათ და მუდმივად მაწვდიდა გონებრივ საზრდოს – საბავშვო ზღაპრებსა და მოთხრობებს მიკითხავდა. როცა წამოვიზარდე, ჩემი თანატოლი ყმაწვილების მსგავსად, სათავგადასავლო ლიტერატურით დავინტერესდი და ჩემს საყვარელ ავტორებად ჯერ მარკ ტვენი, რობერტ სტივენსონი, ჯეიმს კუპერი იქცნენ, შემდეგ კი ჟიულ ვერნისა და მაინ რიდის ნაწარმოებებში „ჩავიძირე“.

მახსოვს, უფროსებისგან ფარულად რომ ვკითხულობდით „დეკამერონს“. ჯოვანი ბოკაჩოს ამ კრებულს ეროტიკული სცენებით გაჯერებულ წიგნად აღვიქვამდით და ის მხოლოდ ამიტომ გვიზიდავდა. ამ გადმოსახედიდან კი თავს ვეკითხები, „დეკამერონს“ ჩუმად წასაკითხი რა ჰქონდა-მეთქი.

რაც შეეხება ქართულ კლასიკურ ლიტერატურას — სკოლის პერიოდიდან მოყოლებული ვაჟა-ფშაველას პოემებისა და ლექსების, ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების კითხვა განსაკუთრებით მიყვარდა. შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ილია, აკაკი და სხვა დიდი ავტორები „შემოვიდნენ“ და ერთიანად მოიცვეს იგი.

— თქვენს შესახებ ხშირად გამიგია, პოეზია ძლიერ უყვარსო.

— საბავშვო ბაღი, სადაც დავდიოდი განთავსებული იყო ორსართულიან შენობაში, რომელიც ახლანდელი სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ისა და ყოფილი — „აჭარის“ ადგილას იდგა. მის გასწვრივ ცნობილი „საბურთალოს ბაზარი“ მდებარეობდა. იქვე იყო ავტობუსის გაჩერება. ვის არ ნახავდით ამ გაჩერებაზე — ხელოვნებისა და მეცნიერების ცნობილ წარმომადგენლებს, კულტურის მუშაკებს. ნაწილი ბაზარში მიდიოდა, ნაწილი კი სოფლის მეურნეობის პროდუქტით დატვირთული ელოდა ტრანსპორტს. სწორედ იქ, იმ გაჩერებაზე მდგარი უცნობი დამანახა ერთხელ დედამ და მითხრა: გალაკტიონიაო. დედამ ზეპირად იცოდა მისი ლექსები. მე კი მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, ვინ იყო ის ახოვანი კაცი, რომლის სახელსაც ასეთი პატივისცემით წარმოთქვამდა დედა. შავი ფერის პიჯაკზე ლენინის ორდენი ჰქონდა დაბნეული. ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო გალაკტიონთან.

— ჩემი ყურადღება შემოსვლისთანავე მიიქცია საკმაოდ მოზრდილმა ფოლიანტმა „გალაკტიონი — 110“, თქვენს მაგიდაზე რომ დევს. ვინ არის ამ საიუბილეო გამოცემის ავტორი?

— ეს ექვსასგვერდიანი წიგნი ბატონმა ბონდო კობაძემ გამოსცა. ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის — „მამულიშვილთა გახსენების“ — პრეზიდენტი გახლავთ და მართლაც საშურ საქმეს აკეთებს. მრავალწლიანი საქველმოქმედო საქმიანობისთვის ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. ფონდთან მეათე წელია ვთანამშრომლობ. ბატონი ბონდო ჩვენი დიდი მწერლების საიუბილეო თარიღებს განსაკუთრებულად აღნიშნავს. ის თავს უყრის ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, ასევე სამედიცინო სფეროს მუშაკებს – დაახლოებით ხუთასამდე ადამიანს — და მასშტაბურ ღონისძებას მართავს. ჯერ თბილისში ვიკრიბებით, კულტურულ აქციებს ვაწყობთ, შემდეგ იმ მწერლისა თუ პოეტის მშობლიურ ქალაქში ან სოფელში მივემგზავრებით, რომლის იუბილეც აღინიშნება. სხვადასხვა სპეციალობის ექიმები მთელი დღის განმავლობაში უფასო სამედიცინო დახმარებას, კონსულტაციებს უწევენ იქაურებს, საღამოს კი საგანგებო კულტურულ ღონისძიებას ვმართავთ. ყველაფრის დამაგვირგვინებელი კი ისეთივე მსხვილი საიუბილეო გამოცემის მომზადებაა, როგორსაც გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი შესანიშნავი წიგნის მაგალითზე ხედავთ. ასეთივე გამოცემები მომზადდა გოგლა ლეონიძის, იოსებ ნონეშვილისა და სხვა დიდებული ავტორების საიუბილეოდ.

ფონდთან თანამშრომლობამ საშუალება მომცა, ბევრ ახალგაზრდა მწერალსა თუ პოეტს პირადად შევხვედროდი, მათი ნაწერები გამეცნო. ძალზე საინტერესო, ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორები გვყავს. იგივე შემიძლია გითხრათ დრამატურგებზეც. ქართულ დრამატურგიას ყოველთვის უჭირდა. საბჭოთა წლებში აუცილებელი იყო სეზონში ერთხელ, თანამედროვე საბჭოური ყოფის ამსახველი პიესა დადგმულიყო სცენაზე. რომ იცოდეთ, რა პიესები იწერებოდა, როგორი დაბალი დონის სპექტაკლებში გვიწევდა თამაში... უნდა გითხრათ, უნიჭოდ დაწერილი პიესის თამაში გაცილებით რთულია. ის დადგმები ახლა აღარავის ახსოვს და ეს კარგიცაა.

შემდეგ დრამატურგების ახალი თაობა წამოვიდა. ჯერ ლაშა თაბუკაშვილი გამოჩნდა ქართული თეატრის ცხოვრებაში, შემდეგ სხვები მოჰყვნენ. ახალი თაობის მწერლებიც საინტერესო მასალას გვთავაზობენ. მათ ხელში ვართ მსახიობები. ალბათ მომავალში მდგომარეობა კიდევ უფრო გამოსწორდება.

— წიგნის წაკითხვის შემდეგ, რომელიმე ლიტერატურული გმირის განსახიერების სურვილი თუ გაგჩენიათ?

— როცა მსახიობი ხარ, შეუძლებელია წაიკითხო წიგნი და რომელიმე გმირში საკუთარი თავი არ დაინახო, ან ამა თუ იმ პერსონაჟის განსახიერება არ მოგინდეს, არ იფიქრო, ეს რომ სპექტაკლად იდგმებოდეს, ნეტავ, რომელ გმირს ვითამაშებდიო?! ამაზე ხშირად დავფიქრებულვარ ვაჟას კითხვისას, რადგან მასთან იმდენი სახეა, იმდენი ხასიათია... ყოველი დიდი მწერლის შემოქმედება ხომ სარკესავითაა. შეუძლებელია მასში საკუთარი თავი ან შენი თანამედროვენი არ დაინახო. თეატრიც სარკეა.

ჩვენს თეატრში ძალზე პოპულარული იყო სპექტაკლი „მეტეხის ჩრდილში“, რომელშიც სერგო ზაქარიაძე თამაშობდა. მისი გმირის — შაქროს — სიძეს კი მე ვანსახიერებდი. მახსოვს, ფირუზა რომ ვითამაშე, ჩემი უახლოესი მეგობარი, დიდი ფეხბურთელი მიშა მესხი მოვიდა და მითხრა, ჩემი მეზობლის ნახვა და გაცნობა როდის მოასწარი, ასე ზუსტად რომ გაგითავისებია მისი სახეო. იგივე გამეორდა, როცა „მზიან ღამეში“ ბატონი გიორგი ვითამაშე. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მეკითხებოდნენ, უნივერსიტეტში არ გისწავლია და ამა და ამ ადამიანს საიდან იცნობდიო.

ამიტომაც უნდა ვიაროთ თეატრში, ვიკითხოთ მხატვრული ლიტერატურა. ახლა ხომ იმდენი ახალი წიგნი გამოდის, თარგმნილიცა და ორიგინალური ლიტერატურაც მრავალფეროვანია. ჩვენი მწერლები, მთარგმნელები და გამომცემლები ძლიერ გვანებივრებენ. ვისარგებლოთ ამით და მოდი, მივუბრუნდეთ წიგნებს.

ესაუბრა თამარ ჟურული

დასასრული

დასაწყისი №60

ეს უდიდესი ცოდვა იყო, ეს:

„ „დაინახა ქამმა..... მამის სიშიშვლე“... ქამმა დაინახა ის სიშიშვლე, რომელიც ისე მტკივნეულად განიცადეს და შეიგრძნეს ჩვენმა წინაპრებმა (— ადამდაევამ) მაშინ, როდესაც აკრძალული ხილი იგემეს და „აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშვლები იყვნენ. გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს“. და მერე, იქვე, პატარა ხანში „დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: ადამ, სადა ხარ? მიუგო, შენი ხმა შემომესმა ბაღში და შემეშინდა, შიშველი რომ ვარ და დავიმალე. უთხრა: ვინ გითხრა, შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?“

და თუმც ყოველივე როგორ კარგად მოეხსენებოდა მამა-უფალს, ღმერთს, აღსარებისათვის ჰკითხა ადამს ეს და ადამმაც, მართლივ-უპასუხა:

„უთხრა ადამმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე“.

და, მიუხედავად ყვედრებისაც (— „შენ რომ დედაკაცი მომიყვანე“...) ამ აღსარებით, აღსარებისათვის-ამ, ეგებ ამიტომაც რაოდენ-რამს, გვპატიობს, ღმერთი,

ხოლოკი

„თუმცა, ყველაფერ ამაში ნოეს ნაკლებად ედო ბრალი. ჯერ ერთი, როგორც კონტექსტიდან ჩანს, მას ამ დროს ეძინა და გამომდინარე აქედან იგი ვერ გაიაზრებდა მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდა. მეორეც, ეს ყველაფერი ხდებოდა მის სახლში (კარავში), სადაც არ უნდა შეეღწია უცხო ურცხვ მზერას და სადაც ყოველი ადამიანი უფლებამოსილია იყოს საკმაოდ თავისუფალი“ –

და როგორ ამართლებს „განმარტებანი“, ნოეს,

შეძლებისადა, გვარად,

მაგრამ ვერაფრით გაამართლებს საქციელს ქამისას, რომელმა ქამმაც –

„ „და შეატყობინა გარეთ თავის ორ ძმას“... ეს ბოლო დამატება არის სწორედ ქამის დანაშაული. ქამი რომ მხოლოდ უნებლიე მოწმე ყოფილიყო, ამ ერთგვარად მაცდუნებელი სურათისა, ყოველივე იმისათვის, რაც ნახა, მნიშვნელობას არ მიანიჭებდა. მაშინ იგი არც დანაშაულს ჩაიდენდა“.

მაგრამ

„ „იმაში, თუ როგორ ჩქარობს იგი მოუყვეს ძმებს მისით ნანახს, ჩანს მისი ღრმად ბილწი ბუნება. მის საქციელში ჩანს მამის დამცირებით გამოწვეული ბოროტი სიხარული, საკუთარი უპირატესობის და სიამაყის განცდა და სირცხვილის გრძნობის უქონლობა“..... ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ის ძმებთან დასცინოდა მამას. იგი ეცადა ეჩვენებინა რაოდენ უბადრუკი და სასაცილო იყო ამ მდგომარეობაში მათი მამა — ეს 600 წლის მოხუცი, ღვთისმოსაობის და რწმენის ეს უდრეკი ბურჯი. ის (ქამი) თითქოს გახარებულიც იყო იმით, რომ ის, ვინც მას მოუწოდებდა ღვთისმოსაობისკენ და ბორკავდა მის ავ ზრახვებს, სიმთვრალის გამო თავად ჩავარდა სამარცხვინო მდგომარეობაში“

და

განიზრახა თავისი ძმების გახარებაც

იმ მამით რომელზედაც ცოტათი მოგვიანებით მაგრამ ღვთისაგან, „გამოსვლა“ში, ლევიტელთადმი და მათეთი, ითქვა:

„ვინც დასწევლის თავის მამას და დედას, სიკვდილით უნდა დაისაჯოს“

მისმა ძმებმა კი, მისგან როგორი განსხვავებით:

„აიღეს სემმა და იაფეთმა სამოსელი... და დაფარეს მამის სიშიშვლე“,

თანაც, უკუსვლით შევიდნენ მამასთან, და

„ამ საქციელით მათ არა თუ მხარი დაუჭირეს ქამის საქციელს, არამედ ამ საქციელის მიზეზიც კი მოსპეს და რამდენადაც ქამმა გამოავლინა მანკიერებისაკენ და ბილწი წარმოსახვისაკენ მიდრეკილება, მამისადმი უპატივისმცემლობა, იმდენად სემმა და იაფეთმა გვიჩვენეს მამაშვილური სიყვარულის, უბიწოების, კდემამოსილების და მამისადმი მოკრძალებული თაყვანისცემის მაგალითი, თუნდაც ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მათი მშობელი ალბათ შედარებით ნაკლებად იმსახურებდა ყოველივე ამას“,

ხოლო როდესაც კარგა ხნის შემდგომ

„გამოფხიზლდა ნოე ღვინისაგან“...,

ხოლო გამოფხიზლება იყო ძნელზე ძალიან, ძნელი,

ნოემ მოავლო თვალი კარავს და, ბინდი ედგა ნოეს თვალწინ სანამ მეორე თვალს აახელდა და მერე, წარმოიდგინეთ, კიდევაც მეტად, უფრო, რადგან იმ სიშიშვლეთი ძაანბუნდოვნად გამოყოლილს ჯერ ეგონა თუ ჩამობრანძული – დაკონკილი და დაფლეთილი მოსასხამით-რამ დაფარვოდა მთელი სხეული და მსწრაფლ წამოიჭრა ზედასხეულით მაგრამ ვერა-რა გაარჩია რადგან უბჟუოდა და კიარა და ისეთი რეტი დასხმოდა თავს რომ, ლოდთამიერი, თანაც წელადი თუნდ დიდ-სიმძიმით, როგორ, და კვლავ სარეცელზე დაეცა მხრებით და კეფით ხოლო ტვინი კი ისევ იმ ნამყოფ ჰაერში მაღლა დარჩა და მერე ისიც (ტვინი) ისე სწრაფად ჩამოეწელა რომ ბეჩავ თავში რატკივილით ჩაუძვრ-შეუძვრა და შეეღწია შუბლის-მიღმეთსა და მოღმეთში ანაპერწკლებული როგორ მწარცეცხლად ისე ძაან-რო არნახული და ვერგანცდილი ტკივილისაგან შეჰგმინა ნოემ რაც ძალი ჰქონდა მაგრამ სადღ ჰქონდა – კარავის ჭერს და რომ ეგონა რო-კვდებოდა სწორედაც აქ ამ-კავკასიაში მაგრამ სიკვდილი, გარდაცვალება ჯერ შორს იყო მისაგან და

ნოემ, ეულმა გარდა ტკივილისა-უუსაზღვროთი, უსაზომოთი აღარ იცოდა რა ექნა და იწვა, იწვა, ძალიან ეგდო სარეცელზე და მაცდურად გაჰკრა იმ მოგონებამ რომ ეგებ სწორედ იმ სითხეს-იმ მიტანვოდა და დაეწია-დაეტეხა უკლებლივ მთელი თავისი თავისათვის სხეულიანა გუშინ-დელა თუ-გუშინწინ-დელი-დელია აბაა-დელია

მსოფლიოს კავშირს და შემოინახა კაცობრიობის ყველა უნივერსალური ტრადიცია. წარღვნამდელი ცხოვრების 600 წელმა მას საშუალება მისცა ენახა მეთუშალახი „რომელიც არა მხოლოდ სულმდაბალი ლამექის მამა იყო და ჩვენ კი, ლამექის მამობით მისი მნიშვნელობის ჩვენი არცოდნით აბნეულებმა საკმაოდ აგდებულადაცკი მოვიხსენიეთ თანაც რამოდენიმეჯერ იგი მაგრამ სწორედ მან თვითმხილველობით შეძლო რომ ნოეს „მისი პირიდან მოესმინა პირველშობილი სამყაროს შესახებ მოყოლილი ამბები, რომელიც მას სიტყვიერად გადაეცა უშუალოდ ადამისაგან“,

ხოლოკი ნოეს ჰყავდა წყალობად დიდედოც, და თ,

„ხოლო წარღვნის შემდგომი 350 წელი ეს მისი ცხოვრების დროის ის მონაკვეთი იყო, როდესაც მან შესძლო აბრაამთანაც ესაუბრა და პირადად გადაეცა მისთვის ღვთისმსახურების ყველა ტრადიცია, რის შემდეგაც ყველაფერმა ამან სამი საფეხურის გავლით (იაკობი, ლევი, კაეფა) და ბუნებრივი გზით მიაღწია დაბადების აღმწერამდე – მოსემდე, რომელიც ამას გარდა, დაჯილდოებული იყო განსაკუთრებული ხილვის უნარით“

და იყვნენ კიდევ, ასეთი ზებუნებრივი უნარით დაჯილდოებულები, იმ ყოველი ხალხის ეგრეთწოდებული იმ „ეპოსები“ს შემქმნელები რომლებმაც ურიცხვ ასევე ეგრეთწოდებულ „მითებსა და თქმულებებში“ (მითი და თქმულება ყველა, სუყველა ნამდვილია ოღონდ ცოტათი გადაჭარბებულ-გამძაფრებული ეს მხატვრულად, თორემ ისე, სინამდვილეში? – ...,) აღწერეს წარღვნა, ხოლო მათგან კი, უსახელოთა შორის როგორ-ძალიან სახელიანი, სახელოვანი დიდი მეფე და მეომარი და დიადი შემოქმედი რომელმაც უკვდავების ამაოდ ძებნაში დატოვა მშობლიური ურუქი და სამყარო მოიარა კიდით კიდემდე და „ქვაზე ამოკვეთა ყოველივე განცდილი“ და მათ შორის კი მანამდელ-გილგამეშამდელი, ჩავლილი წარღვნა

გადმოგვიცა როგორ, რა ხერხით, როგორა და, უბრალოდ რომ ვთქვათ ძალიანი –

ღვთით ამოკვეთა ქვაზე რვალით დიადი წიგნი

და ღრმად მოხუცი, ბერიკაცი-ძალიან, ნოე, იჯდა თავისი კარავის წინ, 950 წლისა, ჟაუძლურებული მაგრამ გონზე კვლავ მყარად მყოფი და დიდი პაპის, პაპათავისვრცელიადამის მსგავსად ძალიან ძლიერ ფიქრობდა თუ ეს რა ხალხი, კაენიტებიც კაენიდან და იობალ-იუბალისა და თუბალ-კაენის ჩამომავლები მრავლდებოდნენ და ვრცელდებოდნენ ამჩვენ ქვეყნად, და თუნდ ფოთლებისაც მიხედვით ერთურთის მსგავსნი არათუ არ იყვნენ არამედ ზოგი თუ სჭედდა იარაღს და თავისი ჭკუით მარჯვედ იქნევდა, ზოგიერთები მართლაცდა-მარჯვედ უკრავდნენ ქნარსა და ებანზე და ეჟვნებს სწორად აჟღარუნებდნენ და ადამიანებიდან ის ნოე, თავად ღვთისა და, ადამისაც, დამწუხრებული ადამივით რადგანაც უკვე ხედავდნენ-რა ადამიანთა იმისეთ-დიიდ სხვადასხვაობას რომელ ადამიანებთაგანაც გამოვიდოდნენ და დადგებოდნენ ნეტავი-აქეთ ვაჟა-ფშაველა და ვაიიდიქით ადოლფ შიკლგრუბერი,

„და მოკვდა ნოე“ მაგრამ ძალიან არ მომკვდარა, მიმოვიხედოთ, რამდენნი ვართ

ესცოდვილები როგორ-ძალიან, როგორ,

და, აუარებათაგან ის ცოდვა რომ, რამდენ-ვინმესი ის გაფიქრება რომ რო ვყოფილიყავით იესუს დროს მაშინ ხომ ჩვენცა გვესმებოდა ძაან, ჩვენი მარადისროგორ, მშობლისა,

მაგრამ მის წიგნში ასეც სწერია, იოვანე XX-ში, რომ მას შემდეგ რაც ურწმუნომ – არა, შეეჭვებულმა თომამ იხილა იგი და ძალიან თქვა:

„უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!

ჰრქუა მას იესუ, რამეთუ: მიხილე და გრწამს; ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე“ –

ეს რა ძალიან, ჩვენი ცოდვების მისატევებლად, გადასარჩენად გვიბოძაცა და დაგვიტოვაც, სახარება, ეს,

ის,

და მაინც როგორ, –ეს,

რომლისაცა რომ, რა ვრცლად-შეძლება იქნებოდა მეტს რომ გვახსოვდეს თვით ძველ აღთქმაზეც კი მეტი... – წიგნთა წიგნი და მისი მათეს ის დიადი XXV, 31-46

რომელ-დიადი, გადასარჩენი ადგილის წაკითხვა, და თუნდ გადაკითხვა ეს-მერამდენე არავის გვაწყენს კი არა და, ჩვე-უღირსების სულის ხსნისათვის როგორ ძალიან, აუცილებლად და უცილობლად, საჭიროა, კი:

„ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა□ დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებითა თვისისათა;

და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რა□ განარჩინეს ცხოვარნი (ცხვრები) თიკანთაგან (თხებისაგან)

და დადგინნეს ცხოვარნი მარჯვენით მისა და თიკანნი – მარცხენით.

მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისა□თ.

რამეთუ მშიოდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემინწყნარეთ მე;

შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილეს ვიყავ, და მოხვედით ჩემდა.

მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ?

ოდეს გიხილეთ შენ უცხოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ?

ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?

და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვი თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“.

და,

„მაშინ ჰრქუას მარცხენითთა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა (საუკუნოსა), რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთათვის,

რამეთუ მშიოდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე;

უცხო ვიყავ, და არ შემინწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა.

მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშულოებასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ?

მაშინ მიუგოს და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვი თქუენ: რაოდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ.

და წარვიდეს ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“.,

და, მწარედ დაფიქრებულიყო წინასწარმეტყველი, ნათლადმხილავი ნოე, თუ რა სიმწარესც გამოელოდა ადამიანებისაგან: არამცთუ „გიყვარდეს მტერი შენი“, ის ავზნიანი ინკები მსხვერპლად სწირავდნენ კერპებს ბავშვებს რომლებიც ისე (ასე) უყვარდა (და უყვარს,) ქრისტეს; და არამცთუ პირუტყვის სისხლის სმა, ასე ვთქვათ „შეძლებული“ ინკები თავიანთ „უკანონო“ შვილებს – ვითო სხვებიკი კანონიერად ჰყავდათ – არ ანებებდნენ დედებს, „კეთილმოწყობილ“ სახლებში შინ მიჰყავდათ და ასე ათ-თორმეტ წლამდე ძალიან დიდის კალორიებით ასუქებდნენ რათა მერე დაეკლათ და უმადაც კი შეეჭამათ რადგან შეწვისას ეკარგებოდათ სისხლი და ქონი ხოლო ინკების ასე ვთქვათ „დიდი კულტურის“ შემსწავლელი როგორი ვაიდ-მეცნიერები აღტაცებითა აღწერენ რომ თურმე იცოდნენ იმა-ინკებმა „რაღაცები“ მზის სისტემისა და ქებადიდებას ასხამდნენ მათ ამ იმ „განვითარებულობას“ ამასთანავე კაციჭამიები რომ იყვნენ და აგრეთვე ხომ დაიტოვა „დიდება“ იმ უგუნურმა ვრცელი შენობა რომ გადაწვა და იმ სახელით იხსენიებენ რამდენნი (აბა რიღათიღ გამოიმზეურონ, ცოდნა) ვინმე და უმართლებენ იმ ამპარტავნებას, რომელი-ისი ამპარტავნებაც „შემოქმედია“ ყოველგვარი ბოროტებისა და ყველა, სუყველა ცოდვათა-იმ რომელთა ჩამოთვლაც, რა სამწუხაროდ, რაშორს წაგვიყვანდა და ამპარტავნები კი, მთლად პირველ რიგში ცერცეტად-ბოროტები — ბოროტებათა მწვერვალთ-ქვესკნელები – არიან იმით რომ როგორის დიდის მონდომებით იმსახურებენ მარადიულ ჯოჯოხეთს და მაგრამ, მაინც

იცოდა ნოემ, რომ მუდამ იყო, და იქნება,

დრო, –

მონანიებით, ყოველ ცოდვისა გამოსყიდვის

ოღონდაც უნდა მოვასწროთ რომ, ამ ქვეყანაზე

და, ამ თიკანთთათვის, ჩვე-თხებისათვის, ვიცოდეთ, ძმებო, არის კიდევ დრო!

და მყარად გვახსოვდეს ის, რომ II-დ მოსვლამდე ჯვარცმული-როგორ, უფალი იესუ მასთან გვერდიგვერდ ჯვარცმულ იმავაზაკს ვინც რომ მეორეს, მაქილიკებელს იესუსი, „შეჰრისხნა მას და ეტყოდა: არღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ?

და ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგვეგების, ხოლო ამან არა რა□ უჯერო□ ქმნა.

და ეტყოდა იესუს: მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

ხოლო იესუ ჰრქუა მას: ამენ გეტყვი შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“. –

ხომ გესმით; ..— გვესმის?

ვევედროთ, უნდა, ზიარების წინ: „შემიწყნარე უკვე მეცა, კაცთმოყვარეო უფალო, ვითარცა მეძავი (მარიამ მაგდალენელი რომელსაც თუმცა „შვიდი ეშმაკი სჭირდა“ და მაგრამ მ ი ს ი თ მისი როგორი უერთგულესი მიმდევარი გახდა), ვითარცა ავაზაკი (ჯვარცმულიც-ის), ვითარცა მეზვერე (— ზაქე, ხიდან ჩამოყვანილი რათა სტუმრებოდა მას თვით უფალი, და მატთეოსი და, რამდენნი, ვითარცა უძღები (გზააბნეულნი, რამდენნი, როგორ...) და, ამისათვის, ვევედროთ როგორ, უნდა:

„გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი (ადამისა, დაცემამდე,) განმიახლე გვამსა ჩემსა“, –

გვესმოდეს, ნეტავ,

უკუნისამდე

და არაა მაინცდამაინც აუცილებელი რომ... აქ მიკერძოებაში არ ჩამომერთვას, და ამ-კავკასიის ერთისაც კუთხის გამორჩეული პირმშოებისაგან თავს შევიკავებ და უცხოებს... არა, არა, როგორ არიან უცხოელები, ჩვენნიც არიან! —

როგორ-ნიმუშად მაგალითები რომ გავიხსენოთ აჯობებს, მგონი:

ის მერე რა რომ ყველანი რაღა თქმა უნდა ვერ ვიქნებით ბახი და შექსპირი რომლებიც როგორც ყოველი წვეთი იმეორებენ თავისსა არსში და გვიწყალობებს, ოკეანისას, თვით მამა-ღმერთის ფინჩხის როგორი კნინად მენამცეცედები მაგრამ, – ადამიანის პირობაზე დიადად როგორ, როგორ არიან,

რომ თვით მოცარტი – სულიწმინდასი როგორი რტო იმ დიად ხისა ბაობაბი რომ ვაზს ისხამდეს და იმ რტოს კიდე მხოლოდ ერთიღა კუმპალი ესხას

და თვით ქრისტესი, ახალი აღთქმის განმმარტებლები და გადმომწერები ბოლომდე აბა რომელი შევიქმნებით მაგრამ ეგება ჩვენ-ჩვენი არსის მორიდებული შესაძლებლობებით? – მაინცა ვცადოთ,

გადმომწერლობა,

და ესაც როდია-აბა, აუცილებლობა მაგრამ

ის მაინც შევძლოთ უკეთესად რომ მშივრისათვის მიგვეტანოს გინდაც ჩვენი თავისა უკმარი, პური, გაგვეყოს, მასთან, და მიგვეწოდოს წყალი ვისაც ეგებ თუნდაც ნაკლებად ჩვენზე, სწყურია, ოღონდ ჯვრით გულზე, ჩვენს და ხოლო ვინც ავადმყოფ ბავშვს რომ წამლის ფულს არ მისცემს და მშიერ მეზობელს პურს არ უწილადებს გინდაცრომ ფული – თავზე ძალიან გადასდიოდეს – ღაბაბოსნები და ღიპოსანები და ღაწვგაერთიანებულები სუქანლოყებთან სისუქნისაგან არიან, ეს,

და ნუ შეგვაშინებს თუნდაც განუზომელი ეს და თავს თუ რაღაცა-ეს ვაებობანა დაგვატყდება თავს, დე იყოს მისობისას სიკეთით ჩვენი გადარჩენის, გზა, ვაებისას ხომ – გამოვიცდებით, უფრო, და ამოვირჩევთ ჩვენიცდაჩვენით ამორჩეული თვით ვრცელიცა და, მარტივიცკი სიკეთისათვის, გზას, და არ დავკარგავთ თვით ერთ-ერთი უუბედურესი და უგაჭირვებულესი ერთ-ერთიცა უდიდეს-მხატვრისა სიკვდილისპირად თქმულიც გვახსოვდეს რომ ის, უშვილძირო, როგორ უზომოდ მადლობელია ღვთისა და მისი განგების სწორედ იმით რომ ცხოვრებაში გარეგნულადაც და საერთოდაც შეშლილი, იყო რადგან თუ არ ეს „შეშლილობა“, ღვთითმწყალობელით ვერ დახატავდა მზესუმზირებს და მოხარშული კარტოფილით როგორღაც გარიყულად და თან კუთვნილად შრომით-კუთვნილით მოსადილეებს და არლის სანახებს და თუ ჩვენს ბარათაშვილს და ფიროსმანს-მაინც ძალიან სალტედ-დუხჭირი ცხოვრება ჰქონდათ იმიტომაც ვერ ჰქმნიდნენ, ბიჭო, იმისთანებს რომ გადამაძღარ ღაბაბოსანებს ძღომით გულწასულობისას კიარა და ცხადშიაც არ მოლანდებიათ

ხოლო რადგანაც ყველას გვგონია რომ ჩვენ-პირადად ცოტათი ძნელი ცხოვრება გვქონდა და მათ შორის მეც, მგონია ასე რომ მათ შორის მეც, და ეგებ ამას ვაჭარბებ მაგრამ ძალიან რომ დავიღალე ეს კი ცხადია, და, რა დაგვრჩენია სწორად თუ რაღაცა უცხოდ ამოუცნობი ეშხით გადაღლილებს ჩვენ, არ მოვიმარჯვებთ თუკი კალმიტარს ან ფუნჯს ან სანოტე ფურცლებს და როგორ თუ რა დაგვრჩენია, მეტი ამაზე –

ეკლესიაში თუკი ვივლით და თვით თუგინდაც გაუგებრობამდეც კი მაღალ, მაგრამ გუმანით მისახვედრ შეუდარებლად ჩვენი ხელობის დიდ-ამაღლებულ ლოცვებს თუ წავიკითხავთ?

ოღონდ ჯერ გულით, გონებით – მერე,

და, დავიცავთ მარხვას, და ეს იქნება..... ისა კი არა როგორც გვგონია სამწუხაროდ რომ ეს იქნება თავიდათავი ღვისკენ, ღვისადმი, არამედ –

ისევ და ისევ ჩვენთვის, ამ ჩვე-ბეჩავთა ამაღლებისათვის, –

კიდევაა, დრო,

მიმოვიხედოთ,

და დროც უბრალო და უწყინარი კი არა და, როგორ-ძალიან-ადვილობით ნამაქცევარიც, ჩვენი, და თუ დავძლევთ თავს და სიკეთით და სიყვარულით დავრჩებით ამ ღვთის ისე ძალიან რომ მაინც, სჯერა, უღირსთა, – ჩვენი,

თუ შევიქმნებით იმათსავით რომლებიც რომ-რო რა-მისაბაძად

იარებოდნენ, ღმერთთან,

ვიარებოდეთ ნეტავ, მათსავით

ეს ჩვე-ყველანი, ჩვენ,

და, ესე-მადლობა ჩვენი მცირე ძალისაებრ ვინც კი შევწირავთ მადლობას, უფალს, რომ გადმოვიწერეთ და გადმოვიხატეთ წმიდა სამებით მისი ნახატები და წიგნები დიდი თუ მცირე და სიმღერებიც გადმოვიმღერეთ უტყვიც და როგორ მხმოვანებიც მისით აღსავსე, აღუვსებელი მისდამი და ავაშენეთ ჯვარი, და ოშკი თუნდ უცხოეთში (- ახლა!) მდგარი, ახლა და როგორ-ჩვენი, მაინც, ძალიან ჩვენი,

და მაგრამ მაინც როგორის შვებით და იმედით ავაცქერდეთ, კი, ცისარტყელას და წვიმას რომელიც როგორ-წყალობად ბევრნაირია და როგორ, თოვლს,

და, გადაღლილი ამ-ჩემს სულ-სუ სუბოლო წინადადებას – მე რომ მეგონა რომ ამას მაინც მყარი წერტილით – . –

დავამთავრებდი, მაგრამ, თურმეღა არა, არა, –

... – .....

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

2005-2006; 2010 წ.

.

როსტომ ჩხეიძე

მელანქოლია ჩამავალ მზეთა

გალაკტიონ ტაბიძის ნახატი

ფრანგულის სწავლას რომ დაიწყებ და... მაშინვე პოლ ვერლენს მიეტანები სათარგმნელად.

გალაკტიონის ხათრით, ცხადია.

დაღუპულ მამასავით რომ იგონებდა ხოლმე ხშირად.

ვერლენის პოეზიითაც შთაგონებულიყო.

მისი მხატვრული სახეები, თემატიკა, მოტივები ხომ გადმოჰქონდა და თვითონაც მიჰყოფდა ხელს მის თარგმნასაც.

თარგმნას თუ?..

ვახტანგ ჯავახაძის მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში „უცნობი (აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა)“ ცალკე თავი („ხშირად ვიგონებ ვერლენს“) რომ დაეთმობოდა ამ „მამაშვილობას“, კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამდა გალაკტიონის თორმეტტომეულის მეშვიდე ტომის შემდგენელთა მიმართ: პირველად რომ გამოუქვეყნებდნენ პოეტს თარგმანებს და ეს რკალი პოლ ვერლენის თორმეტი ლექსით გაიხსნებოდა, ამ პუბლიკაციას გაუმართლებლად მიიჩნევდა. ჯერ ერთი, ეს გახლდათ დაუსათაურებელი და დაუსრულებელი თარგმანები, მთავარი კი ისაა, რომ ამ თარგმანთა მოტივებზე გალაკტიონს დაეწერა სრულიად ორიგინალური ლექსები და, რაკიღა ისინი ამ ლირიკულ ნაწარმოებთა შთაგონების წყაროს წარმოადგენდნენ, შემდგენლებს შესაბამის ვარიანტებში უნდა გაეტანათ.

თორმეტტომეულის შენიშვნებში სამგზის რომ მითითებულიყო კიდეც ამგვარ მსგავსებაზე?

ეს „სიმების კვდომაო“, ეს „სხვისი სისპეტაკე უფრო აგიჟებსო“ და ეს „მეოცნებე მოსვენებაზეო“?

მაგრამ ვახტანგ ჯავახაძეს ეს მეტად უკმარი მოეჩვენებოდა და პოლ ვერლენის გამოძახილად მონიშნულ ლექსებს ჩამოჰყვებოდა:

„თბილისის ზეცა მოწამეა“, „მთაწმინდის იქით“, „უცნობი ქუჩის დასასრულთან“, „მეტეხი იდგა რუხი, პიტალო“, „როგორც კი დილა გათენდება“, „მღელვარება“, „გრძნობა, რომელიც დაკარგულია“, „ჰაერი“, „დაუმეგობრდა“, „აწ კივილისთვის ირევიან“, „ვით აფეთქება“ და „როგორც სიზმარი“.

ასე შეიქმნებოდა თხუთმეტი ლექსი ათის მოტივებზე. ბოლო ორის კვალი ჯერჯერობით არა ჩანდა.

რასაკვირველია, თემა — გალაკტიონი და ვერლენი — იმხელაა, საგანგებო კვლევას მოითხოვს, მოსალოდნელია, რომ მონოგრაფიულადაც.

თუმც, მსჯელობის გეზს ნუ ავცდებით.

ვერლენის ლირიკიდან „ჩამავალი მზეები“ განსაკუთრებით მომხიბლავდა.

ეს ხომ ის სახეა, რომელიც არაერთხელ გამეორდებოდა გალაკტიონის ლირიკაშიც და ყოველთვის იშვიათი, გაუხუნარი შთამბეჭდაობით.

და კიდევ:

მისი მეორე კრებულის — „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ — ოთხ ეპიგრაფს შორის ერთ-ერთი ვერლენისაც რომ იყო, ეს სტრიქონი — „მელანქოლია ჩამავალ მზეთა“ — სწორედ ამ ლექსიდან ამოეწერა გალაკტიონს, ახლა მეც რომ ჩავფლულიყავი მის მელოდიაში და ძალდაუტანებლად ვუსადაგებდი ქართულ ვერსიას, რომელიც დიდი სწორებისა და დახვეწის შემდეგ ასეთ სახეს შეიძენდა.

ჩამავალი მზეები

მინდვრად გადაღვარულა
მკრთალად გამოთენების,
თეთრის — მელანქოლია,
ჩამავალი მზეების,
ჩამავალი მზეების,
და გულის აგონიას
არწევს მელანქოლია
გალობად აღზევების.

როგორც მოჩვენებათა
სიღაჟღაჟით მფარავი,
ნაპირები ებადა
მზეებს ჩასამალავი,
უსასრულოებათა
მეწამული წრეების
ჩასვლა მოჩვენებათა
ჩამავალი მზეების.

ეს ჩემი სტუდენტობისას მოხდებოდა, როდესაც ერთდროულად ვიყავი გატაცებული ლინგვისტიკითა და პოეზიით და, ერთი მხრივ, ვიკვლევდი ბიბლიურ სტილისტიკასა და ძველი ებრაულის ენობრივ საქცევებს (პარონომაზია იქნებოდა თუ თანმიმდევრობის ვავ-ი), და მეორე მხრივ, არაბულიდან ვთარგმნიდი ომარ იბნ აბუ რაბიას სატრფიალო ლირიკას, ინგლისურიდან კი პერსი ბიში შელის, ტომას მურის, უოლტ უიტმენის, ჯეიმზ ჯოისისა თუ იუსტან ჰიუოდენის ლექსებს.

მამას რომ წავაკითხებდი, ყველაზე მეტად მომიწონებდა რაბიასა და უიტმენის თარგმანებს.

ამჯერად კი, „ჩამავალი მზეების“ გაცნობისას:

— ძალიან გალაკტიონია, — გამიცინებდა.

— ცუდია მერე? — გამიხარდებოდა ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამის“ პერსონაჟივით.

— აბა, როგორ გითხრა, — და გალაკტიონის თორმეტტომეულის უკანასკნელი ტომის ჩანაწერებს შემახსენებდა, კიდევ ერთხელ რომ გადმოვიღებდი და ჩავხედავდი, 1948 წლის 19 აპრილის მაგიდის კალენდრის ფურცელზე რაც წაეწერა:

— ბაირონის გივი გაჩეჩილაძის თარგმანები ინგლისურიდან ქართულად წაკითხულ იქნა რადიოში. მთლად ჩემი რითმითა და ჩემი წყობით.

ძალიან არ ეჭაშნიკებოდა ასეთი ექსპერიმენტი.

მარტო ეს ერთი ცდა რომ ყოფილიყო, კიდევ რა უშავდა (თუმც ხელიდან არ გაუშვებდა შემთხვევას, ეს რომ აღენიშნა).

გალაკტიონის არქივიდან მოგვიანებით „გალაკტიონოლოგიის“ წყალობით შემოვიდოდა სალიტერატურო მიმოქცევაში 1949 წლის ჩანაწერიც, გამომხატველი მისი დაუფარავი სიამაყისაც და წუხილისაც ერთსა და იმავე დროს: ყველაზე უფრო ჩემს დიდ გავლენას ვგრძნობ მაშინ, როდესაც რუსეთის ან ევროპის კლასიკოსების ქართულ თარგმანებს ვკითხულობო:

— ჩემი წყობა, ჩემი რითმები, ჩემი მანერა წერისა — მხვდება, პუშკინია ის, ჰეინე, ნეკრასოვი თუ გოტიე. რუსული პოეზიის ანთოლოგიაში — ტიუტჩევი. ჩვენი მთარგმნელები უხვად სარგებლობენ ჩემის ლექსიკით (გაფრინდაშვილი, გრიშაშვილი, გორგაძე, ცეცხლაძე, გაჩეჩილაძე, ვარდოშვილი და მრავალი სხვები).

როგორი ყურადღებით ადევნებდა თვალს და როგორ შეესწავლა მთარგმნელობითი პროცესის „ლირიკული ნაკადი“.

პუშკინიო, ჰაინეო, ნეკრასოვიო, გოტიეო, ტიუტჩევიო...

ერთმანეთისაგან ასერიგად დაშორებული ლირიკოსები თავიანთი პოეტიკით.

ქართულად კი ერთ წრეში მოექცეოდნენ.

გალაკტიონის მომნუსხველ წრეში.

უცხოელ პოეტთა შორის პუშკინსაც რომ დაასახელებდა, ხოლო მთარგმნელებში პაოლო იაშვილს არ მოიხსენიებდა, „მრავალ სხვებში“, ცხადია, მასაც იგულისხმებდა. როგორც ნოდარ ტაბიძის მხატვრულ-დოკუმენტური წიგნიდან „გალაკტიონი“ ირკვევა, ეს გარემოება პირდაპირაცაა აღნიშნული პუშკინის ლექსებისა და პოემების ქართული გამოცემის გალაკტიონისეულ ცალზე. აქ ასეთი მინაწერია:

— მთარგმნელი ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს. მას ჩემი ლექსებიდან აქვს აღებული როგორც სალექსო ზომა, ასევე რიტმიც. ამით, რა თქმა უნდა, იგებს მთარმნელი და ავტორიც.

ქართულად ერთ წრეში მოექცეოდნენ, გალაკტიონის მომნუსხველ წრეშიო...

მეღა ვაკლდი ჩემი ვერლენით.

* * *

არადა, შენს მიერ გადმოღებული ლირიკული ლექსის წაკითხვისას თუ ისეთი შთაბეჭდილება დარჩებათ: ძალიან გალაკტიონიაო, — როგორ გინდა სიხარულით არ აღივსო:

— ცუდია მერე?!.

ვაჟა გიგაშვილი: „არ მინდა და არ ვწერ“

დასასრული

უცნაური იყო, შესახვევ ქაღალდზე დაბეჭდილი. მერე გავიცანი... საოცარი ადამიანია, არაჩვეულებრივად თავმდაბალი. ხანდახან ვფიქრობ, არ წყინდება წერა?.. ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობები მომწონს ძალიან, არჩილ ქიქოძის, ბექა ქურხულის, რეზიკო თაბუკაშვილის... საერთოდ, ახალგაზრდების კითხვა მსიამოვნებს. თვალშისაცემად მომრავლდნენ მწერალი ქალები — ეკა ტოგონიძე, რუსა ამირეჯიბი, ნინო წიკლაური... საინტერესოდ წერს ნესტან კვინიკაძე. „საბას“ ჟიურიში ვიყავი, მისი „ისპაჰანის ბულბულები“ რომ წავიკითხე. ძლიერი კონკურენტი ჰყავდა – გელა ჩქვანავა და ნესტანმა ვერ გაიმარჯვა. ასეთ დროს სულ მწყდება ხოლმე გული – ხომ შეიძლება ერთ ნომინაციაში ორი ჯილდო გასცენ?! ბევრი საინტერესო ტექსტი რჩება აღუნიშნავი. მახსენდება ლაშა ბუღაძის „ბოლო ზარი“, რომელიც იმავე წელს აკა მორჩილაძის „სანტა ესპერანსა“-სთან ერთად იყო წარდგენილი. ასეთ ბუმბერაზ რომანთან რა უნდა გექნა? არადა, ისიც იმსახურებდა აღნიშვნას. სხვანაირი მურტალი მოთხრობაა, საშინლად ამხელს თაობას, ახალგაზრდების გაკრეტინებას, თანაც პირდაპირ გეუბნება სათქმელს. ტყვიასავით ხვდება კაცს ეს წიგნი შუბლში. ერთი სიტყვით, ბევრი საინტერესო ავტორია, უბრალოდ უნდა დაინახო. ეს კიდევ ცალკე პრობლემაა.

მახსოვს, ლაშა თაბუკაშვილმა ალმანახი „სათავე“ გამოსცა, სადაც პირველად იბეჭდებოდნენ ახალბედა ავტორები. სწორედ აქ გამოჩნდნენ 80-იანი წლების დასაწყისში კოტე ჯანდიერი, ქეთი ნიჟარაძე, ზურაბ სამადაშვილი, ზაალ სამადაშვილი, ირაკლი ჩარკვიანი და ლაშა იმედაშვილი. პირველი ოთხი თავიდანვე ჩამოყალიბებული მწერალი იყო – თავიანთი სამყარო და სტილი ჰქონდათ. დანარჩენი ორი – ნაკლებად, მაგრამ აქაც წერის მაღალი კულტურა ჩანდა. მოკლედ, გამოვიდა ალმანახი და კაციშვილს სიტყვა არ უთქვამს მწერალთა კავშირიდან. მაშინ დავწერე კიდეც, როგორ შეიძლება ასეთი რამ არ შეამჩნიო-მეთქი? როგორ შეიძლება უკვე შემდგარმა მწერალმა, ლამის კლასიკოსმა, ნიჭიერი ახალგაზრდის გამოჩენა არ შეაფასო? არ გიხარია, გწყინს თუ რა ხდება?! ჩემთვის ასეთი რამ გაუგებარია. ნიჭიერი ავტორის კითხვა ერთი სიამოვნებაა. საბედნიეროდ, მათი რიცხვი არცთუ მცირეა, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესი გრძელდება.

— თქვენი თაობა წიგნთან უფრო ახლოს იყო. დღეს ვითარება შეცვლილია. ცხოვრების ტემპი აჩქარდა და ადამიანებს კითხვისთვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩებათ. თუ გიფიქრიათ, რა ადგილი უჭირავს წიგნს თანამედროვე საქართველოში?

— ჩემი თაობისთვის კითხვა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. კარგი წიგნი რომ გამოვიდოდა, იყო ერთი ამბავი. როგორ შეიძლებოდა, არ წაგეკითხა?! ახლა ეგრე აღარ არის, წიგნს ბევრი მეტოქე გამოუჩნდა. ამიტომ მიკვირს, როცა ნაკითხ ახალგაზრდებს ვხვდები, უმეტესობა ხომ წიგნთან მწყრალადაა. ცხვირწინ რომ დაუდო, ვერ შეამჩნევს. ყველაფრის მიუხედავად, მიხარია, ლიტერატურის მიმართ ინტერესი რომ არსებობს.

— ბოლო წლებში მკითხველის ერთგვარი დიფერენციაცია მოხდა: თუ კითხულობენ, სიღრმისულად და მრავალმხრივად, თუ არადა — საერთოდ არაფერი იციან.

— გეთანხმები, მკვეთრი კონტრასტი გაჩნდა. სხვათა შორის, ამერიკის საზოგადოებაა ასეთი. მასა თითქმის არაფერს კითხულობს, მაგრამ გარკვეული წრე მაღალინტელექტუალურია. ისეთი ავტორები იციან, ჩვენამდე კარგა ხანს რომ ვერ მოაღწევს. არ ვიცი, ეს ყველაფერი სადამდე მიგვიყვანს. სტიქიური პროცესია, რომელსაც ვერაფრით შეაჩერებ.

ესაუბრა ნანა კობაიძე

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com